პარლამენტი უხმაუროდ ამუშავდა

A2

„ოლიმპიური ვარსკვლავი" ოლიმპიური ჩემპიონებისგან

A6

"თქვენი აფხაზეთი"

A7

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ოთხშაბათი, 15 თებერვალი, 2006 წელი. №33 (1185) ფასი 50 თეთრი

## ამბები

ფეროში ძალისმიერი მეთოდით ახალი ხელმძღვანელი შეყავთ - რა ელის "ჭიათურმანგანუმს"

A2

## სამართალი

ადვოკატები და არასამთავრობო ორგანიზაციები ადამიანის უფლებების დასაცავად გაერთიანდნენ

A4

## ამინდი

| | 15/02 | 16 /02 |
|---|---|---|
| თბილისი | 5 | 3 |
| ქუთაისი | 6 | 2 |
| სოხუმი | 2 | 2 |
| დმანისი | 0 | -9 |
| გორი | 2 | -3 |
| ონი | -2 | -4 |
| ზუგდიდი | 6 | 5 |
| ახმეტა | 5 | 2 |
| გაგრა | 2 | 1 |
| სამტრედია | 8 | 5 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8125 |
| ევრო | 2.1571 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1548 |
| რუბლი | 0.0642 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| სტუმარი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| პროექტი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |
| ტენდერი | B1-B4 |


# ახალი მიზნები, ახალი გმირები, ახალი გამოწვევები...

გიორგი ასანიშვილი

გუშინ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პარლამენტის წინაშე ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ ყოველწლიური მოხსენებით წარდგა. მის საათნახევრიან გამოსვლას ისმენდნენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მთავრობის წევრები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. დაბოლოს, იგი პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა ქართული ტელევიზიებით.

გაგრძელება A3 გვერდზე

იური ლოგვინენკოს ფოტო

# საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას ველი

Საკითხი დგას, როდის მოხდება ეს და არა - როგორ...

მაია ჭალაგანიძე

*ნატო, ხშირ შემთხვევაში, უფრო უკეთ გვიცნობს, ვიდრე ჩვენ ვიცნობთ საკუთარ თავს. იქ ძალზე კარგად არიან ინფორმირებული იმის თაობაზე, თუ რა ხდება იმ პარტნიორ ქვეყნებში, რომელსაც პრიორიტეტულად მიიჩნევენ. 2003 წელს, პრაღის ახლა უკვე ისტორიულ სამიტამდე, სადაც მაშინდელმა პრეზიდენტმა ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების სურვილი გამოთქვა, სულ იმის შესახებ იყო საუბარი, რომ ნატო განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს დარჩენილ პარტნიორებთან თანამშრომლობას და განსაკუთრებით ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქვეყნებში, როგორიცაა კავკასია და ცენტრალური აზია.*

გაგრძელება A5 გვერდზე

ელჩი რობერტ ჰანტერი.

ბაია ბასილაშვილის ფოტო

## პრეზიდენტის გამოსვლის შეფასებები

*პარლამენტის წევრთა მხრიდან პრეზიდენტის სიტყვის შეფასებები სააკაშვილის გამოსვლის დასრულებისთანავე გაისმა. საპარლამენტო უმრავლესობამ საკუთარი ლიდერის 75-წუთიანი გამოსვლა "კონცეპტუალურ და ტაქტიან" მოხსენებად შეაფასა. პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ უფრო მეტი სალაპარაკო ოპოზიციას დაუგროვდა, ძირითადად, შენიშვნების სახით. პირველი შენიშვნა, რასაც პრეზიდენტს არ პატიობენ, პოლიტიკური თემატიკისგან შორსაა და ლიტერატურის სფეროს განეკუთვნება. შენიშვნათა რეიტინგში მეორე ადგილზეა სამშვიდობოების თემა, უფრო სწორად, პრეზიდენტის გამოსვლაში ამ თემის საერთოდ არარსებობა. ოპოზიცია "აღმაშფოთებელს" უწოდებს საპრეზიდენტო გამოსვლის იმ ნაწილს, სადაც სააკაშვილმა დამნაშავეებზე ისაუბრა. რაც შეეხება ეკონომიკას, ოპოზიცია ერთხმად აცხადებს, რომ პარლამენტში პრეზიდენტმა "რომელიღაც სხვა ქვეყნის ეკონომიკაზე ისაუბრა". მიუხედავად ყველაფრისა, ოპოზიციონერთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის წლევანდელი საპარლამენტო მოხსენება მის შარშანდელ საკონსტიტუციო "დებიუტთან" შედარებით გაცილებით უკეთესი იყო.*

სოფო ბუკია

**კობა დავითაშვილი:**

სამწუხაროდ, ჩვენ გვყავს პრეზიდენტი, რომელიც შოთა რუსთაველს და გრიგოლ ორბელიანს ერთმანეთში ურევს.

სააკაშვილს თავის გამოსვლაში არ უხსენებია ის, რასაც მისგან მთელი ქვეყანა ელოდა - სამშვიდობოების თემა. სამწუხაროდ, ეს ადასტურებს იმას, რომ მთავრობა ორჭოფობს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## რუსი დეპუტატები სამშვიდობოების ბედით დაინტერესდნენ

*თბილისს გუშინ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში არსებული ვითარების შესწავლისა და რუსი ცისფერჩაფხუტიანების ბედის გარკვევის მიზნით რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დელეგაცია ეწვია, თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის მიხეილ ბაბიჩის ხელმძღვანელობით.*

დელეგაციის შემადგენლობაში არიან ასევე თავდაცვის კომიტეტის წევრი ნიკოლაი ბეზბეროვი და დსთ-ს საკითხებში კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე სერგეი ანტუფიევი.

დელეგაციასთან შეხვედრის შემდეგ, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ განაცხადა, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალების საკითხზე პარლამენტის დადგენილებასთან დაკავშირებით რუსი დეპუტატების თბილისში ვიზიტი არაფერს შეცვლის, თუმცა ამ ვიზიტმა სამომავლოდ შეიძლება ხელი შეუწყოს ქართულ და რუსულ საკანონმდებლო ორგანოებს შორის თანამშრომლობას. **"ერთსაათიანი შეხვედრა პრობლემებს ვერ გადაჭრის. დროა საჭირო, რათა გავერკვეთ, რუსეთის სათათბიროს მხრიდან პრობლემების მოგვარების რეალური სურვილი არსებობს თუ რუსი კოლეგების ვიზიტი სიტუაციის გამოსწორების იმედით გადადგმული ნაბიჯია,"** - განაცხადა თარგამაძემ.

მისი თქმით, რუს კოლეგებთან შეხვედრამ კონსტრუქციულად ჩაიარა, მათ ქართულმა მხარემ ის პრეტენზიები გააცნო, რომელიც სამშვიდობო ძალების ცხინვალის რეგიონში საქმიანობას ეხება. **"ამ დღეებში მზადდება რუსი სამშვიდობო ძალების დარღვევების შესახებ ბიულეტენი, რომელიც რუს კოლეგებს გადაეცემა, კონკრეტული დარღვევების შესახებ კი უკვე ხვალისათვის დაგეგმილ შეხვედრაზე ვისაუბრებთ,"** - განაცხადა თარგამაძემ.

რუსეთის სათათბიროს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ ბაბიჩი მიიჩნევს, რომ მოლაპარაკებებს ქართულ მხარესთან ყოველთვის აქვს აზრი. **"ჩვენ კონსტრუქციულად ვისაუბრეთ, შეხების წერტილებიც მოვძებნეთ და ვფიქრობთ, რომ ამას შედეგებიც მოჰყვება. ეს იყო ჩვენი პირველი შეხვედრა, ხვალ მივემგზავრებით ცხინვალში და დღის ბოლოს ქართველ კოლეგებს ისევ შევხვდებით,"** - განაცხადა ბაბიჩმა.

გაგრძელება A2 გვერდზე


## მის აღმატებულებას საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს!

**თქვენო აღმატებულებავ!**

მე გახლავართ კანადის მოქალაქე, ინვესტორი საქართველოში, რომელიც, იმავდროულად, წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს.

მოგმართავთ, როგორც დაზარალებული მხარე, რომელსაც, ვარდების რევოლუციის შემდეგ, წაართვეს 20 000 000 აშშ დოლარზე მეტი ღირებულების ინვესტიცია. სამწუხაროდ, 18-თვიანი სასამართლო პროცესების შემდეგ სამართალი ვერ ვიპოვეთ.

2004 წლის აგვისტოში, შპს "საქართველოს თამბაქოს წარმოების" 10%-იანი წილის მფლობელმა, საქართველოს მოქალაქე ავთანდილ წერეთელმა, მოსამართლე შალვა ტურავას ხელშეწყობით, ჩვენი საწარმოს წესდებაში კანონდარღვევით შეიტანა ცვლილებები, რომლითაც ჩვენ, 90%-იანი წილის მფლობელებს ხმის უფლება ჩამოგვერთვა. იმავე წლის სექტემბერში, ამჯერად მოსამართლე აკაკი ბაქრაძემ, მრავალი საპროცესო კანონდარღვევა ჩაიდინა. ამის შედეგად, მხოლოდ აშკარად გაყალბებულ მინდობილობაზე დაყრდნობით და, როგორც ჩვენ მიგვაჩნია, სახელმწიფო მოხელეების, ნოტარიუსის, მოსამართლეებისა და კანონიერი წარმომადგენლობის უფლების არმქონე ადვოკატების ურთიერთშეთანხმებით, სასამართლოს ძალით, რომელიც არ გახლდათ უფლებამოსილი ასეთი საქმის განხილვისა, მოახერხეს, წარმატებით ჩამოერთმიათ ჩვენთვის 90%-იანი წილი საწარმოში.

მოგახსენებთ, რომ "საქართველოს თამბაქოს წარმოებაში" დასაქმებული იყო 2 000-ზე მეტი ადამიანი, ხოლო ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტს საწარმო 20 მილიონ ლარს უხდიდა. ფაბრიკა დღესდღეობით დახურულია, ანუ ხელფასები არ გაიცემა, პროდუქცია არ იწარმოება და ბიუჯეტში გადასახადები არ შედის.

ჩვენი გულწრფელი და დაჟინებული მცდელობა, გამოგვეყენებინა საქართველოში მოქმედი სამართლებრივი ბერკეტები, კერძოდ სასამართლო სისტემა, პირველ ეტაპზე იმედისმომცემი გახლდათ. თუმცა, საბოლოოდ, გადავაწყდით მხოლოდ ფესვებგადგმულ კორუფციას, შეთქმულებას, ცინიზმს, რასიზმს, უსაფუძვლო პოლიტიკურ თუ პირად შეურაცხყოფას (იმ უსუსური მცელობის ჩათვლით, რომ რამენაირად დავეკავშირებინეთ ტერორიზმთან). ამაში დიდი წვლილი მიუძღვით გენერალური პროკურატურის მუშაკებს, ფინანსურ პოლიციას, ყველა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებს და, მათ შორის

თქვენს ადმინისტრაციაში მყოფ პირებსაც.

ყველაზე მეტად ის გვტკენს გულს, რომ თქვენმა აღმატებულებამ პირადად მოგვიწოდა საქართველოში დაბრუნებისკენ. სამართლიანობის აღდგენას დავგვპირდით ვაშინგტონში პირად შეხვედრაზეც. ჩვენ გავითვალისწინეთ თქვენი რჩევა, მაგრამ საქართველოში დაბრუნებულებს გარდა დამცირებისა, უსამართლობისა და ჩვენს ხაჯზე სარგებლის ძიებისა არაფერი დაგვხვედრია. ჩვენთვის საწყენია, ბატონო პრეზიდენტო, ჭორის დონეზე მუდმივად იმის გაგება, რომ, შესაძლოა ამ კონკრეტული შემთხვევის მიმართ მართლმსაჯულების აღსრულებლობაში თქვენი გარემოცვაც მონაწილეობდეს. ჩვენ არ ვიჯერებთ ამ ჭორებს. შესაძლოა მონინააღმდეგეებმა გულუბრყვილობა დაგვწამონ, ბატონო პრეზიდენტო, მაგრამ ჩვენ გვჯერა თქვენი "ვარდების რევოლუციისა" და დღემდე არ დაგვიკარგავს ნდობა თქვენს მიერ ქართველი ხალხისადმი, საერთაშორისო საზოგადოებისადმი და ვაშინგტონში ჩვენდამი მოცემული დაპირებებისადმი.

18 თვის მანძილზე ჩვენი უფლებების ურიცხვი დარღვევის შემდეგ, უკვე ამოვწურეთ ადგილობრივი კანონიერი ბერკეტები და შეგვიძლია, სამართლის ძიება განვაგრძოთ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოსა და ასევე ამერიკის სასამართლოებში. ჩვენი სასარჩელო მოთხოვნა ამჟამად აჭარბებს 30 მილიონ აშშ დოლარს. მართალია, სტრასბურგიდან უკვე მივიღეთ ჩვენი სარჩელის მიღების 2005 წლის 23 ნოემბრის დასტური (განაცხადი N 41710/05 ჰუსეინ ალი საქართველოს წინააღმდეგ), მაინც გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, კვლავ დაინტერესდეთ ამ საქმით და ბრძანოთ ამ შეთქმულების გამოძიება, რომელშიც, როგორც ჩანს, დღეისათვის უკვე გენერალური პროკურატურა და ფინანსური პოლიციაა გარეული. ამ მოვლენების საფუძვლიანი გამოძიება შექმნის პრეცედენტს, გაიზარდოს ინვესტორთა რწმენა საქართველოსადმი და ასევე მსოფლიოს წინაშე თქვენი დაპირების მიმართ, რომ კანონის უზენაესობაზე დამყარებულ მმართველობას შექმნიდით.

ბატონო პრეზიდენტო! ჩვენ ვთხოვთ თქვენს აღმატებულებას ათწუთიან აუდიენციას, რაც საშუალებას მოგვცემს, ყველა ჩვენი სარჩელის დამადასტურებელი სამხილი პირადად წარმოგიდგინოთ.

როგორც თქვენმა აღმატებულებამ თავად ბრძანა ვაშინგტონში, ერთხელაც ვცადოთ. თუ არა თქვენ, საქართველოს პრეზიდენტს, სხვას ვიღას მივმართოთ, როცა ყველამ იმედი გაგვიცრუა?

**პატივისცემით, ჰუსეინ ალი.**

## H. E. President of Georgia Mikhail Saakashvili

**Your Excellency,**

I am a Canadian citizen and investor in Georgia, and represent U.S. interests as well. We were stripped of our investment at a loss of more than $20,000,000 since the Rose Revolution. After 18 months in many courts we have failed to find justice here.

In August 2004, a Georgian named Avto Tsereteli, the owner of 10% of Georgian Tobacco Manufacturing Ltd., with the aid of judge Shalva Turava modified our corporate charter to exclude our voting rights of our 90% ownership of the shares. And in September the same year, another Judge, Akaki Bakradze, who violated too many laws and procedures. In consequence, based on a proven forged Power of Attorney and, as we allege, criminal collusion between government employees, a notary public, judges, and lawyers without valid powers of representation, all this in a court not authorized to hear such a case, they effectively expropriated our 90% share in a manufacturing facility that has directly/indirectly created over 2000 jobs for the Georgian economy and paid over 20 million Georgian Lari to the State Budget annually. The factory has been closed, effectively meaning, no salaries paid, no product manufactured, and no taxes to the budget.

In our sincere and persistent efforts to pursue legal remedies available to foreign investors in Georgia, namely the court system, we have, after initially promising results, met the most severe degree of corruption, collusion, cynicism, conspiracy, racism, silly public political or personal assaults (including feeble-minded attempts to link us to terrorism), and mutual cover up. Much of this was committed by people in your administration, including but not limited to members of the General Prosecutors Office, the Financial Police, and - worst of all - judges at all levels.

What pains us much is the fact that Your Excellency had personally encouraged our return to Georgia and had promised the pursuit of justice, done so in a documented personal meeting in Washington D.C. . We followed your advice, and then found in Georgia but humiliation, injustice and a general attitude of 'milking' at great further expense to us. It pains us also, Mr. President, to receive continuous rumors that your presumed close friends might have a specific interest in the failure of justice in this specific case. We have chosen to not follow such hints. Call us naive, Mr. President, but we believed in your Rose Revolution, and we are - as of yet - unable to let go of our trust in your promises made to the Georgian people and the international community, and to us in Washington.

After 18 months of corrupt and arbitrary decisions by the Georgian judicial system, and after countless violations of our rights, we have now exhausted the domestic remedies and can continue our pursuit of justice in the European Court of Human Rights and also in American courts. Our claim now exceeds $30 million. And despite the fact that we have already received confirmation of our claim's acceptance from Strasbourg of 23 November 2005, Application # 41710/05, Hussain Ali v. Georgia, we hereby appeal, Your Excellency, once again to take interest in this case and to order an investigation into the conspiracy or collusion that now also appears to include the General Prosecutor's Office and the Financial Police. Only a thorough investigation into these events can lead to a solution within Georgia, and will set a precedent to increase investor confidence in Georgia and in your promise made to the world to establish a government based on the Rule of Law.

Mr. President, we ask that Your Excellency grant us a 10 minute meeting that will allow us to present the evidence that supports all of our claims.

Let us, as Your Excellency said in Washington, give it just one more try. If we do not ask you, the President of Georgia - whom of those who failed already should we ask again?

**Sincerely, Hussain Ali**

იბეჭდება სარეკლამო ფართზე

## "ფეროშენადნობათა" ქარხნის ადვოკატის მტკიცებით, გიგა ბედინეიშვილს დირექტორის თანამდებობაზე ყოფნის იურიდიული უფლება არ გააჩნია

ზესტაფონის "ფეროშენადნობათა" ქარხნის ადვოკატის ინფორმაციით, გიგა ბედინეიშვილს ქარხნის დირექტორის თანამდებობაზე ყოფნის არანაირი იურიდიული უფლება არ გააჩნია.

როგორც "ინტერპრესნიუსს" "ფეროშენადნობთა" ქარხნის ადვოკატმა გიგა კვერენჩხილაძემ განუცხადა, კანონით დირექტორს ირჩევს ქარხნის სამეთვალყურეო საბჭო. საბჭოს წევრები და თავმჯდომარის უფლებამოსილების შემსრულებელი ილია კოკაია კი ამ დროისთვის გერმანიაში იმყოფებიან.

მისი თქმით, არ არსებობს ქარხნის ძველი ხელმძღვანელის ნიკა ჩიქოვანის თანამდებობიდან გათავისუფლების და ახალი ხელმძღვანელის გიგა ბედინეიშვილის ოფიციალურად დანიშვნის შესახებ ბრძანება.

"ქარხნის იურიდიული სამსახური აღნიშნულ დარღვევებთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრას არ გამორიცხავს. არსებობდა ინფორმაცია, რომ ქართველი აქციონერებისთვის საკუთარი წილის წარმომევა უნდოდათ, თუმცა ამ დროისთვის ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ქართველი აქციონერები ქარხანას იურიდიულად აღარ აკონტროლებენ, რადგან მათ საკუთარი წილი ინგლისურ კომპანია "სტემკორს" მიჰყიდეს", -განაცხადა კვერენჩხილაძემ.

მისივე თქმით, არსებობს დოკუმენტი, რომლის თანახმადაც ინგლისურ კომპანია "სტემკორთან" მიღწეულია შეთანხმება ზესტაფონის "ფეროშენადნობთა" ქარხნის აქციების გადაცემაზე და ამის შესახებ უკვე ეცნობა საქართველოს მთავრობის წევრებს.

როგორც ადვოკატი განმარტავს, ქარხანაში დღეს მომხდარი ინციდენტის შესახებ შეიტყვეს გერმანიაში სამუშაო ვიზიტად მყოფმა ქარხნის "იურიდიულმა ხელმძღვანელმა" ნიკა ჩიქოვანმა, რომელმაც მომხდარს "სრული განუკითხაობა" უწოდა.

დღეს, ზესტაფონის "ფეროშენადნობთა" ქარხნის მუშების ერთმა ნაწილმა სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ქმედება გააპროტესტა.

როგორც "ინტერპრესნიუსს" ქარხნის თანამშრომლებმა განუცხადეს, სამართალდამცველებმა საწარმოს ახალი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიგა ბედინეიშვილი 30-კაციანი შეიარაღებული სპეცრაზმის თანხლებით წარადგინეს, მანამდე, ქარხნის გენერალური დირექტორის ნიკა ჩიქოვანის კაბინეტი შეტეხეს და ისე დაიკავეს. კაბინეტი მას შემდეგ დაილუქა, რაც ორი თვის წინ, ფინანსური პოლიცია საწარმოში ბუღალტერიის შესამოწმებლად შევიდა. **ინტერპრესნიუსი**

# პარლამენტი უხმაუროდ ამუშავდა

გიორგი ასანიშვილი

იაკობ ლეონიძის ფოტო

პარლამენტის საგაზაფხულო სესიის პირველი პლენარული სხდომა საკმაოდ მშვიდ ვითარებაში ჩატარდა. ტრიბუნამონატრებულ დეპუტატებს განსაკუთრებული აქტიურობა არ გამოუჩენიათ, რაიმე ხმაურიანი განცხადება არ გაუკეთებიათ და სახელმწიფო ჰიმნის მოსმენის შემდეგ მშვიდად შეუდგნენ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვას.

"ღენტის გაჭრა" კი საკადრო საკითხით მოხდა: გურიის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულად დანიშნული ალეკო ცინცაძის ადგილმონაცვლედ, 151 ხმით ერთის წინააღმდეგ, დამტკიცებული იქნა მაია ახვლედიანი.

გარკვეული აჟიოტაჟი გამოიწვია მეორე საკადრო საკითხმა, რომელიც ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან მიხეილ ჯიბუტის გათავისუფლებას შეეხებოდა.

რამდენიმე დეპუტატმა, რომლებიც, ძირითადად, სახელისუფლებო ფრაქციას წარმოადგენდნენ, მოითხოვეს, რომ მიხეილ ჯიბუტი პარლამენტში გამოცხადებულიყო და კანონმდებლებისთვის აეხსნა, თუ რატომ დატოვა მან საკუთარი ნებით ერთობ საპასუხისმგებლო პოსტი. მათმა დაჟინებამ "რესპუბლიკელი" თემურ ნერგაძე ფრიად გააოცა.

**"თქვე დალოცვილებო, "შეამბოხე მოსამართლეები" აქეთ იხვეწებოდნენ, პარლამენტში ერთი სიტყვა მაინც გვათქმევინეთო, მაგრამ თავი მოიკალით და ხმა არ ამოაღებინეთ. მიშა ჯიბუტი კი საკუთარი ნებით წავიდა თანამდებობიდან და მისგან მაინც დაჟინებით ითხოვთ ახსნა-განმარტებებს,"** - ორმაგ სტანდარტებში ამხილა ოპოზიციონერმა დეპუტატმა უმრავლესობის წევრები, რის შემდეგაც ამ უკანასკნელთ ჯიბუტის "ხილვის" სურვილი საერთოდ გაუქრათ.

კიდევ ერთხელ დეპუტატები მაშინ გააქტიურდნენ, როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ეკა ტყეშელაშვილმა პარლამენტარებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი წარუდგინა. კანონპროექტის ერთ-ერთი მუხლის მიხედვით, წესდება 50-ლარიანი ჯარიმა ისეთი ავტომობილების ექსპლუატაციისთვის, რომელთა საწვავადაც ბუნებრივი აირი გამოიყენება. ამ საკანონმდებლო ცვლილებას არაერთი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. გია თორთლაძე, კერძოდ, ვარაუდობს, რომ ასეთი აკრძალვის დაკანონება მოძრაობის პარალიზებას გამოიწვევს, რადგან გაზის საწვავი სისტემა ძალიან ბევრ ავტომანქანას აქვს დაყენებული. ამასთან, პარლამენტარი მიიჩნევს, რომ დოკუმენტის მიღებას აუცილებლად მოჰყვება მძღოლთა უკმაყოფილება, ვინაიდან გაზის სისტემის შეცვლა მნიშვნელოვან დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული.

დეპუტატების შენიშვნებში ლოგიკა რომ არის, ამას ტყეშელაშვილიც ადასტურებს. იგი საჭიროდ მიჩნევს, რომ მეორე მოსმენის წინ, საპარლამენტო კომიტეტებთან ერთად, კანონპროექტის სადავო მუხლებს კიდევ ერთხელ მიუბრუნდეს.

გუშინვე პარლამენტმა პირველი მოსმენით განიხილა კანონპროექტი "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ", აგრეთვე, იმსჯელა "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის შესახებ" კანონში შესატან ცვლილებებზე, რომლის მიხედვითაც, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უნდა გადაეცეს.

ასეთ "უწყინარ" კანონპროექტებზე მსჯელობისას, დეპუტატებს, როგორც ჩანს, თავში ისევ რუსი სამშვიდობოების საკითხი უტრიალებდათ, რომლის შესახებაც პარლამენტმა დღეს უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება. გუშინ კი კანონმდებლები ჯერ კიდევ გაურკვევლობაში იყვნენ. პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს ორი მოსაზრება. პირველი: ვინაიდან გასული წლის 11 ოქტომბერს მიღებული დადგენილების პროექტი საკმაოდ ტევადი და ყოვლისმომცველია, პარლამენტმა ის მხოლოდ უნდა დაადასტუროს. მეორე: რუსი სამშვიდობოების გაყვანის თაობაზე მიღებული იქნას ახალი დოკუმენტი.

თუმცა, ამ შემთხვევაში საკანონმდებლო "ტექნიკას" არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რა დატვირთვის მატარებელი იქნება დღეს მიღებული დადგენილება.

### მოკლედ

**ელექტროკავშირის აბონენტებისთვის შიდა ქსელში მომსახურება ფასიანი ხდება**

ცნობილი გახდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გადაწყვეტილება "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" (ყოფილი "ელექტროკავშირი") გაყიდვასთან დაკავშირებით ტენდერის გამოცხადების შესახებ.

საინტერესოა ერთი დეტალი, რომელიც "ელექტროკავშირის" შემდგომ მუშაობას ეხება. კერძოდ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: "სს საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიას", მისი ქსელის ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, უნდა განესაზღვროს გრაფიკი, რომლის მიხედვით მოხდება სხვა კომპანიების აბონენტებთან დაკავშირებისათვის 822 კოდის გაუქმება და საკუთარი აბონენტებისათვის თავის ქსელში განხორციელებული სატელეფონო საუბრისთვის წუთობრივი ტარიფის დაწესება", ხოლო გადაწყვეტილების მე-5 პუნქტში წერია: უზრუნველყოს სს "საქართველოს სატელეკომუნიკაციო კომპანიამ" საკუთარ ქსელში ნუთობრივი ტარიფის შემოღება საბილინგო სისტემების უზრუნველყოფის შემდეგ. **მედიანიუსი**

**საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს შეფასების ინდიკატორები შეცვალა**

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს შეფასების ინდიკატორები შეცვალა. საგადასახადო შემოსავლების მობილიზების თვალსაზრისით საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდის პერიოდულ შემოწმებასა და მონიტორინგს აღარ საჭიროებს. ამის შესახებ განცხადება ფინანსთა სამინისტროში სავალუტო ფონდის მისიის ვიზიტის შემდეგ გაკეთდა.

მისიის წარმომადგენლები 2005 წელს საქართველოში მიღებულ შედეგებს წარმატებულს უწოდებენ. მისიამ ასევე მიიღო გადაწყვეტილება, სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოსთან საქართველოს, ფონდის პროგრამის გაგრძელებასთან დაკავშირებით, რეკომენდაცია გაუწიოს. პროგრამის ფარგლებში საქართველო ფონდისგან აპრილში 20 მილიონ დოლარს მიიღებს, რაც საქართველოს საერთაშორისო რეზერვების შევსებისთვის არის გამიზნული.

ფინანსთა მინისტრთან გუშინდელი შეხვედრის შემდეგ მისიის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ქვეყანას გააჩნია მიმზიდველი პერსპექტივები, რადგან მთავრობა აგრძელებს დაწყებულ რეფორმებს და წარმატებით ახორციელებს საგადასახადო შემოსავლების მობილიზებას. **ინტერპრესნიუსი**

## "ფეროშენადნობათა" ქარხნის თანამშრომლები ოპერატიული დეპარტამენტის ქმედებებს აპროტესტებენ

ზესტაფონის "ფეროშენადნობთა" ქარხნის მუშების ერთი ნაწილი სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ქმედებას აპროტესტებს. როგორც ქარხნის თანამშრომლებმა განაცხადეს, სამართალდამცველებმა საწარმოს ახალი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიგა ბედინეიშვილი 30-კაციანი შეიარაღებული სპეცრაზმის თანხლებით წარადგინეს, მანამდე ქარხნის გენერალური დირექტორის ნიკა ჩიქოვანის კაბინეტი შეტეხეს და ისე დაიკავეს. კაბინეტი მას შემდეგ დაილუქა, რაც ორი თვის წინ, ფინანსური პოლიცია საწარმოში ბუღალტერიის შესამოწმებლად შევიდა.

"ფეროს" იურისტის მიხეილ კოვზირიძის განცხადებით, მოხდა კანონის უხეში დარღვევა - სამეთვალყურეო საბჭოსა და სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად, ძალისმიერი მეთოდებით მოხდა კაბინეტში შეჭრა.

"ფეროს" მეპატრონეები ამჟამად საქართველოში არ იმყოფებიან. გუშინ ახალ დირექტორს გიგა ბედინეიშვილს თათბირი ჰქონდა დანიშნული, თუმცა თათბირს საწარმოს ინჟინრები პროტესტის ნიშნად არ დაესწრნენ.

გავრცელებული ინფორმაციით, გიგა ბედინეიშვილი პრეზიდენტ სააკაშვილის მრჩეველი იყო ეკონომიკურ საკითხებში, შემდეგ იგი "ფეროშენადნობთა" ქარხანაში მრჩევლის სტატუსით მუშაობდა. **ინტერპრესნიუსი**

# რუსი დეპუტატები სამშვიდობოების ბედით დაინტერესდნენ

ჰირველი გვერდიდან

**"მათ იმ პრეტენზიების გაცნობა სურთ, რაც ქართულ მხარეს რუსი სამშვიდობოების მიმართ გააჩნია. ჩვენ მათ შევხვდებით და აღნიშნულთან დაკავშირებით რეალურ ინფორმაციას მივაწვდით... ჩვენ მათ ხელს შევუწყობთ, რომ ობიექტური ინფორმაცია მიიღონ. შემდეგ დასკვნას გააკეთებენ. თუმცა, ამ ანალიზის იმედი არ მაქვს,"** - განაცხადა გუშინ რუსი დეპუტატების ვიზიტის კომენტირებისას სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ.

დღეს რუსი დეპუტატები ცხინვალში გაემგზავრებიან და რეგიონში შექმნილ მდგომარეობას ადგილზე შეისწავლიან. ცხინვალში მათ საქართველოში რუსეთის საელჩოს წარმომადგენლები გაჰყვებიან.

გუშინვე, მოსკოვში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წარმომადგენლებმა რუსი სამშვიდობოების კონფლიქტის ზონიდან შესაძლო გაყვანის საკითხზე თავიანთი მოსაზრება გამოთქვეს. როგორც რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერმა სერგეი ბაბურინმა განაცხადა, სამშვიდობოები დარჩებიან იმ ტერიტორიაზე, სადაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელთა მიწვევით უნდა იმყოფებოდნენ, ხოლო საქართველოს ტერიტორიიდან კი უნდა გავიდნენ.

სათათბიროს ვიცე-სპიკერი ლუბოვ სლისკა მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტი არღვევს იმ შეთანხმებებს, რომელთა შესრულებას მხარეებს მსოფლიო თანამეგობრობა მოუწოდებს. **"შექმნილ სიტუაციაში კომპრომისი უნდა მოიძებნოს და ძალიან არ მინდა, რომ გადაწყვეტილებების მიღება და დასკვნების გამოტანა ცხელ გულზე, მხოლოდ ემოციებით ხდებოდეს. მე მესმის, რომ ქართველები ძალიან ტემპერამენტიანი ხალხია, თუმცა არ მინდა, რომ ეს გადაიზარდოს კონფლიქტში, რომლის დარეგულირება ძალიან რთული იქნება. მერე უკვე ვერანაირი სამშვიდობოები, ალბათ, სიტუაციას ვეღარ დაარეგულირებენ. მე არ გემუქრებით. უბრალოდ, პროცესი არ უნდა მიიყვანოთ დუღილამდე, მაშინ, როცა ის უფრო მშვიდობიანი გზით შეიძლება მოგვარდეს,"** - განაცხადა ლუბოვ სლისკამ.

დუმის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ვლადიმირ ვასილიევმა განაცხადა, რომ რუსი სამშვიდობოების გაყვანა სამშვიდობო პროცესიდან "გვერდზე გადახვევაა". მისივე თქმით, არსებობს საერთაშორისო პროტოკოლები და დადგენილი წესები, რომელთა მიხედვით ამ სახის გადაწყვეტილებები შეთანხმების მონაწილე ყველა მხარემ უნდა განიხილოს, დაამუშაოს და გადახედოს.

***24 საათი***

# ფეროში ძალისმიერი მეთოდით ახალი ხელმძღვანელი შეყავთ - რა ელის "ჭიათურმანგანუმს"

მაია ტაბატაძე

სააქციო საზოგადოება "ჭიათურმანგანუმში" ბოლო ორი თვის განმავლობაში შექმნილი რთული სიტუაციის გამო, ჭიათურაში ადგილობრივი ბიუჯეტი იანვარში მხოლოდ 12%-ით შესრულდა, გაუცემელია 4 200 მოსამსახურის ორი თვის ხელფასი, საწარმოს ბედი კი ბეწვზე ჰკიდია. თუმცა, უფრო სწორი იქნება ითქვას, რომ საწარმოს ბედი სს "ზესტაფონის "ფეროშენადნობის" ბედზეა გადაჯაჭვული, "ფეროს" კი ამ ბოლო დროს, როგორც ცნობილია, სერიოზული პრობლემები აქვს. (ზესტაფონიდან გაზეთ "არგოს" კორესპონდენტმა ნატო სამთელაძემ გვაცნობა, რომ გუშინ (14 თებერვალს)ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში "სპეცრაზმმა" (სოდმა) პრეზიდენტის ყოფილი ეკონომიკური მრჩეველი გიორგი ბედინეიშვილი შეიყვანა, რომელმაც დირექტორის კაბინეტი დაიკავა. ამან ქარხანაში დაბნეულობა გამოიწვია. ბედინეიშვილს, როგორც ამბობენ, ქარხნის დირექტორად დანიშვნას უპირებენ, მაგრამ როგორ შეიძლება ეს მოხდეს კერძო საწარმოში მეპატრონის თანხმობის გარეშე, გაუგებარია. ცნობისათვის, თავის დროზე, გიგა ბედინეიშვილი სს "ფეროშენადნობის" დირექტორთა საბჭოს დაქირავებული კონსულტანტი გახლდათ).

"თუ სიტუაცია საწარმოში სასწრაფოდ არ იქნა დარეგულირებული და "ჭიათურმანგანუმმა" ვერ გადაუხადა სათანადო თანხები ადგილობრივ ბიუჯეტს, ჩათვალეთ, რომ ჭიათურაში, ფაქტობრივად, ნულზე იქნება ყველაფერი, -" შეშფოთებას გამოთქვამს თეგნიზ მოცრაძე, საქართველოს პარლამენტის დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატი ჭიათურიდან. იგი "ჭიათურმანგანუმის" პრობლემებს, ძირითადად, ზესტაფონის "ფეროში" შექმნილ პრობლემებს უკავშირებს, რის გამოც, "ფეროსა" და "ჭიათურმანგანუმს" შორის კონტრაქტი ჩაიშალა, რამაც საწარმოს პარტნიორი დააკარგვინა და მშრალზე დატოვა. იგი არ გამორიცხავს ამ პროცესებში დაინტერესებული პირების არსებობას.

არადა, ბოლო წლების განმავლობაში "ჭიათურმანგანუმი" ნელ-ნელა იკრეფდა ძალებს და იყო იმის სერიოზული პერსპექტივა, რომ გაკოტრების რეჟიმში მომუშავე საწარმო რენტაბელური გამხდარიყო. გასული წლის დეკემბრამდე საწარმოს ბიუჯეტში ყოველთვიურად 400-500 ათას ლარზე მეტი შეჰქონდა და უეცრად, ერთ საბედისწერო დღეს, არათუ ბიუჯეტის შენატანები, თავად დარჩა ბიუჯეტის იმედად გაუცემელი ხელფასების გამო. ამხელა საწარმოსათვის, შესაძლოა, 400-500 ათასი ლარი არ არის ის პარამეტრი, რომელიც მას შეეფერება, მაგრამ აშკარა წინსვლა რომ იყო, ეს ცხადია. გასაგებია და, ალბათ, გამართლებული ხელისუფლების სურვილი მოძებნოს კარგი ინვესტორი, მაგრამ ინვესტორის ძიება და, პარალელურ რეჟიმში საწარმოს გამართული და შეუფერხებელი მუშაობა ერთმანეთს სულაც არ გამორიცხავს, მით უმეტეს, რომ მართლაც ღირებული ინვესტორები სანთლით საძებარია. ერთი ანდაზისა არ იყოს, "სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძრესო." სანამ ინვესტორი გამოჩნდება, "ჭიათურმანგანუმის" მუშა-მოსამსახურეები შესაძლოა, სავალალო პირობებში აღმოჩნდნენ, რადგან მათი დიდი უმრავლესობის ოჯახების ერთადერთი შემოსავალი "ჭიათურმანგანუმის" მიერ მათთვის გადახდილი ხელფასია.

2002 წლამდე საწარმოს ძალიან უჭირდა და დიდი ვალიც დაუგროვდა, თუმცა მას შემდეგ, რაც ზესტაფონის "ფეროშენადნობმა" ჭიათურმანგანუმთან კონტრაქტი გააფორმა და მისი პროდუქციის ძირითადი მომხმარებელი გახდა, საწარმომ ნელ-ნელა დაიწყო ჩიხიდან გამოსვლა და საიმედო პერსპექტივაც გაუჩნდა.

ცნობისათვის: სს "ჭიათურმანგანუმის" აქციების 85%-ი ამჟამად სახელმწიფოს საკუთრებაშია. დაახლოებით 3%-ს ქარხნის მუშა-მოსამსახურები ფლობენ, 11%-ს კი ორი ამერიკული კომპანია - "ისტალ კაპიტალ კორპორეიშენი" და "ინდუსტრია კაპიტალ კორპორეიშენი" - ინაწილებს.

**"ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, საწარმოს 2005 წელს ბიუჯეტში ყოველთვიურად 400-500 ათას ლარზე მეტი შეჰქონდა, სახელფასო ფონდი კი თავისი სოციანარიცხებით 1 მლნ 180 ათას ლარს შეადგენს (აქედან ხელზე გასაცემი თანხა 900 ათას ლარამდეა). საწარმოში 4 200 კაცია დასაქმებული. სხვადასხვა კატეგორიის მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი სხვადასხვაგვარია, საშუალო ხელფასი კი 180-200 ლარია.** რაც შეეხება დავალიანებას, რომელიც საწარმოს 2002 წლამდე დაუგროვდა, რიცხვი საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება. იანვრის მონაცემებით, ვალი 72 მილიონი ლარია. აქედან 42 მილიონი ლარი საბიუჯეტო დავალიანებაა, 1 მილიონ 800 ათასი ლარი 1998-99 წლებში გაუცემელი ხელფასების შედეგად დაგროვდა. დაახლოებით 5 მილიონ ლარს შეადგენს "ჭიათურმანგანუმის" ვალი დაზარალებული მოსახლეობისადმი, ე.წ. კრედიტორებისადმი, რომლებსაც მაღაროს გამო სახლ-კარი დაენგრათ და ღია ცის ქვეშ დარჩნენ. საწარმოს აქვს, აგრეთვე, სხვადასხვა ფირმებისა და ორგანიზაციების ვალიც.

ამას ემატება ახალი, თუნდაც, შეღავათიანი სესხი ცენტრალური ბიუჯეტიდან 928 ათასი ლარის ოდენობით და კიდევ 2,5 მლნ ლარი ასეთივე სესხი, რომელსაც ხაზინა კვლავ გამოუყოფს საწარმოს ხელფასების დასაფარავად.

იანდი შეყილაძე: "ორთვიანი ჩავარდნა იმიტომ მოხდა, რომ დიდთოვლობა იყო, აგრეთვე, პრობლემა შეგვექმნა პარტნიორთან დაკავშირებით - ზესტაფონის "ფეროშენადნობმა" ვეღარ მოახერხა წინსწრებით თანხის გადმორიცხვა და კონტრაქტი ჩაიშალა."

**ირაკლი ჩოგოვაძე**, ეკონომიკური განვითარების მინისტრი "ჭიათურმანგანუმში" შექმნილ სიტუაციაზე ასეთ კომენტარს აკეთებს:

" ჩვენ ვმუშაობთ, რომ პერმანენტული გადაწყვეტილება იქნას ნაპოვნი. ამასობაში "ჭიათურმანგანუმს" ცენტრალური ბიუჯეტიდან მიეწოდება შეღავათიანი სესხი იმისათვის, რომ ხელფასები გავისტუმროთ, რათა მუშაობა არ შეჩერდეს. "

"გაკოტრების რეჟიმში მყოფი საწარმოზე ვერ იტყვი, რომ წარმატებით მუშაობს, - აცხადებს მინისტრი. - სანამ არ იქნება ნაპოვნი ინვესტორი, რომელიც აიღებს თავის თავზე როგორც ვალდებულებებს, ასევე, იმუშავებს საწარმოში სრული ციკლით მუშაობს და, მე ასე მგონია, ჩავარდნა აღარ იქნება, დღეს არსებული სიტუაციიდან გამომდინარე. გვყავს პარტნიორები, - საზღვარგარეთაც გადის ჩვენი პროდუქცია, 2,5 მლნ ლარის სესხს რაც შეეხება, ამით ხელფასებს ავანაზღაურებთ და მე ვფიქრობ, მეტი სესხი აღარ დაგვჭირდება. ღმერთმა აღარ დაგვაჭირვოს. მანამდე პარტნიორიც გამოჩნდება და თუ ჩვეულ რეჟიმში ვიმუშავებთ, არც მიმდინარე სესხების დაფარვაა პრობლემა".

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის "ოპტიმიზმს" მაღაროელები არ იზიარებენ:

**ვილენ ბრეგაძე**, მაღაროს მუშა: "მაღაროელები, ფაქტობრივად, გაძლებაზე ვართ. ერთმა თანამშრომელმა დღეს მითხრა, სახლში ცოტა მჭადის ფქვილი და რამდენიმე კოჭა ძაძარი დავტოვე, ბავშვებს ჩაი რომ დაელიათ და შიმშილი მოეკლათო."

**დავით თაბაგარი**, მაღაროს მუშა: "საწარმოში ძალიან ცუდი ვითარებაა, გარდა იმისა, რომ ორი თვეა, ხელფასებს ვერ ვიღებთ, არ არის საწარმოო მასალებიც მუშაობის ნორმალური რეჟიმისათვის".

**მერაბ კენჭოშვილი**, მაღაროს მუშა: " ორი თვეა, ხელფასი არ აგვიღია, სოფელში ვცხოვრობ და გზის ფული რომ არ მაქვს, ჭიათურაში ფეხით დავდივარ. ჩემს ოჯახს ორი თვის უხელფასობა ძალიან დაეტყო".

**ჭიათურაში 33 დღეა გრძელდება საპროტესტო აქცია იმ დაზარალებული მოსახლეობისა, ვისაც მაღაროს გამო სახლ-კარი დაენგრა.**

**ეთერ ხახიშვილი**, აქციის მონაწილე:" ჩვენი აქცია 33 დღეა გრძელდება. დღეს ერთ-ერთმა მონაწილემ მშრალი შიმშილობა დაიწყო. იმედიც აღარაფრის გვაქვს, რას ველოდებით, ისიც არ ვიცით".

**ჭიათურის დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატი თენგიზ მოცრაძე შექმნილი მდგომარეობის გამო აღშფოთებას არ მალავს**: "მოგეხსენებათ, "ჭიათურმანგანუმის" სიმძლავრეების ათვისება, იმ პროექტების განხორციელება, რომელიც საბჭოურ რეჟიმში ხორციელდებოდა, დღევანდელ პირობებში წარმოუდგენელია, მაგრამ ეტაპობრივად უნდა მომხდარიყო საწარმოს რეაბილიტაცია. რამდენიმე წლით გაჩერებამ მთელი რიგი პრობლემები შექმნა, ფაქტობრივად, დაიკარგა გასაღების ბაზარი, იყო ტექნიკური ხასიათის პრობლემებიც. გარკვეული დრო დასჭირდა, რომ ეტაპობრივად კუს ნაბიჯებით მომხდარიყო ამ საწარმოს აღმასვლა. ჩვენდა საბედნიეროდ, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ, რომელსაც ხელმძღვანელობს ავსტრიული კომპანია, კონტრაქტი გააფორმა "ჭიათურმანგანუმთან". გარკვეული თანხა წინსწრებით მიანოდეს, გადასცეს გარკვეული ტექნიკაც და საწარმომ ნელ-ნელა ტემპები აკრიფა. 2005 წლის ზაფხულის პერიოდისთვის მარგანეცის წარმოება თვეში 20 - 22 ათას ტონამდე გაზარდა. ეს წინსვლა აისახა ბიუჯეტზეც და ადგილობრივ ბიუჯეტში ჭარბი შემოსავლები გაჩნდა. ერთხელ მოხდა კოეფიციენტის აწევა მარგანეცის ღირებულების გაზრდის თვალსაზრისით, უკვე შეთანხმებული იყო, რომ კოეფიციენტი 1,7-1,8-ზე ავიდოდა, მაშასადამე, კიდევ იყო პერსპექტივაში ღირებულების გაზრდის რეალობა, რაც, ფაქტობრივად, უკვე რენტაბელურს გახდიდა საწარმოს, რომელიც გაკოტრების რეჟიმში მუშაობს. ახლა 7-ჯერ კი არ დაეცა წარმოება, როგორც აცხადებენ, იანვარში, ფაქტობრივად, საწარმო კატასტროფულ მდგომარეობაში ჩავარდა. მიზეზი არის, ძირითადად, ის რომ ზესტაფონთან კონტრაქტები მოიშალა, რატომ მოიშალა, რის გამო, არ ვიცი და ამის გამო ძალიან ვღელავ. მე ვარ რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი. "ჭიათურმანგანუმის" მუშაობაზე მთლიანად არის დამოკიდებული ჩვენი რაიონის ბედი. იანვარში ადგილობრივ ბიუჯეტში, 200 ათასის ნაცვლად, შევიდა 30 ათასი ლარი ანუ ბიუჯეტი 12%-ით შესრულდა. ანალოგიური სიტუაცია გვექნება თებერვალშიც. შეიძლება ვიღაცამ თქვას, რომ დიდთოვლობამ შეუშალათ ხელი, მაგრამ ძირითადი ბირთვი მოქმედებდა, აგრძელებდა მუშაობას და ყველაზე ცუდ ამინდშიც კი ორხიდიანი თუ სამხიდიანი მანქანებით ახერხებდნენ მუშა-მოსამსახურეების გადაადგილებას. ყველაფერი განპირობებულია "ფეროსთან" კონტრაქტის ჩაშლით. ახლა სარეალიზაციოდ კიდევ ახალი ბაზარია საძებნი. მე ვერ გეტყვით, ეს რატომ მოხდა და ვის ინტერესებშია. უახლოეს დღეებში ვაპირებ, გავარკვიო, რა პოზიციაა მთავრობაში "ჭიათურმანგანუმთან" დაკავშირებით. მე მინდა ხმამაღლა განვაცხადო, რომ ეს არის მეტად საყურადღებო ფაქტი. ახლა გამოდის, რომ რაიონში, რომელიც ფეხზე დადგა და ყველანაირი პრობლემა უკვე თითქმის მოხსნილი იყო, ყველაფერი ნულიდან უნდა დაიწყოს. რა მდგომარეობაა თვითონ "ფეროში", რატომ არის გაჩერებული, ამას ამ საკითხით დაინტერესებული პირები გაიხილავენ და გაარკვევენ, მაგრამ ჩემს რაიონში ასეთი კატასტროფული ვითარებაა. მქონდა, რასაკვირველია, საუბარი საწარმოს ხელმძღვანელობასთან, მაგრამ იმათაც არ იციან, რა ხდება. არის შესამოწმებელი რაიმე სანარმო? რასაკვირველია, უნდა შემოწმდეს, ეს სხვა საკითხია, მაგრამ შემმოწმებლების შესვლამ არ უნდა გააჩეროს ამხელა გიგანტები, "ფეროშენადნობი" და "ჭიათურმანგანუმი". ჩვენთვის პირველხარისხოვანი და მნიშვნელოვანი არის, რომ ამ საწარმოებში დასაქმებულია რამდენიმე ათასი ადამიანი და ეს არის, ფაქტობრივად, მთელი რაიონის მატერიალური სფერო. რაც შეეხება სესხებს, წინა პრეზიდენტის პერიოდში მიცემულ სესხს 800 ათას ლარს იმდენი საურავი დაერიცხა, რომ მარტო საურავებმა 20 მლნ-ს გადააჭარბა. სესხი არ არის გადარჩენა, ეგ არ არის შველა. აქ ან ვიღაცების ინტერესია ჩაბერული, რის გამოც ასე უნდა მომხდარიყო, ან არ ვიცი, რა უნდათ, დაღუპვა უნდათ ჩვენი რაიონის, ამ რეგიონის? "უნდა გაიყიდოს, გაიყიდოსო", რომ იძახიან, რამდენი წელია, აღარ დაადგა საშველი ამ გაყიდვას!

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რა საჭირო იყო სესხები, როცა საწარმომ ამხელა ტემპები აკრიფა, გაჩნდა პროდუქციის ღირებულების საერთაშორისო ფასთან დაახლოების და საწარმოს რენტაბელურად ქცევის პერსპექტივა. რაც მოხდა, ეს არ არის სწორი მიმართულება. 12 %-ით შესრულდა იანვარში ბიუჯეტი, ნაშთი იყო წინა წლიდან გადმოსული 600 ათას ლარზე მეტი. ამის წყალობით, იანვარ-თებერვალში რაიონში მძიმე სიტუაცია თავიდან იქნება აცილებული. თუ საწარმოში სიტუაცია სასწრაფოდ არ იქნა დარეგულირებული და "ჭიათურმანგანუმმა" ვერ გადაუხადა სათანადო თანხები ადგილობრივ ბიუჯეტს, ჩათვალეთ, რომ ჭიათურაში, ფაქტობრივად, ყველაფერი ნულზე დავა..."

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# ახალი მიზნები, ახალი გმირები, ახალი გამოწვევები...

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

პრეზიდენტის ანგარიში აგებული იყო ფაბულაზე: საიდან დავიწყეთ → სად ვართ → საით მივდივართ.

**“საიდან დავიწყეთ? დავიწყეთ ნანგრევებიდან, სადაც საქართველოს უკვე დამთავრებული ჰქონდა არსებობა. დავიწყეთ უძლურებიდან, უიმედობიდან, უშუქობიდან, უხელფასობიდან, უპენსიობიდან... რით დავიწყეთ? დავიწყეთ თავისუფლების სიყვარულით, რამაც “ვარდების რევოლუციის” დროს ამ დარბაზში მოგვიყვანა... ჩვენი მიზანია, გავამთლიანოთ სამად გახლეჩილი ქვეყანა, რომლის ორ ნაწილსაც ახლა ალქაჯები დაპატრონებიან,”** - როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ემოციებით იყო გაჯერებული სააკაშვილის გამოსვლა.

მიუხედავად პრეზიდენტის დაპირებისა, რომ ის პარლამენტში მიღწეულით თავის მოსაწონებლად არ მისულა, მის მოხსენებაში მაინც, ძირითადად, საუბარი იყო ეკონომიკის ზრდის “წარმოუდგენელ ტემპებზე”, წარმატებულ პრივატიზაციაზე, საბანკო სექტორის მოწესრიგებასა და მისი საერთაშორისო რეიტინგის ამაღლებაზე, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე...

მიხეილ სააკაშვილმა საქებარი სიტყვები არც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიმართ დაიშურა. **“ჩვენ გვყავს პარლამენტი, რომელმაც მოახერხა, პირადულ ინტერესებზე მაღლა დამდგარიყო და ქვეყნის წინსვლისთვის უმნიშვნელოვანესი კანონები მიიღო,”** - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

ერთადერთი უწყება, რომელმაც გუშინ სააკაშვილის რისხვა დაიმსახურა, საბაჟო სამსახურია. **“საბაჟო აუღებელ ციხესიმაგრად იქცა. ასობით მებაჟე დავაპატიმრეთ, მაგრამ ამ ხალხმა ჭკუა მაინც ვერ ისწავლა,”** - უკმაყოფილებას ვერ მალავს მიხეილ სააკაშვილი, რომელიც შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს საბაჟო ტარიფების გამარტივებასა და ახალი საბაჟო კოდექსის მიღებაში ხედავს.

ამასთან, საქართველოს პრეზიდენტი დანაშაულთან ბრძოლის გამკაცრების აუცილებლობაზეც საუბრობს. **“ნულოვანი ტოლერანტობა წვრილმანი დამნაშავეების მიმართაც კი! ყველა ასეთი დამნაშავე ციხეში უნდა წავიდეს. არავითარი პირობითი სასჯელი!”** - მოითხოვს სააკაშვილი და იქვე იმ მოსამართლის გვარსაც (ტურავა) ასახელებს, ვინც “დაჭერილ დამნაშავეებს ციხეებში კი არ უშვებს, არამედ საზოგადოებაში აბრუნებს”.

პრეზიდენტის საანგარიშო მოხსენების “ტრადიციული ატრიბუტია” “ჩვენი დროების გმირების გალერეა”, რომელსაც გუშინ ახალი პერსონები შეემატნენ. ესენი არიან: თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის მკვიდრი ანა მამუკელაშვილი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ეროვნული გამოცდები; ფერმერი სოსო ოქრუაშვილი; ენერგეტიკოსები, მეგზურევები, რომლებიც დღესა და ღამეს ასწორებდნენ, რათა 1 ოქტომბრის შუალედურ არჩევნებამდე პრეზიდენტისთვის გვირაბის გახსნა ეპატაკებინათ; ნაძალადევის რაიონის ერთ-ერთი საშუალო სკოლის უმცროსკლასელები, რომლებმაც ენერგეტიკული ბლოკადის დღეებში საკუთარი ხელით დაჭრეს შეშა, რათა სწავლა არ შეწყვეტილიყო...

როდესაც “დიდ პოლიტიკაზე” საუბრობდა, მიხეილ სააკაშვილმა ყველაზე მეტი საქებარი სიტყვა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს მიუძღვნა.

**“ჩვენს ქვეყანას ჰყავს ყველაზე პატარა, მაგრამ ყველაზე კარგად აღჭურვილი ჯარი. მის გარეშე სახელმწიფოს წინსვლა ძალიან პრობლემატური იქნებოდა. “რაგატკების” მსროლელი მინისტრი წარსულს ჩაბარდა,”** - აცხადებს პრეზიდენტი. მისივე თქმით, საქართველო ნატოდან ერთი ხელის გაწვდენაზეა და თუ ქვეყანა დიდ პროვოკაციაში არ ჩაითრიეს, 2008 წელს ის აუცილებლად გახდება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი. მოლოდინის საწინააღმდეგოდ, გუშინდელი გამოსვლის დროს სააკაშვილი საერთოდ არ შეხებია რუსი სამშვიდობოების საკითხს. ეს თემა პრეზიდენტმა “ახალი ორჯონიკიძეების” – იგორ გიორგაძისა და ჯემალ გოგიტიძის კრიტიკით ჩაანაცვლა...

პრეზიდენტის საანგარიშო მოხსენების გარშემო დებატები პარლამენტის დღევანდელ სხდომაზე გაიმართება.

## თელავში საპატრიარქოს უპირისპირდებიან

ᲖᲕᲘᲐᲓ ᲠᲣᲐᲫᲔ
ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲓᲐᲜ

*თელავში მეოთხე ბაგა-ბაღის დირექცია და მშობელთა საბჭო საპატრიარქოს უპირისპირდება. ამის მიზეზი ის განცხადებებია, რომლებიც რაიონის გამგეობაში ზედიზედ სამჯერ შევიდა. საპატრიარქო აღნიშნული ბაგა-ბაღის ლიკვიდაციას და შენობის სამრევლო სკოლისთვის გადაცემას მოითხოვს.*

განათლების სამინისტროს ნორმატივების მიხედვით, ბაგა-ბაღების გაუქმება იმ შემთხვევაში ხდება, თუ იქ ბავშვთა რაოდენობა თხუთმეტზე ნაკლებია, თუმცა ზოგიერთ რაიონში დაწესებულების ლიკვიდაცია რვა აღსაზრდელის შემთხვევაშიც კი არ ხდება. თელავის რაიონის გამგეობამ კი IV ბაგა-ბაღის დაფინანსება მაინც შეწყვიტა. ბაღის დირექტორისა და მშობელთა კომიტეტის საბჭოს თავმჯდომარის თქმით, ადგილობრივ ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს ბაგა-ბაღის შენობა საპატრიარქოს გადაეცეს, რადგან აქ უკვე მეორე წელია, რაც ალავერდის ეპარქიასთან არსებული, წმ. შალვა, ბიძინა და ელიზბარის სახელობის სკოლა ფუნქციონირებს.

არადა, სკოლა თავდაპირველად შენობაში მდგმურის სტატუსით შევიდა. მას შემდეგ კი, რაც გამგეობამ ბაღს დაფინანსება შეუწყვიტა, სამრევლო სკოლის დირექციამ გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის გოჩა მამაცაშვილის სახელზე განცხადება ზედიზედ სამჯერ დაწერა. წერილები ერთი და იგივე რიცხვით არის დათარიღებული. თავდაპირველად სკოლის დირექტორი თეა მახათელაშვილი რაიონის ხელმძღვანელს ბაგა-ბაღის კუთვნილ ინვენტარს სთხოვდა. “**უმორჩილესად გთხოვთ, ქ. თელავის ყოფილი IV ბაგა-ბაღის ინვენტარი: პიანინო, სპორტული სკამი, თითქმის ყველასათვის გამოუყენებელი ავეჯი (ბაღის საწოლები, კარადები, მაგიდები და ა.შ) სასულიერო სკოლას გადმოგვცეთ,**” - აღნიშნულია განცხადებაში, რომელიც მიმდინარე წლის 3 თებერვლით თარიღდება. გამგეობაში ამავე რიცხვით კიდევ ორი განცხადებაა შესული, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სამრევლო სკოლა, საპატრიარქოს სახელით, უკვე ბაგა-ბაღის შენობას ითხოვს. “**დღეისათვის ბაღის ფუნქციონირება სტანდარტების დარღვევის გამო შეწყვეტილია, იგი ლიკვიდაციის მდგომარეობაში იმყოფება. ჩვენი სკოლა კი, მზარდია და წარმატებული,**” - მინიშნებულია განცხადებაში.

საპირისპიროს ამბობენ თვით ბაღის დირექტორი და მშობელთა საბჭოს თავმჯდომარე. მათი თქმით, სამრევლო სკოლა თავიდანვე ცდილობდა აღნიშნული ობიექტის ხელში ჩაგდებას, გამგეობამ კი მათ ამის საშუალება მისცა. “**აქ იყო მეორე ინტერესი. სამრევლო სკოლამ რაიონის გამგეობას ულტიმატუმი წაუყენა: თუ აღნიშნული შენობა მათ გადაეცემოდა, ბაღიც იარსებებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ლიკვიდაციის საკითხი დადგებოდა,**” - ირწმუნება IV ბაგა-ბაღის მშობელთა საბჭოს თავმჯდომარე მარიამ მოსიაშვილი.

ბაგა-ბაღის დაფინანსების შეწყვეტის მიზეზს თელავის გამგებლის მოადგილე გიორგი პაპუნაშვილი ასე ხსნის: “**აღნიშნული ბაგა-ბაღის დაფინანსება იმ მიზეზით შეწყდა, რომ გარკვეულ სტანდარტებს არ აკმაყოფილებდა, ანუ ბავშვთა კონტინგენტი მცირე იყო.**”

თუმცა, ბაღის დირექტორის, ელისო ხუცურაულის თქმით, აღნიშნული დაწესებულება არც ისეთ ცუდ მდგომარებაშია. “**იმ დროს, როდესაც ჩვენი ბაღის დაფინანსება შეწყდა, 21 ბავშვი გვყავდა. ახლა კი - თხუთმეტია,**” - ამბობს იგი. მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, “**სწავლა რომ არ შეწყვეტილიყო, მშობლებმა ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ, გადასახადი მარტამდე წინასწარ გადავიხადეთ და ამით გამგეობას დავუმტკიცეთ, რომ იქ ბავშვები დადიან.**”

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, “24 საათი” საპატრიარქოს პრესმდივნის მოადგილეს ზურაბ ცხოვრებაძეს დაუკავშირდა, რომელმაც ამ საკითხზე პასუხის გაცემა საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის პრეროგატივად ჩათვალა. თუმცა, დიდი მცდელობის მიუხედავად, კომიტეტთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. სამრევლო სკოლის მოძღვრის მამა მიქაელის თქმით კი, მან პრობლემის შესახებ არაფერი იცის და, შესაბამისად, არც კომენტარს აკეთებს. ამასობაში კი, საქართველოს საპატრიარქომ სადაოდ ქცეული ობიექტის მისაღებად პრეზიდენტს მიმართა. განათლების სამინისტრომ კი, ეკონომიკის სამინისტროსთვის იმ საბუთების მომზადება დაიწყო, რომლითაც ობიექტის სრულუფლებიანი მფლობელი ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმ. შალვა, ბიძინა და ელიზბარის სახელობის სკოლა გახდება.

## პრეზიდენტის გამოსვლის შეფასებები

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ცხადი გახდა, რომ მთავრობაში ორჭოფული პოზიციაა – ნოღაიდელის და ბეჟუაშვილის გამოსვლები, როგორც ჩანს, სწორედ პრეზიდენტისგან მოდის. პრეზიდენტი არ არის ჩამოყალიბებული ამ საკითხზე.

საინტერესო იყო ის, რომ მან მთავარ ოპოზიციონერად იგორ გიორგაძე გამოაცხადა. ეს უკვე გამოკვეთილი კურსის გაგრძელებაა – ხელისუფლება ცდილობს გიორგაძის ფიგურის ხელოვნურად შექმნასა და მის მთავარ ოპოზიციონერად წარმოჩენას. დღეს ხელისუფლების ეს პოზიცია საბოლოოდ გაიშიფრა.

კიდევ ერთი ძალიან საინტერესო მესიჯი მოვისმინეთ: როდესაც პრეზიდენტი ეკონომიკურ თავისუფლებაზე საუბრობდა, მან ასეთი ციტატა მოიყვანა: “ანთავისუფლე მონებიო”, ანუ გამოდის, პრეზიდენტი ბიზნესმენებს მონებად მიიჩნევს. საინტერესო შეხედულებაა.

რაც შეეხება დამნაშავეების თემას და პირობითი სასჯელის გაუქმებას: სასაცილოა ამ ხელისუფლების მხრიდან წვრილმან დანაშაულზე სასჯელის გამკაცრებაზე საუბარი, სანამ შსს-ს მაღალჩინოსნები გირგვლიანის მკვლელობაზე პასუხს არ აგებენ.

**ლევან ბერძენიშვილი:** თავიდანვე გააზრებული იყო, რომ პრეზიდენტის სიტყვაში არ ყოფილიყო პოლიტიკა და ყოფილიყო საუბარი მარტო ეკონომიკაზე. ეს იყო აშკარა სამეურნეო სიტყვა, რომელიც საერთოდ არ ჰგავდა პოლიტიკური ლიდერის გამოსვლას. ამავე დროს, ამ გამოსვლას დამახასიათებელი ნიშნები ჰქონდა – არ იყო ნახსენები ოპოზიცია, არ იყო ნახსენები მმართველი პარტია, არ იყო არანაირი უზრდელობა ან სპეციფიკური ტერმინოლოგია ისეთი, როგორც “გაჩმახებაა” და მისთანები... ეს ნიშნები თავიდანვე გააზრებული იყო, რათა არ გამოეწვია განსაკუთრებული ვნებათაღელვა, ანუ შარშანდელი შეცდომები არ იქნა განმეორებული. ამავე დროს, იყო იგივე ტრაბახი, რომელიც ჩვეულებრივი მოვლენაა ამ ხელისუფლებისთვის. როდესაც ეკონომიკურ ნაწილს ვუსმენდი, მეგონა, პრეზიდენტი სხვა ქვეყანაზე ლაპარაკობდა. საუბარი იყო იმ წარმატებებზე, რომლებიც არ არის, და ასევე ძალიან გაზვიადებული იყო ის წარმატებები, რომლებიც არის.

პრეზიდენტმა არაფერი თქვა დღეისათვის ყველაზე მწვავე საკითხზე – სამშვიდობოებზე. ერთი უბრალო მიზეზი არსებობს: მან, უბრალოდ, არ იცის, რა თქვას ამ თემასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ ფრთხილნი და, ამავე დროს, თამამნი. მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ამის შეხამება, მან ჯერ არ იცის. ამიტომ მან დაიტოვა დრო და ასეთ რთულ საკითხებზე საჯაროდ არ ილაპარაკა.

დაბოლოს, ის, რომ განათლების რეფორმა მართლა წარმატებით მიმდინარეობს, ეს პრეზიდენტმა თავად დაადასტურა, როცა დიდი ქართველი პოეტის გრიგოლ ორბელიანის სიტყვები კიდევ უფრო დიდ ქართველ პოეტს შოთა რუსთაველს მიაწერა.

**ფიქრია ჩიხრაძე:** რა გითხრათ, ძალიან ხალისიან ხასიათზე დავდგებოდი, განსაკუთრებით რუსთველური წიაღსვლების შემდგომ, ეს რომ ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი არ ყოფილიყო.

რევოლუციის წლისთავი დიდი ხანია მიიწურა და ამიტომ, შეიძლებოდა, პრეზიდენტის გამოსვლა ბევრად უფრო სანდალი ყოფილიყო. დღეს, როცა ქვეყანაში ამდენი პრობლემაა, პრეზიდენტს არ გაუმახვილებია ყურადღება არც ერთზე. მან ისიც კი მოახერხა, რომ ყველაზე მტკივნეულ საკითხს - სამშვიდობოების თემასაც კი გვერდი აუარა. ვფიქრობ, ეს იმიტომ მოხდა, რომ დღეს ხელისუფლების პოზიცია აშკარად შეცვლილი და უკან დახეულია. სულ სხვა რიტორიკა იყო თვეების განმავლობაში... სააკაშვილს რომ ისევ ის პოზიცია ჰქონოდა სამშვიდობოებთან დაკავშირებით, ის აუცილებლად ისაუბრებდა ამ თემაზე.

წელს სპეციალურად ახალი ფორმატი მოიფიქრეს - ოპოზიციას გამოსვლის შესაძლებლობა არ მიეცა. მერწმუნეთ, ოპოზიციას გამოსვლის შესაძლებლობა რომ ჰქონოდა და პრეზიდენტისთვის პირისპირ ეთქვათ სათქმელი, მაშინ ოპოზიცია შარშანდელ “გაჩმახებაზე” უარეს პასუხს მიიღებდა.

**თინა ხიდაშელი:** აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წელთან შედარებით პრეზიდენტის წლევანდელი გამოსვლა გაცილებით უკეთესი იყო. ეს ცალსახაა. ორ მომენტს გამოვყოფდი, რომელმაც პირადად ჩემი, ერთი მხრივ, შეშფოთება და, მეორე მხრივ, უკმაყოფილება გამოიწვია. უკმაყოფილო დავრჩი იმით, რომ პრეზიდენტმა უპასუხოდ დატოვა დღეს საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი - სამშვიდობოების საკითხი. ეს არასწორია. მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა მთელი ამ ხნის განმავლობაში პრეზიდენტი სამშვიდობოებთან დაკავშირებით დუმდა. სიმართლე გითხრათ, ველოდებოდი, რომ ის საპარლამენტო გამოსვლისთვის ემზადებოდა და სწორედ იმიტომაც არჩევდა დუმილს, მაგრამ დღეს მან ამ თემაზე არაფერი თქვა. რატომ? ამ კითხვაზე პასუხი ნამდვილად არ მაქვს. იმედია, პარლამენტი სიურპრიზს არ მოგვიწყობს და ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნება. თუმცა, ერთი რამ ცალსახაა, მთავრობას არა აქვს ალტერნატიული გეგმა, თუ რა მოხდება მას შემდეგ, რაც სამშვიდობოების გასვლის გადაწყვეტილება იქნება მიღებული. ალბათ, სწორედ ამიტომაც აუარა გვერდი პრეზიდენტმა ამ საკითხს. მას არ უყვარს საკითხებზე გაკვრით საუბარი. მას უყვარს ისეთ საკითხებზე საუბარი, სადაც შეუძლია თავი მოიწონოს, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ის შემთხვევა არ არის.

ძალიან შემაშფოთა პრეზიდენტის გამოსვლის იმ ნაწილმა, სადაც მან დანაშაულებზე ისაუბრა. ეკონომიკაში სააკაშვილმა შეიძლება ძალიან ბევრი ციფრი მოიყვანოს და ჩემნაირი ადამიანები მოატყუოს, მაგრამ ის, რაც მან დამნაშავეობასთან დაკავშირებით თქვა, ძალიან შემაშფოთებელი იყო. ეს იყო, ალბათ, ყველაზე უფრო ისტერიული მონაკვეთი მთელი მისი გამოსვლისა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის ყვიროდა, “ყველანი ციხეშიო!” დარწმუნებული ვარ, რომ ეს არ არის ის მიდგომა, რომლითაც ჩვენ ევროპაში შევალთ. გასული წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტმა ისედაც ძალიან დაამძიმა სისხლის სამართლის კანონმდებლობა, როდესაც თითქმის ყველა ალტერნატიული ღონისძიება შეკვეცა. იმ ადამიანებისთვის, ვინც ციხეში არყოფნას არ იმსახურებს, დარჩა მხოლოდ პირობითი სასჯელი, თუ არ ჩავთვლით გირაოს ამ გაჭირვებულ ქვეყანაში. დღეს პრეზიდენტი ამის გაუქმებასაც ითხოვს. ანუ დემოკრატიისა და ევროკავშირის გზაზე მდგარ ქვეყანაში ერთადერთ ალტერნატივად საპატიმრო ღონისძიებები რჩება. და ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, როგორი ციხე გაქვს. რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში, ეს მნიშვნელოვანია. მაგრამ პრეზიდენტმა უნდა იცოდეს, რომ ცივილიზებული მსოფლიო დამნაშავეთა სამყაროს ალტერნატიული გზებით ებრძვის და არა ციხით. მიხეილ სააკაშვილი, როგორც ჩანს, ყვარყვარეს ციხეს გვიშენებს... მან პირდაპირი ინსტრუქტაჟი ჩაუტარა მოსამართლეებს, მათი გვარები ჩამოთვალა და აღნიშნა, რომ მოსამართლეები უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებს იღებენ, როდესაც პატიმრებს უშვებენ.

და კიდევ, პრეზიდენტის მთელი გამოსვლის განმავლობაში რაღაც აზრი ამეკვიატა, და როდესაც მან ახსენა სიტყვები - “საქართველოს სულიერი მისია”, მაშინ მივხვდი, რომ მისი გამოსვლა ძალიან ჰგავდა ზვიად გამსახურდიას გამოსვლებს...

**მაია ნადირაძე:** პრეზიდენტის მოსმენა არ ღირს, თუ ის პარლამენტის წინაშე ქვეყნის წარუმატებლობებზე ან უტოპიურ მიზნებზე ისაუბრებს.

როცა პრეზიდენტი რამდენიმე საათის განმავლობაში მხოლოდ მიღწევებსა და წარმატებებზე საუბრობს, ამით ადასტურებს იმას, რომ ქვეყანა წინ მიდის.

**დავით კირკიტაძე:** არა მგონია, სწორი ყოფილიყო პრეზიდენტის მხრიდან დღეს სამშვიდობოების თემაზე საუბარი, როცა ხვალ პარლამენტმა ეს საკითხი უნდა განიხილოს. მე, პირადად, ძალიან ბევრი საინტერესო რამ მოვისმინე პრეზიდენტის სიტყვაში, რაც ძალიან, ძალიან საინტერესო იყო.

**ნიკა რურუა:** ეს იყო ძალიან კონცეპტუალური სიტყვა, რომელიც არ იყო მოკლებული ემოციას და გულწრფელობას. მე პირადად, როგორც ადამიანს, როგორც დეპუტატს, პრეზიდენტის გამოსვლა ძალიან მომეწონა. ის იყო საკმაოდ ყოვლისმომცველი: შეეხო შიდა პოლიტიკას, ეკონომიკას, საგარეო პოლიტიკის ძირითად ვექტორებს. ეს იყო ძალიან საინტერესო სიტყვა.

ტერიტორიული მთლიანობის თემას პრეზიდენტმა 20 წუთი დაუთმო. რაც შეეხება სამშვიდობოებს, ამ თემაზე საუბარი პრეზიდენტის მხრიდან არასწორი იქნებოდა, რადგან პარლამენტი სამშვიდობოებთან დაკავშირებით დადგენილების პროექტზე მუშაობს. ეს, უბრალოდ, ტაქტის ამბავია, პრეზიდენტს ტაქტის გრძნობა არ ღალატობს...

ᲣᲮᲣᲮᲝᲗᲘ

### ირანმა რუსეთთან მოლაპარაკების ვადები დააკონკრეტა

ირანის დელეგაცია მისი ბირთვული პროგრამის საკითხებზე მოსალაპარაკებლად მოსკოვში 20 თებერვალს ჩავა. ამის შესახებ ჟურნალისტებს ირანის ეროვნული უშიშროების უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელის მოადგილემ ჯავად ვაიდიმ აცნობა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მიხაილ კამინინმა დაადასტურა, რომ თეირანმა მოსკოვს ტექნიკური მიზეზებით მოლაპარაკების 16-დან 20 თებერვლისათვის გადატანა სთხოვა.

მოსკოვი თეირანს ურანის გამდიდრებისთვის რუსეთის ტერიტორიაზე ერთობლივი საწარმოს შექმნას სთავაზობს. თეირანის მხრიდან ამ ინიციატივაზე დათანხმება იმის დასტური იქნებოდა, რომ ირანის ბირთვული პროგრამა მშვიდობიან ხასიათს ატარებს.

თუმცა, ირანმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ ნათანზის ბირთვულ ობიექტზე ურანის გამდიდრების სამუშაოები დაიწყო. როგორც ჯავად ვაიდიმ აღნიშნა, შესაბამისი ბრძანება ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადიმ გასცა.

### ღაზას სექტორში იარაღის რეგისტრაცია დასრულებულია

პალესტინის რადიკალურმა ორგანიზაცია "ჰამასმა" ღაზას სექტორის ჩრდილოეთ ნაწილში თავისი აქტივისტების ხელთ არსებული იარაღის რეგისტრაცია და ამოღება დაასრულა. ამის შესახებ რადიო "თავისუფლება" პალესტინურ წყაროებზე დაყრდნობით იუწყება.

ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამ აქციის მიზანია "ჰამასის" მიერ დაკომპლექტებული მთავრობის სარდლობის ქვეშ პალესტინის ავტონომიის ყველა შეიარაღებული ძალის გაერთიანება და დასავლეთისთვის იმის დემონსტრირება, რომ ორგანიზაციას შიდა დისციპლინის დამყარების ძალა შესწევს.

ღაზას ცენტრში და სამხრეთში იარაღის ამოღებას "ფათჰის" პარტიის ბოევიკებთან შეკატებები აფერხებს. ამასთან ერთად, "ჰამასის" ლიდერები კატეგორიულად უარყოფენ ორგანიზაციის განიარაღების იდეას და აღასტურებენ განზრახვას, იბრძოლონ ისრაელის ოკუპაციის წინააღმდეგ პალესტინური ტერიტორიების სრულ გათავისუფლებამდე.

ორშაბათს კაიროში მოძრაობა "ჰამასის" ლიდერმა მაჰმუდ აბ-ზაჰარმა განაცხადა, რომ ორგანიზაცია განიარაღებასა და ისრაელის ცნობას არ აპირებს. მისი თქმით, "ჰამასის" საბრძოლო ფრთა თავის ძალებს გააძლიერებს და "სარაკეტო პროგრამის" განვითარებაზე იმუშავებს.

თავის მხრივ, პალესტინის ავტონომიის მეთაურმა და "ფათჰის" მოძრაობის ლიდერმა მაჰმუდ აბასმა ქალაქ რამალაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ "ჰამასს" სხვა გამოსავალი არ აქვს, გარდა იმისა, რომ ისრაელი და პალესტინის მიერ დღემდე ხელმოწერილი ყველა შეთანხმება აღიაროს, რათა თავად მიიღოს საერთაშორისო აღიარება.

### ორმხრივი შეხვედრა კიევში

ოფიციალური კიევი უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის შავი ზღვის ფლოტის დროებითი დისლოკაციისთვის ანგარიშსწორებისას მიზანშეწონილად თვლის საბაზრო სტანდარტებზე გადასვლას. ამის შესახებ გუშინ უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვლადიმერ ოგრინჩუკმა განაცხადა.

მისი თქმით, უკრაინული და რუსული მხარეები გაზის სფეროში ფასის განსაზღვრის ევროპულ ფორმულაზე უკვე გადავიდნენ და კიევი მიიჩნევს, რომ ასეთივე მიდგომა უნდა იყოს სხვა სფეროების, მათ შორის უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის ფლოტის დროებითი ყოფნის მიმართაც.

კიევში რუსეთის შავი ზღვის ფლოტის უკრაინის ტერიტორიაზე ფუნქციონირების საკითხზე სამთავრობათაშორისი ქვეკომისიის სხდომა ჩატარდა, სადაც უკრაინულ მხარეს ვლადიმერ ოგრინჩუკ წარმოადგენდა, რუსულს კი - საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი.

უკრაინელმა დიპლომატმა აღნიშნა, რომ სხდომის დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი საკითხია 1997 წლის საბაზო შეთანხმების შესაბამისად უკრაინაში რუსეთის შავი ზღვის ფლოტის დისლოკაციის ადგილის იურიდიული გაფორმება. ოგრინჩუკ "არანორმალური" უწოდა ფაქტებს, როცა ყირიმის ტერიტორიაზე ჯავშანმანქანები დადიან და რუსი სამხედროები უკანონოდ გადაადგილდებიან.

სევასტოპოლში რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ყოფნის შესახებ შეთანხმებას უკრაინამ და რუსეთმა 1997 წლის 28 მაისს მოაწერეს ხელი. ამ ხელშეკრულებით, რუსეთის შავი ზღვის ფლოტი ყირიმში 2017 წლამდე დარჩება. იჯარის პირობები პაკეტური შეთანხმების შემადგენელი ნაწილია. მისმა გადასინჯვამ შეიძლება 1997 წლის მთელი იმ პაკეტის რევიზია გამოიწვიოს, რომელიც ყირიმში შავი ზღვის ფლოტის ყოფნის ვადას განსაზღვრავს და საბჭოთა კავშირის შავი ზღვის ფლოტის ხომალდების გაყოფას აფიქსირებს.

### ერაყში დაღუპულ ჟურნალისტთა სტატისტიკა

2003 წლიდან ერაყში 61 ჟურნალისტი დაიღუპა - მეტი, ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერ სხვა "ცხელ წერტილში" ბოლო 25 წლის განმავლობაში. ამის შესახებ ნათქვამია ჟურნალისტთა დაცვის საერთაშორისო კომიტეტის მოხსენებაში.

კომიტეტის მონაცემებით, მხოლოდ გასულ წელს ერაყში 22 ჟურნალისტი მოკლეს. შედარებისთვის, 1993-1996 წლებში ალჟირის (წინა რეიტინგის ლიდერი) კონფლიქტის დროს 58 ჟურნალისტი დაიღუპა.

ჟურნალისტთა დაცვის საერთაშორისო კომიტეტი სტატისტიკურ მონაცემებს 1981 წლიდან აგროვებს. თუმცა, არიან ორგანიზაციები, რომლებსაც "ცხელ წერტილებში" დაღუპული ჟურნალისტების შესახებ ინფორმაციის შეგროვება ბევრად უფრო ადრე დაიწყეს. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია ვაშინგტონის "Newseum"-ია. მისი მონაცემებით, ერაყში ბოლო კონფლიქტის დროს 66 ჟურნალისტი დაიღუპა. მასმედიის 63 წარმომადგენლის სიცოცხლე შეეწირა 1965-75 წლებში ვიეტნამის და კამბოჯის ომს. მეორე მსოფლიო ომში კი "Newseum"-ის ინფორმაციით, 69 ჟურნალისტი დაიღუპა.


CRS CATHOLIC RELIEF SERVICES
კათოლიკური დახმარების სამსახური

Catholic Relief Services (CRS)
Caucasus Sub-Regional Representative
Office #6 Mtskheta II Passage, 0179 Tbilisi, Georgia

კათოლიკური დახმარების სამსახურის
ქვერეგიონალური წარმომადგენლობა
კავკასიაში თბილისი, 0179,
მცხეთის II გასასვლელი N6

"კათოლიკური დახმარების სამსახური" (CRS) დადებითად აფასებს მის მიერ საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე პარტნიორებთან ერთად განხორციელებულ ღონისძიებებს.

CRS კავკასიის ოფისი 2004 წლის სექტმებრიდან ახორციელებდა ა.შ.შ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებულ პროგრამას "ვაშენოთ მომავალი", რომელიც მიზნად ისახავს მოზარდების აქტიურ ჩართვას ქვეყნის დემოკრატიის მშენებლობასა და სტაბილურ განვითარებაში. CRS კავკასიის წარმომადგენლობამ შეატყობინა ა.შ.შ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს კავკასიაში (USAID Caucasus), ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაციებსა და პროექტის ყველა მონაწილეს, რომ ორგანიზაციის შიდა პრიორიტეტებიდან გამომდინარე, მალე დაასრულებს მონაწილეობას ამ პროექტის განხორციელებაში. CRS კავკასიის წარმომადგენლობა აცნობიერებს, რომ USAID განიხილავს ამ პროგრამის მომავალში განხორციელების გზებს.

CRS -ის წარმომადგენლობა საქართველოში განაგრძობს თანამშრომლობას ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაციებთან ისეთ სფეროებში, როგორიცაა ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული საქმიანობა, კონფლიქტების ტრანსფორმაცია და ინსტიტუციონალური უნარჩვევების განვითარების ხელშეწყობა.

*მოკლედ*

### იუსტიციის სამინისტროში ნარკოტიკის მომხმარებლები ვერ აღმოაჩინეს

იუსტიციის სამინისტროს არც ერთი თანამშრომელი ნარკოტიკების მომხმარებელი არ აღმოჩნდა. როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, მოულოდნელი ნარკოლოგიური შემოწმება იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომლებს გუშინ ჩაუტარდათ. შემოწმება ცენტრალურ აპარატში მომუშავე მამაკაცებმა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გაიარეს.

ექსპერტების მონაცემებით, ტესტირების შედეგად შემოწმებული 110 მამაკაციდან ნარკოტიკის მომხმარებელი არავინ აღმოჩნდა. **24 საათი**

### ოსური სამშვიდობო ბატალიონის ორი ავტომობილი დააკავეს

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ქართველმა სამართალდამცავებმა ოსური სამშვიდობო ბატალიონის ორი ავტომობილი დააკავეს.

ცხინვალის რეგიონში მოქმედი შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის გენერალ-მაიორ მარატ კულახმეტოვის ინფორმაციით, ოსური სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებს დაკავებისას რუსი სამშვიდობოებისათვის სურსათი გადაჰქონდათ. მისივე თქმით, ავტომობილის დაკავების შედეგად სურსათის გარეშე სამშვიდობო ძალების რამდენიმე ქვედანაყოფი დარჩა.

როგორც შიდა ქართლის სამხარეო პოლიციაში აცხადებენ, ოსი სამშვიდობოების ორი ავტომანქანის დაკავება გორი-ცხინვალის საავტომობილო გზის კირწანისის მონაკვეთზე განხორციელდა.

დაკავებისას გაირკვა, რომ სამშვიდობოები უსაბუთო ავტომანქანებით სარგებლობდნენ. დაკავებული ავტომანქანები ქართველმა სამართალდამცავებმა გორში ავტომობილების საჯარიმო სადგომზე გადაიყვანეს. ოსი ჯარისკაცები წუხელვე გაათავისუფლეს. მათი დაკავება არ მომხდარა, ისინი ცხინვალის მიმართულებით გადაადგილდნენ.

"ვაზ-2106" მარკის ავტომანქანას ტექნიკური პასპორტიც არ აღმოაჩნდა, ხოლო "უაზის" მარკის ავტომანქანას არ გააჩნდა ის შესაბამისი დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო მისი გადაადგილება ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე", - აცხადებს სამხედრო პოლიციის უფროსი ალეკო სუხიტაშვილი.

მისივე თქმით, ავტომანქანებში აღმოჩნდა გაურკვეველი წარმომავლობის ფქვილი და ასევე 200 კგ მარილი. როგორც ოსმა სამხედროებმა განაცხადეს, აღნიშნული ტვირთი გადაჰქონდათ ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ სოფელ წინაგარაში, სადაც რუსი და ოსი სამშვიდობოების პოსტია განლაგებული.

"თუმცა, ერთი საგუშაგოსთვის 200 კგ მარილის გადატანა, ძნელია, რეალობას შეესაბამებოდეს", - აცხადებს სუხიტაშვილი. **24 საათი**

### ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულ პატიმრებს სარეაბილიტაციო კურსი ჩაუტარდებათ

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულ პატიმრებს სარეაბილიტაციო კურსი ჩაუტარდებათ.

როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, აღნიშნული გადაწყვეტილება იუსტიციის სამინისტროს დელეგაციის პოლონეთში ვიზიტის შემდეგ გადაწყდა.

პოლონეთში ქართული დელეგაცია ქვეყნის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულ პატიმართა მკურნალობის (ატლანტისის) პროგრამის მუშაობას გაეცნო. ვიზიტის ფარგლებში ქართულმა მხარემ შეხვედრა გამართა პოლონეთის იუსტიციის მინისტრის მოადგილე ანდჟეი კჟელაკთან და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ანდჟეი პოპიოლეკთან. დელეგაციის წევრებმა პოლონეთის სასჯელაღსრულების სისტემის ოთხი დაწესებულება დაათვალიერეს.

პოლონეთში ქართული დელეგაცია შტეფან ბეტორის ფონდის მიწვევით იმყოფებოდა. ვიზიტისას გადაწყდა, რომ ბეტორის ფონდის დაფინანსებით, უახლოეს მომავალში ქუთაისის საპყრობილის ორი თანამშრომელი პოლონეთში სტაჟირებაზე გაემგზავრება და ატლანტისის პროგრამის მუშაობას დეტალურად შეისწავლის. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ისინი ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულ პატიმართა მკურნალობის პროგრამას უხელმძღვანელებენ. სარეაბილიტაციო კურსის დანერგვა საქართველოს პენიტენციური სისტემის სხვა დაწესებულებებშიც იგეგმება. მიმდინარე წლის მაისში პოლონეთში სტაჟირებას სასჯელაღსრულების დაწესებულებების კიდევ ოთხი თანამშრომელი გაივლის.

ამავე ვიზიტისას დაიგეგმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ახლად შექმნილი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ცენტრის სამი ტრენერის პოლონეთში ორკვირიან სტაჟირებაზე გამგზავრება. **24 საათი**

### კერძო დაცვის ფირმა "კარდინალის" თანამშრომელი დააკავეს

შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა საბრძოლო მასალების უკანონო რეალიზაციის ფაქტზე კერძო დაცვის ფირმა "კარდინალის" და კაზინო "კრისტალის" დაცვის თანამშრომელი გიორგი ბედიაშვილი, მეტსახელად "ბეკო", დააკავეს.

როგორც შსს-ში აცხადებენ, გიორგი ბედიაშვილი თბილისში, გამსახურდიას გამზირზე არსებული იარაღის მაღაზია "დინას" ხელმძღვანელობასთან გარიგებით, კერძო პირებზე საბრძოლო მასალებს უკანონოდ ყიდდა. სამართალდამცველთა განმარტებებით, გიორგი ბედიაშვილი იარაღის მაღაზია "დინასში" ყიდულობდა, იგი მაღაზიის ერთ-ერთ თანამშრომელთან იმყოფებოდა დანაშაულებრივ კავშირში, რომელიც მას იარაღს აძლევდა და შემდეგ უკანონოდ ყიდდა. გიორგი ბედიაშვილს აღმოაჩნდა რამდენიმე ათეული "მაკაროვის" სისტემის იარაღი და საბრძოლო მასალები. მაღაზია "დინა" დალუქულია და მიმდინარეობს რევიზია და აღწერა. თავად მაღაზიის მფლობელის ვინაობას შს სამინისტრო არ აკონკრეტებს, არ აკონკრეტებენ, ასევე, "დინას" მფლობელის ადგილსამყოფელს. ამ ეტაპზე დაკავებულია მხოლოდ გიორგი ბედიაშვილი.

"ბეკო" სოდ-ის თანამშრომლებმა საბრძოლო მასალების მორიგი პარტიის გაყიდვისას დააკავეს. **ინტერპრესნიუსი**

### ცხინვალში ტელეკომპანია "ალანიას" წამყვანის სახლი დაცხრილეს

14 თებერვალს, ღამით ცხინვალში დაუდგენელმა პირებმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით ტელეკომპანია "ალანიას" წამყვანის ვლადიმერ სანაკოევის საცხოვრებელი სახლი დაცხრილეს. სახლში ამ დროს ვლადიმერ სანაკოევის და იმყოფებოდა. თავდამსხმელები სახლის აფეთქებასაც შეეცადნენ, მაგრამ მეზობლებმა მათ წინააღმდეგობა გაუწიეს.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, შეიარაღებული პირები სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომლები იყვნენ.

ვლადიმერ სანაკოევის ოჯახზე ზეწოლა მას შემდეგ დაიწყო, რაც პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პირადად გადასცა მას საქართველოს მოქალაქის პასპორტი. ამ გადაწყვეტილების შემდეგ სანაკოევი ცხინვალიდან გააძევეს.

ტელეკომპანია "ალანიამ" მაუწყებლობა გასული წლის ნოემბერში დაიწყო.

არაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლებამ ტელეკომპანიას "ქართული სპეცსამსახურების არხი" უწოდა, თუმცა, თბილისში ამასთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### გორში მოპარული მანქანების სამალავი აღმოაჩინეს

გორის შს სამმართველოს თანამშრომლებმა "კომბინატის" დასახლებაში მოპარული ავტომანქანების სამალავი აღმოაჩინეს. ოპერაცია კრიმინალური პოლიციის სამმართველომ ჩაატარა.

გატარებული ღონისძიების დროს ავტომანქანების სამალავიდან ორმა გამტაცებელმა მიმალვა მოასწრო. გორის პოლიციის უფროსი გია ჭაბუკიანი აცხადებს, რომ შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილია ორი მოპარული ავტომანქანა, ხოლო ორი გამტაცებლიდან ერთ-ერთი უკვე დაკავებული ჰყავთ.

ძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დაკავებული პიროვნების ვინაობას არ ასახელებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ვანო მერაბიშვილს მკვლელობაში ეჭვმიტანილის დაჭილდოებაში ადანაშაულებენ

არასამთავრობო ორგანიზაცია "ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი" შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს მკვლელობაში ეჭვმიტანილის დაჯილდოებაში ადანაშაულებს.

"ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი" დღეს საგანგებო პრესკონფერენციას გამართავს თემაზე: "ორი ადამიანის მკვლელობაში ეჭვმიტანილს ვანო მერაბიშვილი ორდენით აჯილდოებს".

როგორც ცენტრში აცხადებენ, ავთანდილ მამალაძე იმ ავტომობილს მართავდა, რომელთან შეჯახების შედეგადაც 2003 წლის 22 ნოემბერს ქვემო ფონიჭალაში დავით საყვარელიძე და ეთერ წულიაშვილი გარდაიცვალნენ. ამ ფაქტთან დაკავშირებით 2003 წლის 23 ნოემბერს საქართველოს შს სამინისტროს თბილისის საგამოძიებო სამმართველოში ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

2003 წლის 27 ნოემბერს კი საქმე ქვემდებარეობით გადაეცა თბილისის რეგიონის სამხედრო პროკურატურის წარმოებაში.

ცენტრში აცხადებენ, რომ არსებული უტყუარი მტკიცებულებების მიუხედავად, ფაქტის გამოძიება ამ დროისთვისაც შეჩერებულია და საქმის კიდევ ერთხელ დახურვის საშიშროებაც არსებობს.

დაზარალებული მარიამ საყვარელიძე შვილისა და დის მკვლელობაში ეჭვმიტანილის დასჯას კატეგორიულად მოითხოვს. "სამწუხაროდ, შეჯახების შემდეგ, ორი წლის თავზე, 2005 წლის 18 ნოემბერს საინფორმაციო საშუალებებით ჩემთვის გახდა ცნობილი, რომ შსს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ჩემი შვილის და ჩემი დის მკვლელი ორჭიდში გამარჯვებისთვის ორდენით დააჯილდოვა. ალბათ, ორჭიდში გამარჯვებაში ჩემთან ბრძოლის მოგებას გულისხმობენ", - აცხადებს დაზარალებული მარიამ საყვარელიძე.

"ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი", გამოძიების გაჭიანურების გამო, საზოგადოებას და შესაბამის სტრუქტურებს სასწრაფო რეაგირებისაკენ მოუწოდებს. **ინტერპრესნიუსი**

# ნორვეგიის იუსტიციის მინისტრი საქართველოს ეწვევა

*იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია, რომელსაც იუსტიციის მინისტრის მოადგილე გივი მიქანაძე ხელმძღვანელობდა, ნორვეგიაში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა. ვიზიტის მიზანი საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმირებისას ნორვეგიის გამოცდილების გაზიარება იყო.*

გივი მიქანაძე ნორვეგიის იუსტიციის მინისტრს შეხვდა.

გივი მიქანაძე ნორვეგიის იუსტიციის მინისტრ კნუტ სტორბერგეტს შეხვდა, რომელმაც ქართველი კოლეგის გია ქავთარაძის მოწვევა მიიღო და იგი საქართველოში გაზაფხულზე ჩამოვა.

ნორვეგიაში გამართულ შეხვედრებზე გადაწყდა, რომ ნორვეგიის მთავრობა საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა დასაქმების სამ პროექტს განახორციელებს; კერძოდ, გეგუთის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოეწყობა სათბური, ქუთაისის საპყრობილეში - ფეხსაცმელების სამკერვალო და თბილისის N5 (არასრულწლოვანთა და ქალთა) დაწესებულებაში - საპარიკმახერო.

ქართული მხარე ნორვეგიის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების სისტემით დაინტერესდა. ამ ქვეყანაში სასჯელაღსრულების სისტემა და მისი სამედიცინო ნაწილი 1987 წელს გაიმიჯნა. ნორვეგიის გამოცდილება განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან საქართველოში ეს პროცესი ახლახან დაიწყო.

ნორვეგიის სასჯელაღსრულების სამსახურის საკადრო აკადემიაში გამართულ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ აკადემია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრს დახმარებას გაუწევს. უახლოეს მომავალში ქართული მხარე სასწავლო ცენტრის ბიბლიოთეკისათვის ნორვეგიიდან სპეციალურ ლიტერატურას მიიღებს. მომავალში დაგეგმილია სტაჟირებაზე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის თანამშრომელთა ნორვეგიაში გაგზავნა.

გივი მიქანაძის განცხადებით, ნორვეგიის იუსტიციის მინისტრთან შეხვედრა ორი ქვეყნის იუსტიციის სამინისტროებს შორის თანამშრომლობის პერსპექტივას ისახავდა მიზნად.

ქართულმა დელეგაციამ შეხვედრები გამართა, ასევე, ნორვეგიის განათლებისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებსა და სხვა სახელმწიფო უწყებებში. დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს სასჯელაღსრულების დაწესებულებები და პოლიციის დროებითი დაკავების საკნები.

**24 საათი**

# შალვა რამიშვილი ოპერატიული მასალის გამოქვეყნებას ითხოვს

**"2005 წლის 27 აგვისტოს ჩემი და დავით კოხრეიძის დაკავების ოპერაციას ორი ვიდეოკამერა იღებდა. თუკი მართლმსაჯულებას ჭეშმარიტების დადგენა სურს, აღნიშნული ოპერატიული მასალა უნდა გამოქვეყნდეს,"** - ეს განცხადება გუშინდელ სასამართლო პროცესზე ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებლებმა შალვა რამიშვილმა გააკეთა. რამიშვილი გუშინაც ირწმუნებოდა, რომ გამოძიების მიერ ამოღებული თანხა შეცვლილია და ნივთმტკიცებაზე არც მისი და არც კოხრეიძის თითის ანაბეჭდები არ არის.

განსასჯელებმა შალვა რამიშვილმა და დავით კოხრეიძემ, თავდაპირველად, სასამართლოში ყველა მტკიცებულების გამოკვლევამდე ჩვენებების მიცემაზე უარი განაცხადეს. თუმცა, მათ მოსამართლე ნინო სანდოძემ განუმარტა, რომ მოსამართლის ნებართვით, განსასჯელებს ჩვენებების მიცემა თითოეული მტკიცებულების გამოკვლევის შემდეგ შეუძლიათ. აღნიშნული უფლება რამიშვილმა და კოხრეიძემ გამოიყენეს და საკუთარი პოზიცია დაკავების, ჩხრეკისა და ნივთმტკიცებულების დათვალიერების ოქმების გამოკვლევის შემდეგ დააფიქსირეს.

გუშინდელ პროცესზე გამოქვეყნდა საქმეში დაზარალებულად ცნობილი პარლამენტარის კობა ბექაურის მიმართვა შს მინისტრისადმი, სადაც ბექაური აღწერს, თუ როგორ სძალავდა მას თანხას ტელეკომპანია "202-"ის დამფუძნებელი შალვა რამიშვილი. როგორც დაკავებულების ადვოკატი დავით კორკოტაშვილი აცხადებს, ბექაურის მიმართვაში არ არის მოხსენიებული მისი დაცვის ქვეშ მყოფი დავით კოხრეიძე.

ერთი სიტყვით, განსასჯელებს საშუალება ექნებათ, სასამართლო პროცესზე თითოეული მტკიცებულების გამოქვეყნების შემდეგ საკუთარი პოზიცია დააფიქსირონ. მათი დაკითხვა მომდევნო სხდომებზეც გაგრძელდება.

**24 საათი**

# ადვოკატები და არასამთავრობო ორგანიზაციები ადამიანის უფლებების დასაცავად გაერთიანდნენ

*ადვოკატები და ადამიანის უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც დღემდე ცალ-ცალკე საუბრობდნენ ადამიანის უფლებების დარღვევებზე, ერთ კოალიციაში გაერთიანდნენ. 44 არასამთავრობო ორგანიზაციისგან შექმნილი კოალიცია - "სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიული საქართველოსთვის" გუშინ სასტუმრო "თბილისი მარიოტში" შეიკრიბა და მისმა წარმომადგენლებმა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში გამეფებულ კანონდარღვევებზე ისაუბრეს.*

"კონსტიტუციის 42-ე მუხლი", "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის", "ადამიანის უფლებების საინფორმაციო-სადოკუმენტაციო ცენტრი", "თანასწორობის ინსტიტუტი", დამოუკიდებელი ადვოკატები და ე.წ. მეამბოხე მოსამართლეები საპატიმრო ადგილებში ცემა-წამებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის სხვა ფორმების არსებობაში სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელობას ადანაშაულებენ. კოალიციის ინფორმაციით, პენიტენციურ სისტემაში ბოლო თვენახევრის განმავლობაში ე.წ. ქურდულ სამყაროსთან ბრძოლისა და ციხეებში წესრიგის დამყარების ლოზუნგებით დაიწყო პატიმრების ცემა-წამება და უკანონო ჩხრეკა. ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ძალის გამოყენება კი, ნებისმიერ შემთხვევაში, ოფიციალურად ახსნილია, როგორც პატიმართა ამბოხების მცდელობის ჩახშობისთვის გამოვლენილი უკიდურესი აუცილებლობა.

**"ხელისუფლება პატიმრებს ადვოკატთან განმარტოების საშუალებასაც არ აძლევს. ყველანაირი კანონის იგნორირებით, ხელისუფლება ოფიციალურად უთვალთვალებს და უსმენს პატიმრისა და ადვოკატის კონფიდენციალურ შეხვედრებს. ხელისუფლება პატიმრებს მაქსიმალურად უზღუდავს გარესამყაროსთან კავშირს, უარს აცხადებს, დაურიგოს პატიმრებს ჰიგიენური საშუალებები. ამ ყველაფერს კი კანონიერებისთვის ბრძოლას და დანაშაულის აღკვეთის მექანიზმებს უწოდებენ",** - განაცხადეს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რომლებიც დარწმუნებულები არიან, რომ პენიტენციური სისტემა რეალურად - არა იუსტიციის სამინისტროს, არამედ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაშია.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბაჩო ახალაიამ საჯაროდ არაერთხელ განაცხადა, რომ იგი პირადად გადაწყვეტს, როდის შეუშვას ადვოკატები პატიმრებთან, რაც საერთაშორისო და ადგილობრივი კანონების ნორმების უგულებელყოფაა.

გუშინდელ შეხვედრაზე კოალიცია "სამოქალაქო საზოგადოება – დემოკრატიული საქართველოსთვის" წარმომადგენლებმა საქართველოს ციხე- კოლონიებში "გამოგონილი ბრალდებებით" დაკავებული ადამიანების დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვეს. შეხვედრაზე საუბარი იყო "გამოგონილი ბრალდებებით" დაკავების ერთ-ერთ ფაქტზე. 2005 წლის 19 აგვისტოს კურორტ ბახმაროში მამა-შვილი დოლიძეების დაკავების ფაქტზე. როგორც ადვოკატმა ეკა ბესელიამ განაცხადა, 19 აგვისტოს, ბახმაროში ჩატარებული დოღის შემდეგ სამართალდამცველებმა გამარჯვებული ცხენის მფლობელები მამა-შვილი შალვა და ვლადიმერ დოლიძეები დააკავეს. მათ წაუყენეს ხულიგნობის და ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის ბრალდება. ადვოკატის განმარტებით, ბრალდების თანახმად, დოლიძეებმა დოღის დასრულების შემდგომ გამარჯვული წვეულების დროს კუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღიდან ჰაერში გაისროლეს, რითაც საზოგადოებრივი წესრიგი დაირღვა.

**"საქმის მასალების მიხედვით, ჩატარებული ბალისტიკური და კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დოლიძეების კუთვნილი იარაღიდან საერთოდ არავის გაუსროლია. საქმეში ერთადერთ მტკიცებულებად სამი პოლიციელის ჩვენება დევს, რომელთაც მოგვიანებით გადათქვეს ჩვენებები და ისინი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს",** - განაცხადა ბესელიამ და დასძინა, რომ დოლიძეების შელახული უფლებების აღსადგენად სარჩელი სტრასბურგის სასამართლოში გადაგზავნეს და ამ საქმის მოგების იმედი აქვთ.

ამ და სხვა დარღვევებთან დაკავშირებით კოალიციის წარმომადგენლებმა გუშინ ვრცლად ისაუბრეს და ადგილობრივ და საერთაშორისო უფლებების დამცველ ორგანოებს სათანადო რეაგირებისაკენ მოუწოდეს. იმ შემთხვევაში კი, თუ ქვეყანაში კანონიერება არ იქნება დაცული, ისინი იძულებულნი გახდებიან, ხელისუფლების წინააღმდეგ საპროტესტო აქციები მოაწყონ.

**24 საათი**


# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N 15) აცხადებს ღია ტენდერს აუდიტორული მომსახურეობის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე : ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის N3407003205, და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი :

| | მომსახურების დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ლოტი N 1 | წილების, აქციების, სხვა ფასიანი ქაღალდების გასხვისებისას მასი საბაზრო ღირებულების დადგენა. შ.პ.ს. საქართველოს რკინიგზის ან/და მისი შვილობილი საწარმოს საწესდებო კაპიტალში შესატანი, ან კაპიტალიდან ამოსაღები ქონების ღირებულების განსაზღვრა და ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით აუდიტორული დასკვნის მომზადება. შვილობილი საწარმოს დაფუძნების, შერწყმის, დაყოფის და ლიკვიდაციის პროცესისათვის საჭირო აუდიტორული დასკვნის მომზადება | | მოთხოვნისამებრ |
| ლოტი N 2 | ძირითადი საშუალებების, მარაგ ნაწილების, ნედლეულისა და მასალების, ასევე შავი, ფერადი და ძვირფასი ლითონების ჯართის საწყისი გასაყიდი ფასის დადგენა. ძირითადი საშუალების ჩამოსაწერი ღირებულების დადგენა | | მოთხოვნისამებრ |
| ლოტი N 3 | ქონების (ძირითადი საშუალება, წილი აქცია და სხვა საინვესტიციო პირობებით გასხვისების, ან დროებით სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში, შესაბამისი ხელშეკრულებით განსაზღვრული საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებაზე აუდიტის ჩატარება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმით ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემისას (გარდა უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით და/ან თხოვების ფორმით გადაცემისას ) სარგებლობის საწყისი ღირებულების ოდენობის დადგენა და ამ მიზნით სათანადო მეთოდიკის შემუშავება | | მოთხოვნისამებრ |

მიწოდების ადგილი - მოთხოვნის შესაბამისად.

მიწოდების ფორმა :

მიწოდების სასურველი ვადები: შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

3. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 13 და 14 მარტს 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის :**

ა) სარეგისტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან

ბ) ცნობა შესაბამისი ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, ასევე არ ხდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

გ) ინფორმაცია ხელმძღვანელი პირების კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ

ვ) ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოების შესახებ, მათ შორის რკინიგზისთვის ჩატარებული სამუშაოების შესახებ

**ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისი ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება

ბ) ინფორმაცია ხელმძღვანელი პირების კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ

გ) ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოების შესახებ, მათ შორის რკინიგზისთვის ჩატარებული სამუშაოების შესახებ

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში , ტელ 56 33 51, 893-24-32-24

***სატენდერო კომისია***

*უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.*

# სტუმრად

მაია ჭალაგანიძესთან

# საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას ველი

ჩვენი ამოცანაა, დავარწმუნოთ რუსეთი, საქართველოს მიმართ ადეკვატური პოლიტიკური რეაქცია ჰქონდეს.

საქართველოს მიერ ნატო-ში შეტანილი უდიდესი წვლილი იქნება ის, რასაც თავად აკეთებთ საკუთარი ქვეყნისთვის.

"ღმერთი მაღლაა და მეფე შორს არის - ეს ნიშნავს, რომ საკუთარ თავს და საზოგადოებას თავად უნდა მიხედოთ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

*დღეს, შეიძლება ითქვას, ნატო-ს პარტნიორებიდან ერთ-ერთი პრიორიტეტული ქვეყანა ვართ. ჩვენი რეგიონით ნატო-მ ახალი განზომილება შეიძინა. ახალ ნატო-სა და ახალ ევროპას ახალი საქართველო სჭირდება, რომელსაც დღეს ახალი გამოწვევები გამოუჩნდა. ამდენად, ნატო-ს მხრიდან ინტერესი დიდია და როცა ინტერესი დიდია, ის ინფორმაციას არა მხოლოდ ხელისუფლების მეშვეობით იგებს. დღეს ინფორმაციის მიღების მრავალი საშუალება არსებობს და ნატო ყველა ამ საშუალებას იყენებს. რამდენიმე თვეა, რაც თბილისში ნატო-ს საინფორმაციო ცენტრი გაიხსნა. სწორედ აქ შევხვდით ელჩ რობერტ ჰანტერს, რომელიც, მისი სამუშაო პოზიციების გამო, კარგად იცნობს ჩვენს ქვეყანასაც და ჩვენს მეზობლებსაც. ჰანტერი საქართველოში პირველად ედვარდ კენედისთან ერთად 1974 წელს ჩამოვიდა, როდესაც ის სენატორის მრჩეველი იყო საგარეო საქმეებში. ახლა ის სულ სხვა მისიით არის თბილისში და იმ საკითხებზე გვესაუბრება, რაც მაშინ აზრადაც არ მოუვიდოდა.*

ელჩი რობერტ ჰანტერი: "რენდ"-ის კორპორაციის უფროსი მრჩეველი; დემოკრატიული თანამეგობრობის საბჭოს თავმჯდომარე; "რენდი-ევროპას" მრჩეველთა საბჭოს წევრი; ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული მეცნიერებისა და საერთაშორისო საქმეების ბელფერის ცენტრში ასოცირებული პროფესორი; იგი მუშაობდა თავდაცვის მინისტრ კოენთან (1998-2001 წლის ივლისი) და ამავე დროს ეკავა ატლანტიკის ხელშეკრულების ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი. 1993 წლის ივლისიდან 1998 წლის იანვრამდე იყო აშშ-ს ელჩი ნატო-ში, წარმოადგენდა აშშ-ს დასავლეთ ევროპულ კავშირში. ჰანტერი გახლავთ "ახალი ნატო-ს" იდეის ერთ-ერთი მთავარი ავტორი; 1994-1997 წლებში ხელმძღვანელობდა ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს სამიტების გადაწყვეტილებების განხორციელებას. მათ შორის იყო ნატო-ს გაფართოება, ნატო-რუსეთისა და ნატო-უკრაინის ურთიერთობები, ნატო-დასავლეთ ევროპის ურთიერთობები, ნატო-ს შიდა რეფორმა და პროგრამა "პარტნიორობა მშვიდობისათვის" (ამ უკანასკნელის თანაავტორი თავად იყო); ნატო-ში დანიშვნამდე ჰანტერი იყო სტრატეგიული და საერთაშორისო სწავლებათა ცენტრის (ვაშინგტონი) საერთაშორისო პოლიტიკის ვიცე-პრეზიდენტი და ევროპულ სწავლებათა დირექტორი. 1981-1993 წლებში იგი მუშაობდა წარმომადგენელთა პალატის სპიკერის სპეციალურ მრჩევლად ლიბანის საკითხებში და წამყვან კონსულტანტად ცენტრალური ამერიკის ეროვნულ ორპარტიულ კომისიაში (კისინჯერის კომისია). იგი არის სახელმწიფო პოლიტიკის ცენტრის ერთ-ერთი დამფუძნებელი და დემოკრატიის ეროვნული ფონდის ორგანიზატორი; კარტერის ადმინისტრაციაში, ჰანტერი ასრულებდა დასავლეთ ევროპულ საქმეთა დირექტორისა (1977-1979) და ახლოაღმოსავლურ საქმეთა დირექტორის მოვალეობას ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატში.

ᲒᲐᲡᲐ ᲒᲐᲪᲐᲮᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

**- როგორ მოგწონთ ნატო-ს საინფორმაციო ცენტრის ახალი ოფისი თბილისში? ეს სტანდარტული ოფისია, თუ რაიმე განსაკუთრებული შენიშნეთ?**

- შესანიშნავია, რომ თბილისში ნატოს საინფორმაციო ცენტრი არსებობს, რადგან საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების გზაზე ამას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ცენტრს ჰყავს შესანიშნავი ახალგაზრდა ლიდერი თორნიკე შარაშენიძის სახით.

ნატო არ არის მხოლოდ ჩვეულებრივი ალიანსი, ის ოჯახია და ამ ოჯახის წევრებს სურთ, დარწმუნებულნი იყვნენ ამ ქვეყნის სურვილში - გახდეს ნატო-ს წევრი ქვეყანა. საზოგადოებისთვის ნატო-ს საქმიანობის გასაცნობად ასეთ ცენტრებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

**- ახალი ნატო-ს ერთ-ერთი არქიტექტორი ბრძანდებით. რას იტყვით, ნატო-სთვის საქართველო რა რესურსია?**

- ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს განვითარება ყველა ასპექტით, ეკონომიკური იქნება ეს თუ - პოლიტიკური. ეს ევროატლანტიკური გაერთიანების ღირსეულ წევრად გახდომისთვის არის მნიშვნელოვანი.

რა თქმა უნდა, ქართული ჯარის ევროსტანდარტებით მოდერნიზება უნდა მოხდეს. თუ უფროსი ბუშის სიტყვებს გამოვიყენებთ, მნიშვნელოვანია ევროპა იყოს ერთიანი და თავისუფალი. საქართველოს მონაწილეობა ამ მიმართულებითაც უმნიშვნელოვანესია. საქართველოს მიერ ნატო-ში შეტანილი უდიდესი წვლილი იქნება ის, რასაც თავად აკეთებთ საკუთარი ქვეყნისთვის.

**- რუსმა პარლამენტარებმა სატელევიზიო დებატებში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს უთხრეს: "რა გესაქმებათ მაგ მკვდარ ორგანიზაციაშიო..." სხვათა შორის, რუსეთში ასე არა მხოლოდ პოლიტიკოსები ფიქრობენ...**

- მაოცებს რუსი პოლიტიკოსების ასეთი განცხადებები, რადგან რუსები ნატო-ს სხვადასხვა აქტივობებში საკმაოდ სერიოზულად არიან ჩართულნი. მაგალითად, არსებობს რუსეთ-ნატო-ს საბჭო, გარდა ამისა, რუსეთი კოსოვოში სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობს. რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი ახლახან შეუერთდა ხმელთაშუა ზღვის ოპერაციებს.

ნატო-ს ოპერაციები აქვს ე.წ. რთულ ადგილებში. ვთქვათ, ავღანეთის ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობა მისი რესურსის განვითარების კიდევ ერთი საშუალება იქნება.

**- ამ ბოლო დროს საქართველო ფორსირებულად ცდილობს თავისი კონფლიქტების რუსი სამშვიდობოების გარეშე მოგვარებას. როგორ აფასებს ნატო ამ ნაბიჯს?**

- მჯერა ამ პირდაპირი კომუნიკაციისა და იმისიც, რომ ქართველებმა ყველაზე კარგად იცით, რა არის უკეთესი საქართველოსთვის.

რა თქმა უნდა, რუსეთისთვის უკეთესია ყველა იმ ქვეყნის ერთიანობის აღიარება, რომელიც მის საზღვრებთან არის განლაგებული. საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენაში დახმარების გამო გაიზრდებოდა რუსეთის პრესტიჟი მის საზღვრებს გარეთ. ასევე გამყარდება მისდამი ნდობა, თუკი საქართველოს ფარგლებში შემავალ აფხაზეთსა და ოსეთში სიტყვის თავისუფლება დამკვიდრდება.

ვითარებას ისიც წაადგება, თუკი თქვენი მეზობელი თურქეთი სომხებს საზღვრებს გაუხსნის. ამით სომხები დახმარებისთვის ნაკლებად მიმართავდნენ რუსეთს.

**- კონფლიქტების გარდა, ჩვენს ქვეყანაში არსებობს პრობლემები დემოკრატიული ინსტიტუციების და გამჭვირვალე სახელმწიფო მენეჯმენტის ჩამოყალიბების პროცესში. ეს საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე შეიძლება, ხელისშემშლელ ფაქტორად ექცეს. რომელი კითხვა უფრო მნიშვნელოვანია დღეს ნატო-სთვის – როგორ შევა საქართველო ალიანსში, თუ როდის შევა...**

- ველი, რომ საქართველო ნატო-ში გაწევრიანდება. ახლა საკითხი დგას - როდის მოხდება ეს და არა რატომ ან როგორ. რა თქმა უნდა, ამ გაწევრიანებას დემოკრატიული პროცესების პროგრესი განაპირობებს. ამ გზაზე უმნიშვნელოვანესია თავისუფალი მედია, ეფექტური პოლიტიკური ინსტიტუტები. რა თქმა უნდა, მეგობრები და პარტნიორები ქვეყნის მთელი დემოკრატიული რესურსის კონსოლიდირებაში საქართველოს გარედან დავეხმარებით.

რამდენიმე დღის წინ მიუნხენში ვიყავი უსაფრთხოების კონფერენციაზე. ლამის მთელი ქართული მთავრობა იქ იყო. პრეზიდენტმა სააკაშვილმა იქ დამსწრე საზოგადოებაზე ძალიან დადებითი შთაბეჭდილება დატოვა. იმედი მაქვს, ეს მასაც წაახალისებს და ის თავის ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს გააღრმავებს და გააფართოებს.

ასე ამბობენ, რომ საქართველოსთვის ნატო-ში გაწევრიანება იქნება ის სტიმული, რომელიც პრობლემების მოგვარებაში დაეხმარება. მე კი პირიქით მიმაჩნია: საქართველოს აქტიური მონაწილეობა დემოკრატიულ პროცესებში - კორუფციის აღმოფხვრა იქნება ეს თუ რუსეთთან ურთიერთობების მოგვარება - მიმზიდველობის ის ფაქტორებია, რაც თქვენს ნატო-ში გაწევრიანებას დაეხმარება.

ნატო-ში მოღვაწეობის დროს პირველად მე გამოვჭედე ეს ფრაზა – ნატო-ში გაწევრიანების მსურველი ქვეყანა უსაფრთხოების მომხმარებელი კი არა, მონაწილე უნდა იყოს. ეს სწორედ ის ერთ-ერთი გამოწვევაა, რაშიც საქართველოს დახმარება სჭირდება.

**- რეგიონში ჩვენი პოზიციები რა წილით გვაძლევს უსაფრთხოების პროცესებში აქტიური მონაწილეობის საშუალებას?**

- უსაფრთხოების პროცესებში აქტიური მონაწილეობის წილი საქართველოზე იქნება დამოკიდებული. პრინციპში, თქვენ იმ გზას მიჰყვებით, რომელზეც სამი ფაქტორია მნიშვნელოვანი – დემოკრატიული პროცესების განვითარება, ეკონომიკური განვითარება, რომელშიც ერთ-ერთი მთავარი კორუფციის აღმოფხვრაა და მესამე ფაქტორი – ჯარის ტრანსფორმაცია, ანუ სამხედრო რეფორმები. საქართველოს გეოპოლიტიკა იმ შემთხვევაში იქონიებს გავლენას, თუკი რუსეთი პრაქტიკულად შეეწინააღმდეგება მთლიანი და თავისუფალი ევროპის კონცეფციას. ჩვენი ამოცანაა, დავარწმუნოთ რუსეთი, საქართველოს მიმართ ადეკვატური პოლიტიკური რეაქცია ჰქონდეს.

**- საქართველოს სეგმენტის გამოკლებით, როგორია ნატო-რუსეთის ურთიერთობები? სად არის ყველაზე დიდი პრობლემები?**

- რუსებთან კომუნიკაციებში პრობლემები არ გვაქვს, თუმცა ვფიქრობ, ისინი ნატო-სთან ურთიერთობის პოტენციალს თავად არ იყენებენ სრულად. პუტინმა თავისი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული გადაწყვეტილება უნდა მიიღოს – სურს, რომ რუსეთი იყოს გარე სამყაროზე ორიენტირებული, მის საზღვრებს გარეთ მიმდინარე პროცესებში ჩართული, თუ სურს, ვექტორი შიგნით მიმართოს, რუსეთს იზოლაციისკენ უბიძგოს და ის ჩაკეტილი ქვეყანა გახადოს... იმედი მაქვს, რომ პუტინი სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს.

**- რუსეთის მიერ ბოლო დროს გადადგმული ნაბიჯები ამის თქმის საშუალებას გაძლევთ?**

- სწორი გადაწყვეტილების იმედი მაქვს. მოგეხსენებათ, ახლა რუსეთს ისტორიული დრო უდგება - დიდი რვიანის თავმჯდომარე ქვეყანა ხდება. ეს პროცესები, ალბათ, უბიძგებს რუსეთს, ან ერთი მიმართულებით გადადგას ნაბიჯები, ან მეორე. ერთი კურსი იქნებოდა კეთილდღეობა და ინტეგრაცია და მეორე მათთვის არცთუ სახარბიელო. რუსეთს გადაწყვეტილების მიღება მოუწევს. პუტინი პეტერბურგიდან არის და იმედი მაქვს, პეტრე პირველს აირჩევს და არა - სტალინს.

**- იმედია, წარმოშობით ქართველი სტალინის გზაზე უარს იტყვის... თქვენს ახლანდელ ვიზიტზე რას იტყვით?**

- ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ეროვნული უშიშროების საბჭოს რესტრუქტურიზაციის სამწლიან პროექტს აფინანსებდა. ამ პროექტის ლიდერი გახლდით. პროექტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ნიჭიერი ახალგაზრდების მოძიება და უშიშროების საბჭოსთვის რესურსის შექმნა იყო. ამ სამი წლის განმავლობაში ისე გაიზარდნენ, რომ ახლა ისინი სახელმწიფო სტრუქტურებში სხვადასხვა მნიშვნელოვან თანამდებობებზე მუშაობენ. პროექტი ახლა მთავრდება. აღმაფრთოვანებელია ის ფაქტი, თუ რამდენი რამ გააკეთეს ქართველებმა ამ ბოლო პერიოდის განმავლობაში. ვხედავ, ქართველები დარწმუნებულნი არიან, რომ მათ ქვეყნისთვის ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ.

საქართველოს არ აქვს დამოუკიდებლობის დიდი ხნის ისტორია. 1921-1991 წლამდე ქართველები გადაწყვეტილებას თავად არ იღებდნენ. მხოლოდ 15 წელია, რაც საკუთარ ქვეყანას განაგებთ. სულ ორიოდე წელია გასული "ვარდების რევოლუციიდან"... პროგრესის ტრაექტორია ძალიან მაღლა მიდის. საქართველო შესანიშნავი ქვეყანაა და ხალხიც მშვენიერია. მივესალმები ყველა იმ ცვლილებას, რაც ქვეყანაში ხდება. საქართველოს იარაღი ახალგაზრდა ლიდერები არიან.

**- საქართველოში პირველად საბჭოთა დროს ჩამოხვედით. მაშინ ბევრი აქაურივით ფიქრობდით, რომ ის რეჟიმი არასდროს შეიცვლებოდა და მუდმივად იქნებოდა?**

- დიახ, ცვლილებები მაშინ წარმოუდგენელი იყო... საქართველოში ჩამოსვლის ბედნიერება მხვდა წილად. თქვენ ჩემზე უფრო ბედნიერები ხართ, რადგან საშუალება გეძლევათ, წვლილი შეიტანოთ საკუთარი ქვეყნის მშენებლობაში, ქვეყანა მართოთ და პოლიტიკაში ცვლილებები შეიტანოთ. მიხარია, აგრეთვე, რომ "24 საათმა" პრესის საკმაოდ მაღალ სტანდარტებს მიაღწია.

ერთი გამოთქმის ვარიაციას გავიხსენებ – "ღმერთი მაღლაა და მეფე შორს არის." ეს ნიშნავს, რომ საკუთარ თავს და საზოგადოებას თავად უნდა მიხედოთ.

# სად გადის "გაერთიანებულ ტელეკომსა" და "ახალ ქსელებს" შორის ობიექტურობის ზღვარი ქართულ სასამართლოში?

გასული წლის 2 დეკემბერს ქ. ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ მერაბ ჟვანიამ მიიღო განჩინება, რომ "გაერთიანებული ტელეკომის" ფოთის ფილიალმა უფასო მომსახურება გაუწიოს კერძო კომპანიას - შპს "ახალ ქსელებს", რაც ამ ორ კომპანიას შორის დადებულ ხელშეკრულებებში არასოდეს ასახულა.

ამ განჩინებით მოსამართლემ სახელმწიფო კომპანია დაავალდებულა, უსასყიდლოდ მოემსახუროს კერძო სტრუქტურას - კონკურენტ "ახალ ქსელებს" - ჩართოს ყველა ტელეფონი და აღადგინოს "8"-იანი კოდით მომსახურება, ასევე განახორციელოს "გაერთიანებული ტელეკომისა" და "ახალი ქსელების" აბონენტების ურთიერთკავშირი.

თუ "ახალი ქსელები" დამოკიდებულია კონკურენტ კომპანიაზე, აქ ადამიანს მეტად საინტერესო შეკითხვა ებადება - მაშინ რაღას აკეთებს კომპანია "ახალი ქსელები"? მით უფრო, როდესაც ცივილიზებული ურთიერთობების მიხედვით სხვისი ქონების გამოყენების დროს იჯარის გადასახადი უნდა დაიფაროს. სასამართლო კი საოცარ გადაწყვეტილებას იღებს - "გაერთიანებულმა ტელეკომმა" თავის კონკურენტს უფასო მომსახურება უნდა გაუწიოს.

"გაერთიანებული ტელეკომი" სიმართლეს ისევ სასამართლოში ეძებს. დღეს სს "გაერთიანებული ტელეკომი" ფოთში მიღებულ უკანონო გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოში ასაჩივრებს და იმედოვნებს, რომ სასამართლო ობიექტურობის ზღვარს აღარ გადავა.

ორ კომპანიას შორის კონფლიქტმა პიკს მაშინ მიაღწია, როდესაც მიმდინარე წლის დასაწყისიდან "გაერთიანებული ტელეკომის" ახალმა მენეჯმენტმა კომპანიის აქტივების დასაბრუნებლად გარკვეული ღონისძიებების გატარება დაიწყო. საქმე ისაა, რომ ქ. ფოთში შპს "ახალი ქსელები" 1997 წლიდან იყენებს "გაერთიანებული ტელეკომის" სატელეფონო სადგურს და სანომრე რესურსს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ეს საკითხი არაერთხელ იქნა დაყენებული როგორც კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, ისე თავად კომპანია "ახალი ქსელების" წინაშე.

"გაერთიანებულმა ტელეკომმა" ვალდებულება აიღო, გამოუყოს შპს "ახალ ქსელებს" დროებითი სარგებლობისთვის განსაზღვრული ფართი და სახაზო-საკაბელო წყვილები, სხვა ვალდებულება "გაერთიანებულ ტელეკომს" არ აუღია. გარდა ამისა, "ახალი ქსელების" საბონენტო კომპლექტები უკანონოდ, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშეა მიერთებული ქ. ფოთის ფილალის პროცესორზე.

"გაერთიანებული ტელეკომი" კომპანია "ახალი ქსელებისგან" განსხვავებით, ნაკისრ ვალდებულებებს პირნათლად ასრულებს. კერძოდ, შპს "ახალ ქსელებს" ამ ხნის განმავლობაში დაუგროვდა საკმაოდ სოლიდური დავალიანება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 558-ე მუხლის მიხედვით კი, თუ ქირის დავალიანება სამ თვეში არ დაიფარა, მხარეს უფლება აქვს მოშალოს ხელშეკრულება, მით უფრო, რომ დაგროვილი დავალიანება ბევრად მეტია სამი თვის დავალიანებაზე.


საერთაშორისო განათლების ცენტრი
CENTER FOR INTERNATIONAL EDUCATION
www.cie.ge

## ფონდი "საერთაშორისო განათლების ცენტრი" და ღია საზოგადოების ინსტიტუტი (ნიუ-იორკი) აცხადებს

**დამატებითი სტიპენდიების კონკურსს**
http://www.soros.org/initiatives/scholarship/focus-areas/global-supplementary

პროგრამის მიზანია საშუალება მისცეს სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში სადოქტორო ხარისხის (Ph.D) მაძიებლებს მოიპოვონ დამატებითი ფინანსური დახმარება.

პროგრამა დააფინანსებს განმცხადებლებს, რომლებიც სწავლის გაგრძელებას აპირებენ დასავლეთ ევროპის, შუა/ახლო აღმოსავლეთის, ევროპის, აზიის, ავსტრალიის და ამერიკის შეერთებულ შტატების უნივერსიტეტებში.

სტიპენდიაზე განცხადების შემოტანა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ჩარიცხულნი არიან სადოქტორო პროგრამაზე (Ph.D).

**განმცხადებლებს სტიპენდიების მოთხოვნა შეუძლიათ შემდეგ შემთხვევებში:**

1. **სწავლების გადასახადი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს წლიური თანხის 50%.**
2. **საცხოვრებელი თანხა - განმცხადებლებს, რომლებმაც მოიპოვეს სწავლების თანხა დაფინანსების სხვა წყაროებიდან უფლება აქვთ მოითხოვონ ცხოვრებისა და ბინის თანხები.**
3. **სხვადასხვა - განმცხადებლებს, რომლებმაც მოიპოვეს ყველა საჭირო დაფინანსება, გარდა მგზავრობის, წიგნების, ჯანმრთელობის დაზღვევისა უფლება აქვთ მოითხოვონ დაფინანსება ზემოაღნიშნული პუნქტების დასაფინანსებლად.**

განაცხადების მიღების ბოლო ვადებია:
აშშ, აზია, ავსტრალია - 1 აპრილი, 2006 წელი
დასავლეთი ევროპა და შუა/ახლო აღმოსავლეთი - 1 ივნისი, 2006 წელი

დაწვრილებითი ინფორმაციისა და კონსულტაციებისათვის მიმართეთ ფონდ "საერთაშორისო განათლების ცენტრს": თბილისი, თ. ჭოველიძის ქ. 10. ტელ: 25 26 15.

## იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ ჩქარა

მიხეილ აბაიშვილი

სახუმარო გამონათქვამია: "ფულზე ყველაფერი არ იყიდება, ხოლო რასაც ფულით ვერ იყიდი, იყიდი ძალიან დიდი ფულით". ქართულ რეალობაში ამ ფრაზაში ნაგულისხმევი ხუმრობის ყოველგვარი ნატამალი იკარგება და აქსიომის სახეს იძენს. დიახ, იყიდება ყველაფერი – თვით მომავალი თაობების ჯანმრთელობაც კი. პირადად მე სხვაგვარად ვერ შევაფასებ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გადაწყვეტილებას – მოახდინოს სპორტკომპლექს "ქარიშხალას" პრივატიზაცია. შესაძლოა, ეს ვინმეს ხმამაღალ განცხადებად მოეჩვენოს, მაგრამ მოვიტან არგუმენტებს და თავად განსაჯეთ.

ერთი შეხედვით, რა გახდა ეს "ქარიშხალა" და რატომ არ შეიძლება მისი პრივატიზება? ბოლოს და ბოლოს, ახალი პატრონი ზურგზე ხომ არ მოიკიდებს და სახლში არ წაიღებს? სპორტკომპლექსი დარჩება და გააგრძელებს ფუნქციონირებას. ანდა, ახალმა პატრონმა რომ დაანგრიოს კიდეც ეს შენობა და მის ადგილზე, ვთქვათ, სასტუმრო წამოჭიმოს, რა, სხვა სპორტული კომპლექსები არ გვაქვს თუ რა?

ბოლო პუნქტით დავიწყებ: სამწუხაროდ, ასეთი სპორტული კომპლექსები ისე ცოტა გვაქვს, რომ მათ ჩამოსათვლელად ერთი ხელის თითებიც გვეყოფა. თან, ეს ხდება ქალაქში, რომლის მოსახლეობა მალე ორ მილიონს მიაღწევს. თავად "ქარიშხალა" სხვა მსგავსი კომპლექსებისგან გამორჩეული და უნიკალურია. სოციალურად ყველაზე დაუცველ ფენასაც კი აქვს იმის საშუალება, რომ "ქარიშხალას" ნებისმიერ სექციაში ჩაეწეროს და ჯანმრთელობის გაკაჟებაზე იზრუნოს. არა ერთი და ორი შემთხვევა ვიცი, რომ სპორტკომპლექსის ხელმძღვანელობა ხელმოკლე ოჯახების ბავშვებს ფულს საერთოდ არ ახდევინებს. ამის გამო ეს კომპლექსი ყველაზე პოპულარულია თბილისში. აქ დადიან არა მხოლოდ ქალაქის ცენტრალური უბნებიდან, არამედ ყველა გარეუბნიდან, თანაც, არა მხოლოდ მოზარდები, არამედ ყველა ასაკის ადამიანები. ამ კომპლექსის გაყიდვა ცალსახად ნიშნავს, რომ რამდენიმე ათასი ადამიანისთვის ჯანმრთელობის გაკაჟების ეს ცივილიზებული საშუალება საბოლოოდ იხურება. თავად დაფიქრდით: ინვესტორი, რომელიც 2,5 მილიონ დოლარს გადაიხდის სპორტკომპლექსში, შემდეგ რამდენიმე მილიონს დახარჯავს მისი მოდერნიზაციისთვის, დარბაზს ისევ 15 ლარად გააქირავებს? ან სხვადასხვა სექციის აბონემენტს კაპიკებში, უკაცრავად, თეთრებში გაყიდის? ასეთი მხოლოდ ერთი კაცი მეგულება – ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ცნობილია, რომ მას "ქარიშხალას" მიმართ არანაირი ინტერესი არა აქვს. სამაგიეროდ არიან ჯგუფები, რომლებსაც საკუთარი ბიზნეს-ინტერესების განხორციელება საზოგადოების კისერზე გადაგრიალ-გადმოგრიალებით გადაუწყვეტიათ და ამისთვის არც კანონს, არც მორალს და არც სხვა მაღალ ღირებულებებს არაფრად დაგიდევენ, ხოლო როცა ასეთ თემებზე ნააზრევს კითხულობენ, ხარხარით კვდებიან.

კანონი ვახსენე: ვერ გეტყვით, ვისი მითითებით, მაგრამ ფაქტია: პირველ რიგში, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო არღვევს კანონს. სამინისტროს მიერ საკუთარ ვებგვერდზე განთავსებულ განცხადებაში წერია, რომ სპორკომპლექსის საპრივატიზაციოდ შერჩეულია აუქციონის ფორმა. სამინისტროს არანაირი წინასწარი პირობა არა აქვს ჩადებული (ვთქვათ, მომსახურე პერსონალისთვის სამუშაო ადგილების შენარჩუნება, პროფილის შენარჩუნება და ა.შ.) და იმას მიაკუთვნებს "ქარიშხალას", ვინც აუქციონის დროს მეტ ფულს გაიღებს. ასეთი ფორმა კი სრულ წინააღმდეგობაშია "საქართველოს კანონთან სპორტის შესახებ", რომლის 25-ე მუხლში შავით თეთრზე წერია, რომ სპორტული ობიექტების პრივატიზება მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ მთავარ საკონკურსო პირობად პროფილის შენარჩუნება იქნება ჩადებული. კანონის ეს მოთხოვნა კი აბსოლუტურად იგნორირებულია და რადგან არანაირი პირობა არ არის ჩადებული, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ "ქარიშხალას" პრივატიზების მსურველთ, ანუ ეკონომიკის სამინისტროს დამკვეთებს სპორტთან არანაირი კავშირი არა აქვთ და ამ ობიექტის, ალბათ, უფრო ადგილის (სადაც "ქარიშხალა" მდებარეობს) ხელში ჩაგდების მსურველებს სულ სხვა მიზნები ამოძრავებთ.

ასეა: ყველაფერი იყიდება. ხოლო რასაც ფულით ვერ იყიდი, იყიდი გავლენიანი მეგობრების და ძალიან დიდი ფულის მეშვეობით.

23 თებერვალს აუქციონია დანიშნული.

# "ოლიმპიური ვარსკვლავი" ოლიმპიური ჩემპიონებისგან

გიორგი ქირია

სამი ოლიმპიური ჩემპიონი თბილისში "ოლიმპიურ ვარსკვლავს" ქმნის და აცხადებს, რომ "ვარსკვლავი" 21-ე საუკუნის თბილისის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი გახდება. ზურაბ და ჯარჯი ზვიადაურებმა გიორგი ასანიძესთან ერთად, საბურთალოს ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე 19-სართულიანი სპორტულ-საცხოვრებელი კომპლექსის აშენება გადაწყვიტეს, თავიანთი ჩანაფიქრი კი სააშკარაოზე გუშინ სასტუმრო "მეტეხში" გამოიტანეს. ამდენად, ოლიმპიური ჩემპიონები "გამარჯვებული ფულით" უნიკალური პროექტის განხორციელებას იწყებენ. ამ კომპლექსის მშენებლობის იდეა სწორედ მას მერე გაჩნდა, რაც ჩემპიონებმა საკუთარი გამარჯვებისა და შრომის საფასურად, აქამდე უპრეცედენტო ჰონორარი და მხარდაჭერა მიიღეს.

"გვინდოდა, გაგვეკეთებინა ისეთი რამ, რაც საქართველოში ჯერ არავის მოუფიქრებია. გარდა ამისა, ბევრი იდეა გვაქვს, რასაც ჯერ არ ვამბობთ, თუმცა ეტაპობრივად განვახორციელებთ," – გვითხრა ზურაბ ზვიადაურმა.

"ოლიმპიურ ვარსკვლავში" სპორტული კომპლექსისა და საცხოვრებელი ფართის გარდა, საბურთალოელებისთვის, ძველი ბაზრის ალტერნატივად, ევროპული სტანდარტების შესაბამისი მარკეტიც გაიხსნება. იქვე იქნება კომერციული ცენტრიც - მრავალსართულიანი ოფის-ჰოლი საქმიანი ადამიანებისთვის. კომპლექსში განთავსდება საბავშვო ბაღი, სამედიცინო ცენტრი, იქნება გასართობი და დასასვენებელი ადგილები, კვების ბლოკები და რესტორანი, საიდანაც არქიტექტორების თქმით, თბილისის ულამაზესი პანორამა გადაიშლება.

"ვარსკვლავში" ცხოვრებას თუ გადაწყვეტთ, "იცხოვრებთ უნიკალურ ადგილას. საიდანაც გამოჩნდება სამების ტაძარიც და ზედაზნის ჯვარიც. კომპლექსი მტკვრის ხეობას გადაჰყურებს. აქედან ადვილი იქნება ქალაქის ნებისმიერ უბანში მოხვედრა. სპეციალისტების მტკიცებით, თანამედროვე თბილისის მარჯვენა სანაპიროს სავაჭრო-კომერციული ცენტრი სწორედ აქ იქნება," – ასე ახასიათებენ ჩემპიონები თავიანთ ჩანაფიქრს.

როგორც უკვე გითხარით, "ოლიმპიურ ვარსკვლავს" ქართველი სპორტსმენები ოლიმპიადაზე მოპოვებული ფულით აშენებენ, თუმცა არც იმას უარყოფენ, რომ ფინანსურად ზურგს ბიზნესმენებიც უმაგრებენ. ნათელა წიქარიშვილი, ზაზა რაზიკაშვილი და მაია ანჯაფარიძე "ვარსკვლავის" შექმნაში თავიანთ წვლილს შეიტანენ.

ჯარჯი ზვიადაურს, გარდა იმისა, რომ თბილისელებს სიახლეს სთავაზობს, ისიც მოსწონს, რომ ზვიადაურები და ასანიძეები მეზობლები იქნებიან. "მე, ზურამ და გიამ გადავწყვიტეთ, ერთ სახლში ვიცხოვროთ. პარალელურად კი გვინდა, სპორტულ დარბაზებში ჯანსაღი მომავალი თაობა აღვზარდოთ და გზა გავუკვალოთ მომავალი გამარჯვებისკენ. "ოლიმპიურ ვარსკვლავში" ამისთვის ყველა პირობა იქნება შექმნილი. ამდენად, ერთგვარი სპორტული აკადემიის შექმნასაც ვფიქრობთ," – აღნიშნა ჯარჯი ზვიადაურმა, რომელიც საქართველოში საბერძნეთიდან სწორედ გუშინდელი პრეზენტაციისთვის ჩამოვიდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ კომპლექსში ოლიმპიელების ოლიმპიური ტრადიცია ფუძნდება. სამი ოლიმპიური ჩემპიონი ჩინეთის ოლიმპიადის პირველ ქართველ გამარჯვებულს "ოლიმპიურ ვარსკვლავში" ბინას დაახვედრებს.

"ამ ტერიტორიაზე აუთვისებელი არც ერთი გოჯი მიწა არ დარჩება," – აცხადებენ ოლიმპიური ჩემპიონები. ახალ "ვარსკვლავს" ერთდროულად რამდენიმე სამშენებლო კომპანია ააშენებს. ამ კომპლექსს სპეციალისტებმა უკვე უწოდეს ახალი სიტყვა ქართულ არქიტექტურაში. ჩემპიონები კი აცხადებენ, რომ მათი თაოსნობით თბილისში კიდევ ერთი ელიტარული უბანი აშენდება და იმ ადამიანებს, რომლებიც "ვარსკვლავში" ცხოვრებას ან კომერციული ფართის შეძენას გადაწყვეტენ, თანამედროვე არქიტექტურითა და დიზაინით შექმნილ "სიურპრიზებს" სთავაზობენ. მათ დანაპირებს არქიტექტორების შეფასებაც ემატება, რომლებიც აცხადებენ, რომ "ეს იქნება საუკეთესო მასალით შემინული შენობა, ულამაზესი ტერასებითა და ორიგინალურად გადანაწილებული ფართებით." ცნობისთვის, მშენებლობას ბიზნესჯგუფი "ოლიმპი" განახორციელებს, რაც მშენებლობის უმაღლესი ხარისხის გარანტია.

"კომპლექსის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ იწყება საქმე, რომელიც არის პირველი და საუკეთესო მაგალითი კარგი, სამომავლო საქმეების წამოსაწყებად. ეს არის ერთგვარი სტიმულიც, რომ ქართველებმა იშრომონ და გაიმარჯვონ საქართველოსთვის, რომ თანამედროვე მამლუქობა დასრულდეს. ჯარჯი ზვიადაურის სამშობლოში დაბრუნება ამის ნათელი მაგალითი იქნება," – აღნიშნა გიორგი ასანიძემ.

"ვარსკვლავის" მშენებლობა მარტის თვეში დაიწყება და, სავარაუდოდ, ორ წელს გასტანს. იქამდე კი, სამ ჩემპიონს არც ძველი "ოლიმპიელები" დავიწყებიათ, რომელთაც გუშინ "მეტეხში" სიურპრიზის სახით საჩუქრები გადასცეს.

ფურცი 2006

# სექსუალურობა კარგი იარაღია

მაიკ უაიზი

დღეს აღმოვჩნდი ბიატლონისტ ქალთა გუნდში, რადგან ერთადერთი მამაკაცი ვიყავი ოთახში, რომელიც გატენილი იყო ჩემი კოლეგებით - ქალი ჟურნალისტებით და ერთადერთი ინგლისურად მოსაუბრე principessa მთიან ქალაქ ჩეზანოში, რომელმაც დაახლოებით ერთი საათის წინ უარი მითხრა კავალრობაზე. ამიტომ მე პროგრესული და შეუმჩნეველი მესვეტე ვარ და ქალებს თხილამურების შესახებ არაფერს ვეკითხები.

"არ მესმის, რატომ არ გვიყვარს სპორტის ეს სახეობა უფრო მეტად, - ამბობს ალასკან ჯეი ჰაკინენი, ჩვენი ვაჟთა ბიატლონის გუნდის მთავარი იმედი, - ქალები შესაბამის შარვლებში, თხილამურებზე და შაშხანით ხელში... ეს სახეობა ჩვენი უნდა იყოს".

ქალები თხილამურებზე შეშლილებივით დაქრიან და რბოლის დროს ოთხ მჭიდს ცლიან, თითოეულში ხუთი ტყვიით. ორჯერ ფეხზე მდგარი ისვრიან და ორჯერ – წოლილა. მათი ტემპი და გულისცემა მნიშვნელოვნად იცვლება სტარტისა და შესვენების დროს. გამძლეობისა და სნაიპერული ხელოვნების ურთიერთშერწყმა იმას ჰგავს, რომ მარათონის შემდეგ ძაფი ნემსის ყუნწში გაუყარო.

ბიატლონისტებს მზად აქვთ პასუხები კითხვებზე, რომლებიც აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინის თავს გადამხდარ ინციდენტს უკავშირდება. კაკბებზე ნადირობის დროს ვიცე-პრეზიდენტმა შემთხვევით თავისი მეგობარი, ადვოკატი ჰარი უიტინგტონი დაჭრა. ამდენად, საინტერესოა, შეიძლება თუ არა, რომ რაიმე მსგავსი ბიატლონშიც მოხდეს? "ჩვენ ძალიან საიმედო აღჭურვილობა გვაქვს, - განაცხადა ამერიკელმა ლენი ბარნზმა, - და შემთხვევები აქ არ ხდება".

ლენის ზურგზე შაშხანა ეკიდა – Anschutz – 22-კალიბრიანი. მისი თქმით, დაუტენავი. ასეთივე ჰქონდა ნორვეგიელ ჰუნ მარგიტ ანდრეასენს, რომლის ღია ფერის ნაწნავი იარაღის კონდახზე ქანაობდა. მანაც მითხრა, რომ შაშხანაში პატრონები არ ჰქონდა ჩადებული. თუმცა მაინც ღელავ, როცა შეიარაღებული ქალის გვერდით დგახარ. დაახლოებით ისე, თითქოს ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინის გვერდით დგახარ, რომელიც ან დაგჭრის, ან აგაცდენს.

ისე მოხდა, რომ ბევრი ევროპელი ვარსკვლავი უაღრესად მომხიბვლელია, რაც საოცარია, მაგრამ სქესობრივი როლების შეცვლას იწვევს. მამაკაცები თავიანთ სპორტსმენ გმირებს უცნაური თხოვნებით მიმართავენ. მაგალითად, ორშაბათს ხუთ ახალგაზრდა გერმანელს ასეთი შინაარსის პლაკატი ეჭირა: "უში, ჩვენ შენგან ბავშვი გვინდა".

უში დიზლი ნახევარ ევროპას უყვარს.

თვითონ ამ სახელის გაგონება გაფიქრებინებს ხიფათზე, თავგადასავალზე, შეიძლება საიდუმლო რომანზეც კი გონდოლში. მე არ ვამბობ, რომ ბიატლონის უდიდეს ვარსკვლავთან უში დიზლთან იგივეს ვგრძნობ, მაგრამ ზოგიერთები ალბათ გრძნობენ. უში სეზონში მილიონ დოლარზე მეტს გამოიმუშავებს. მისთვის საბედნიეროდ, ის ხვდება ნორვეგიელ თხილამურების ტექნიკოსს და არა პლაკატფრიალებულ გერმანელს.

ევროპაში უშის ფანებმა შექმნეს პლაკატი, რომელზეც სპორტსმენი ვიპოვეთ და რომ შემდეგ ამაში ბიჭებმაც აგვიბეს მხარი".

ფაქტია, შვედებს თხილამურებიღთ რბოლაში ოლიმპიური "ოქრო" არ მოუპოვებიათ გუნდე სვანის შემდეგ, რომელმაც ასეთ წარმატებას მიაღწია 50 კილომეტრზე რბოლაში 1988 წელს კალგარის ოლიმპიურ თამაშებზე (იმავე თამაშებზე შვედები ოქროს მედლებს ვაჟთა ესტაფეტაშიც დაეუფლნენ. რედ.). ისე, თუ მთლიანობაში შვედების ოლიმპიურ მონაგარსაც გადავხედავთ, 1994 წლის ლილეჰამერის ოლიმპიური თამაშების შემდეგ სკანდინავიელებს ჩემპიონობა არ უზეიმიათ. მაშინ კი "ოქროები" დაისაკუთრეს ჰოკეისტებმა და სამთომოთხილამურე პერნილა ვიბერგმა.

"შვედეთისთვის ორი "ოქრო" – ერთდროულად ამაზე მეტს ვერც მოითხოვ, - აცხადებს ტობიას ფრედრიკსონი. – დღეს მზემ შვედეთისთვის გამოანათა. ორივე გუნდმა საოცრად ტაქტიკურად იასპარეზა. ვიცოდით, რომ ძლიერი გუნდები გვყავდა. ასე რომ, ვფიქრობდით, გამარჯვების შანსიც გვაქვს-მეთქი".

იენს არნე სვარტედალისა და ტურე არნე ჰეტლანდის ნორვეგიელთა ტანდემი ჩემპიონებს 0,6 მეასედი წამით ჩამორჩნენ, მესამეზე კი რუსები აღმოჩნდნენ.

რაც შეეხებათ ქალთა გუნდურ სპრინტში მეორე-მესამე ადგილებზე გასულებს, ასეთები კანადელები და ფინელები არიან. სხვათა შორის, ჩრდილო ამერიკელებიც 0,6 მეასედი წამით ჩამორჩნენ გამარჯვებულებს.

### თხილამურებით რბოლა

**გუნდური სპრინტი**

**ქალები:**

| | |
|---|---|
| 1. შვედეთი | 16:36.900 |
| 2. კანადა | 16:37.500 |
| 3. ფინეთი | 16:39.200 |

**ვაჟები:**

| | |
|---|---|
| 1. შვედეთი | 17:02.900 |
| 2. ნორვეგია | 17:03.500 |
| 3. რუსეთი | 17:05.200 |

# შვედებმა შვედური სუფრა გაშალეს

*ოლიმპიური თამაშების მეოთხე დღეს შვედების ბანაკში თამაშების პირველი "ოქროები" აბრჭყვიალდა. სკანდინავიელმა ქალ-ვაჟებმა თითქოს პირობა დადესო, თხილამურებით რბოლაში გუნდურ სპრინტში კვარცხლბეკის პირველ საფეხურს არავინ გააკარეს. ერთი სიტყვით, დუბლი შეასრულეს და იმავდროულად გეგმაც. საქმე ისაა, რომ შვედები, რომლებიც დისციპლინის დიდოსტატები არიან და თხილამურებით რბოლა სისხლში აქვთ გამჯდარი, ასეთ წარმატებას გუშინდლამდე 18 წელიწადი ელოდნენ. 18-წლიანი მოლოდინი კი სულ რაღაც 20 წუთში ორი ოქროს მედლითა და მათი ზეობით დასრულდა!*

გიგა გურასაშვილი

ის იყო, ქალთა ასპარეზობაში პირველობა ანა დალბერგმა და ლინა ანდერსენმა ყოველგვარი გართულების გარეშე მოიპოვეს და ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავდნენ, რომ ვაჟებმა ბიორნ ლინდმა და ტობიას ფრედრიკსონმა შვედების სიხარული უფრო დაატკბეს. არადა, ჩემპიონობისკენ სავალი გზა თანამამულე ქალთა ტანდემისგან განსხვავებით შედარებით უსწორმასწოროდ და რთულად გაიარეს. ამ მხრივ კულმინაციური მომენტი ფინიშამდე დარჩენილი 100 მეტრი იყო, როდესაც უმთავრესი ჯილდოსთვის ბრძოლა ბიორნ ლინდსა და ფეხდაფეხ მდევარ ნორვეგიელ ტორე არნე ჰეტლანდს შორის წარიმართა. ფაქტობრივად, თანაბარძალოვან დაპირისპირებაში ბოლოსკენ მაინც შვედმა იყოჩაღა და აკი, ჩემპიონობაც იზეიმა თანაგუნდელ ფრედრიკსონთან ერთად.



დალბერგმა და ანდერსონმა 18 წლის შემდეგ ნავსი გაატეხეს.

"საოცრებაა. 18 წლის მოლოდინის შემდეგ ორ მედალს 20 წუთში დავეუფლეთ, - გამარჯვების შემდეგ აცხადებდა ლინა ანდერსენი. - მართალი გითხრათ, არ ვიცი რა მოხდა... დაუჯერებელია, რომ ოქროს მედალი მოვიპოვეთ და რომ ამ ტიტულის ბედნიერი მფლობელები ვართ. ეს ჯერ ვერ გავაცნობიერეთ. ალბათ, ამის გაცნობიერებას დრო დასჭირდება".

ფინეთის ოლიმპიური ნაკრების მთავარმა იმედმა ლინდსიე კილდოუმ ვარჯიშის დროს თხილამურებზე კონტროლი დაკარგეს...

ტიტულოვანმა ფრანგმა ტრასის საწყის მონაკვეთზე წონასწორობა ვერ შეინარჩუნა, სრული სიჩქარით (სწრაფდაშვებაში 120კმ/საათზე მეტ სიჩქარეს ავითარებენ.-რედ.) ტრასის მიღმა გაფრინდა და დამცავი ბადე გაგლიჯა. მონტრეალისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენას ადგილზევე შეუდგნენ, მაგრამ როდესაც ექიმები მიხვდნენ, რომ ტრავმა სერიოზული იყო, გადაწყვიტეს ფრანგი სასწრაფოდ სესტრიერის საავადმყოფოში გადაეყვანათ.

რაც შეეხება 21 წლის ლინდსეი კილდოუს, რომელიც სწორედ ახლა იყო საუკეთესო ფორმაში (რაზეც წლის ბოლოს სწრაფდაშვებაში მოგებული სწრაფდაშვებაში სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონმა, 32 წლის ფრანგმა კაროლ მონტიიემ და ქალ მოთხილამურეთა შორის ოლიმპიური მედლის მოპოვებაში აშშ-ის ნაკრების მთავარმა იმედმა ლინდსეი კილდოუმ ვარჯიშის დროს თხილამურებზე კონტროლი დაკარგეს...

ტიტულოვანმა ფრანგმა ტრასის საწყის მონაკვეთზე წონასწორობა ვერ შეინარჩუნა, სრული სიჩქარით (სწრაფდაშვებაში 120კმ/საათზე მეტ სიჩქარეს ავითარებენ.-რედ.) ტრასის მიღმა გაფრინდა და დამცავი ბადე გაგლიჯა. მონტრეალისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენას ადგილზევე შეუდგნენ, მაგრამ როდესაც ექიმები მიხვდნენ, რომ ტრავმა სერიოზული იყო, გადაწყვიტეს ფრანგი სასწრაფოდ სესტრიერის საავადმყოფოში გადაეყვანათ.

რაც შეეხება 21 წლის ლინდსეი კილდოუს, რომელიც სწორედ ახლა იყო საუკეთესო ფორმაში (რაზეც წლის ბოლოს სწრაფდაშვებაში მოგებული მსოფლიო თასის ორი ეტაპიც მეტყველებს და ხვალისთვის თავის პირველ ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვებასაც გეგმავდა), ფრანგზე სერიოზული ტრავმა აღმოაჩნდა. ის შვეულმფრენით სასწრაფოდ ტურინში გადააფრინეს. მოგვიანებით ექიმებმა თქვეს: ზურგი აქვს დაშავებული და, ვეჭვობთ, სტარტზე გავიდესო.

საგულისხმოა, რომ სან სიკარიოს სათხილამურო ტრასა ორგანიზატორებმა ოლიმპიური თამაშების მიჯნაზე გაართულეს. საქმე ისაა, რომ მსოფლიო თასის მონაწილენი ამ ტრასას ზედმეტად იოლად მიიჩნევდნენ. ამიტომ ორგანიზატორები იძულებული გახდნენ, ტრასა რამდენიმე ტრამპლინის დამატებით გაერთულებინათ.

ის იყო, მომხდართან დაკავშირებით ზომების მიღებას აპირებდნენ, რომ გიგანტური სლალომის ოსტატმა კანადელმა ელისონ ფორსაიტმა ფრანგისა და ამერიკელის ბედი გაიზიარა. ექიმებმა ფორსაიტს მუხლის სერიოზული ტრავმა დაუდგინეს.

# თავ-პირის მტვრევა ოლიმპიურად

*უიღბლობაც ამას ჰქვია. ოლიმპიურ თამაშებზე მოსახვედრად ოთხი წელიწადი ემზადებოდე, ნაკრებშიც აგიყვანონ და მერე, როდესაც ასპარეზობამდე საათები რჩება, კარიერის უმნიშვნელოვანეს შეჯიბრებას გამოეთხოვო. მართალია, ჯერ ბოლომდე არაფერია გარკვეული, მაგრამ ალბათ ასეც იქნება, თუ, რა თქმა უნდა, სამთომოთხილამურეების, ფრანგი კაროლ მონტიიეს და ამერიკელი ლინდსეი კილდოუს ტრავმები სერიოზული არ აღმოჩნდა.*

გიგა გურასაშვილი

სან სიკარიოს სამთოსათხილამურო ტრასა "ფრაიტევეზე", რომელიც სწრაფდაშვებისთვის გამართეს თამაშების მასპინძლებმა, ორშაბათს რამდენიმე ისეთი შემთხვევა მოხდა, რომ ორგანიზატორები საგონებელში ჩაგდო. უფრო ცუდ დღეში არიან საფრანგეთისა და აშშ-ის ნაკრების ხელმძღვანელები.

# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

# რესურსები მშვიდობისთვის:
## ყარაბაღის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სამშვიდობო პროცესების შედარება

*დოქტორი ლოურენს ბრუერი არის ავტორი წიგნისა "შეზღუდული ძალაუფლება: ელიტები და საზოგადოებები მთიანი ყარაბაღის სამშვიდობო პროცესში". წიგნი გამოიცა ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია "შერიგების რესურსების" მიერ და მისი ნახვა შესაძლებელია ინტერნეტ-გვერდზე: www.c-r.org/accord/nk/*

ლოურენს ბრუერი

რა შეიძლება შესძინოს ყარაბაღის სამშვიდობო პროცესმა საქართველოს სამშვიდობო პროცესს და პირიქით? ის ფაქტი, რომ სამხრეთ კავკასიის სამივე კონფლიქტის სამშვიდობო პროცესს რაიმე თვალსაჩინო შედეგი არ მოუტანია, იმ ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ ამ ქვეყნებს ერთმანეთის მაგალითით არ უხელმძღვანელიათ.

და მაინც, თუ ამ კონფლიქტებს შეხედავთ, როგორც პოლიტიკური ფაქტორების შესაბამისად ცვალებადს და არა როგორც "გაყინულს", ამ შემთხვევაში ნათელია, რომ ცვლილებების დინამიკა ყარაბაღში უნდა განსხვავდებოდეს დინამიკისგან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. კონკრეტული შედეგების გარეშე შეუძლებელია იმის ცოდნა, თუ როგორი დინამიკაა უფრო შესაფერისი კონფლიქტის საბოლოო მოგვარებისთვის, რადგან განსხვავებული დინამიკის იდენტიფიცირება მეტად მნიშვნელოვანია ნებისმიერ შემთხვევაში კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიების შესარჩევად.

თუ სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებს გვერდიდან შევხედავთ, შევამჩნევთ ზოგად ტენდენციას - ადგილობრივი პრობლემების მოგვარებისათვის მზერა მოსკოვსა თუ ვაშინგტონისკენ არის მიპყრობილი.

ბრიტანეთის არასამთავრობო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" უკანასკნელ გამოცემაში (Conciliation Resources' Accord) ყარაბაღის სამშვიდობო პროცესისადმია მიძღვნილი სტატია – "შეზღუდული ძალაუფლება: ელიტები და საზოგადოებები მთიანი ყარაბაღის სამშვიდობო პროცესში", სადაც რამდენიმე საინტერესო შედარებაა გაკეთებული. ამ მასალებიდან ყარაბაღისა და აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის სამშვიდობო პროცესებს შორის არსებულ უამრავ განსხვავებას შეიძლება გაესვას ხაზი.

შედარება ცხადყოფს სამხრეთ კავკასიის სამშვიდობო პროცესების განსხვავებულ შესაძლებლობას, ერთის მხრივ, წარმოშვას პირველადი სამშვიდობო შეთანხმებები, მეორეს მხრივ კი, უზრუნველყოს მათი პირობების სათანადო დონეზე შესრულება.

მაშინ, როდესაც დღეს ყარაბაღის სამშვიდობო პროცესს შესაძლოა პირველადი შეთახმების მიღწევა მოჰყვეს, პრაქტიკულად, სომხეთისა და აზერბაიჯანის საზოგადოებები ნებისმიერი ამგვარი შეთანხმების განხორციელებას აუცილებლად დაბრკოლებას შეუქმნიან.

ამის საპირისპიროდ, მართალია, ქართული და აფხაზური საზოგადოებები შედარებით უფრო მომზადებულები შეხვდნენ მსგავსი ხელშეკრულების განხორციელებას, თავად პირველადი შეთანხმების მიღწევა თავისთავად უფრო რთული ჩანს.

ასეთი კონტრასტული დინამიკები ნათლად აჩვენებს, რომ მშვიდობის დამყარების განსხვავებული სტრატეგიები ნებისმიერ შემთხვევაში შესაძლებელია გამოდგეს.

### შეღწევადობა

ყარაბაღისა და აფხაზეთის/სამხრეთ ოსეთის მდგომარეობას შორის ყველაზე თვალსაჩინო განსხვავებას გარესამყაროსთან კავშირი წარმოადგენს. მთიანი ყარაბაღი და მის მიერ დაკავებული ტერიტორიები სავსებით შეუღწევადია აზერბაიჯანიდან, გამოყოფილია მკაცრად დაცული ზოლით, რომელში შესვლის პრივილეგიით მხოლოდ ეუთოს მიერ წარმოებულ სამშვიდობო პროცესში ჩაბმული ოფიციალური პირები სარგებლობენ.

ამისგან განსხვავებით, მიმოსვლა შედარებით თავისუფალია აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის, რამაც ორი მნიშვნელოვანი პროცესის დაწყების შესაძლებლობა წარმოშვა. პირველი, ესაა ქართული მოსახლეობის მუდმივი არსებობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. მართალია, ამ ფაქტმა დაძაბულობა გამოიწვია, რომელიც შემდეგ სამივე მხარის პოლიტიკოსებმა საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენეს. თუმცა მან, ამავე დროს, ხელი შეუწყო ქართველ მოსახლეობასა და სოხუმისა და ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებებს შორის ურთიერთობას.

ამის საპირისპიროდ, სომხები და აზერბაიჯანელები ერთმანეთისგან სრულ იზოლაციაში ცხოვრობენ, თუ არ ჩავთლით ურთიერთობას მმართველთა დონეზე ან სხვა სახელმწიფოთაშორის გაერთიანებებში. მართლაც, დიდი ძალისხმევაა საჭირო იმ ძაფების ისევ გასაბმელად, რომელიც სომხეთსა და აზერბაიჯანს ოდესღაც ერთმანეთთან აკავშირებდა. ასევე იმისთვის, რომ გაუმკლავდე იზოლაციის შედეგებს, როგორიცაა: მტრული პროპაგანდა და "დემონიზაცია"; ერთად ცხოვრების გამოცდილების ნაკლებობა, რაზეც, საბოლოო ჯამში, სხვა ჯგუფების თანაცხოვრება უნდა დამყარდეს.

მეორე, "შეღწევადობა" ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს უფრო ეფექტურ მუშაობაში უწყობს ხელს და გარკვეულ დონეზე ჰუმანიტარული ოპერაციების, როგორც ნდობის ფაქტორის, ჩამოყალიბებას ემსახურება.

მთიან ყარაბაღში მუშაობისთვის საერთაშორისო ორგანიზაციების ურთიერთშეთანხმებული მანდატები არ აღმოჩნდა საკმარისი ბაქოსა და სტეპანაკერტისთვის, რაც მათ ფასს უკარგავს. ბაქოსთვის ეს წარმოშობს დილემას - ერთი მხრივ, აზერბაიჯანი ცდილობს ყარაბაღის საერთაშორისო იზოლირებას, ხოლო მეორეს მხრივ, აცხადებს, რომ აქ მცხოვრებნი მისი მოქალქეები არიან.

თბილისისთვის პრობლემას წარმოადგენს ის, თუ როგორ გადააქციოს ჰუმანიტარულ სფეროში თანამშრომლობა (მინიმალურ დონეზე) და ენგურის ჰიდროელექტროსადგურის ერთობლივი მართვა, ფართომასშტაბიან ნდობაზე დამყარებულ ურთიერთობებად.

### სამშვიდობო ძალების განლაგება

ყარაბაღის კონფლიქტსა და ქართულ კონფლიქტებს შორის კიდევ ერთი განსხვავება საქართველოში სამშვიდობო ძალების ყოფნაში მდგომარეობს. აფხაზეთში დსთ-ს რუსი ჯარისკაცებით დაკომპლექტებული საჯარისო შენაერთების ყოფნა საქართველოში მუდმივი დავის საგანია, მაშინ, როცა სომხეთ-აზერბაიჯანს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულებას არანაირი გარანტი არ ჰყავს.

ამ განსხვავებას თავისი დადებითი მხარეც აქვს და უარყოფითიც. ერთის მხრივ, სომხეთმა/ყარაბაღმა და აზერბაიჯანმა ცეცხლის შეწყვეტის პასუხისმგებლობა აიღეს, სავარაუდოდ, გარკვეული პრაგმატიზმით იხელმძღვანელეს ფართომასშტაბიანი ძალადობის ხელახლა წარმოშობის თავიდან ასაცილებლად.

აფხაზეთში სამშვიდობოების ყოფნამ ვერ შეძლო ძალადობისთვის ხელის შეშლა გალში 1998 წლის მაისში. შესაძლებელია, ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს პასუხისმგებლობის ნაკლებობამ წააქეზა თბილისი, ფარულად დაეჭირა მხარი იქ პარტიზანთა ოპერაციისთვის.

და მაინც, სამშვიდობო ძალთა არარსებობა ყარაბაღის გამყოფი ხაზის გასწვრივ იმას ნიშნავს, რომ მთიანი ყარაბაღი სამხრეთ კავკასიაში ერთადერთი სეპარატისტული რეგიონია, რომელიც საკუთარ უსაფრთხოებაზე თავადაა პასუხისმგებელი. შემთხვევითობას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ყარაბაღის საზოგადოება ყველაზე უფრო მილიტარისტულია მთელ მსოფლიოში, სადაც შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლი უმნიშვნელოა, და სადაც მილიტარიზაციამ სამოქალაქო პოლიტიკა დაჩრდილა. რასაკვირველია, ეს ერთერთი მიზეზია ყარაბაღსა და აფხაზეთს შორის არსებული სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის აქტივობის განსხვავებისა.

ამგვარად, ქართული გადმოსახედიდან, სამშვიდობოების ყოფნის საკითხი აწონ-დაწონას მოითხოვს. გარდა იმისა,ეს ფაქტი პოლიტიკურად სადავოა დღევანდელი ქართულ-რუსული ურთიერთობების ფონზე, ის არაეფექტურიც აღმოჩნდა თავისი მთავარი ფუნქციის შესრულების დროს.

და მაინც, მან შეასუსტა სეპარატისტული ტერიტორიების მილიტარიზაცია და, ამგვარად, სამოქალაქო პოლიტიკაც და პოლიტიკური განვითარებაც შედარებით მაღალ დონეზე აიყვანა. მომავალში ეს, რა თქმა უნდა, აფხაზი საზოგადოების მნიშვნელოვან დიალოგში ჩაბმას შეუწყობს ხელს.

### სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობა

კიდევ ერთი განსხვავება ქართულ-აფხაზურსა და სომხურ-აზერბაიჯანულ პრობლემებს შორის არის საზოგადოების დიდი გავლენა სახელმწიფოზე. აფხაზეთშიც და საქართველოშიც სახელმწიფო, დე იურე თუ დე ფაქტო, საზოგადოების დიდი გამოწვევის წინაშე იდგა. საქართველოში "ვარდების რევოლუციის" დროს ამან ასახვა ჰპოვა მთავრობის შეცვლაში, აფხაზეთშიც 2004 წლის ნოემბერში მთავრობის ნაწილობრივი შეცვლა მოხდა, ასახა რა კომპრომისი ძველსა და ახალ ელიტას შორის. მნიშვნელოვანია ის, რომ ამ ცვლილებებისთვის მობილიზაციამ სოციალური მართლმსაჯულებისა და პოლიტიკური რეფორმების მოთხოვნის ფორმა მიიღო და ნაკლებად იყო ორიენტირებული კონფლიქტზე. ეს ცვლილებები სამოქალაქო საზოგადოებების ძალის გამოძახილია საქართველოსა და აფხაზეთში, რასაც ვერ ვიტყვით სომხეთზე, აზერბაიჯანსა და ყარაბაღზე.

ეს ფაქტი აღსანიშნავია განსაკუთრებით საქართველოში, სადაც სამოქალაქო საზოგადოების მცირე, მაგრამ აქტიურმა ელემენტმა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტებს ურთიერთობის დამყარებისკენ უბიძგა და კონკრეტული წინადადებებიც წარმოშვა კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით. ამ საკითხების საჯარო განხილვამ რისკის ქვეშ დააყენა "შესაძლო კომპრომისების" ტაბუდადებული თემა და ასევე, აფხაზებისა და ოსების, როგორც "მტერი ხალხის", დემონიზაცია. საქართველოში ესაა სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც ადგენს კონფლიქტის დარეგულირების დღის წესრიგს, აიძულებს მთავრობას, ან მის მიერ შემოთავაზებული წინადადებები მიიღოს ან საკუთარი წარმოადგინოს.

სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობას სომხეთში, აზერბაიჯანსა და ყარაბაღში განსხვავებული დინამიკა აქვს. აზერბაიჯანში სახელმწიფო საზოგადოებისგან მნიშვნელოვანი ავტონომიით სარგებლობს, რაც ნავთობის შემოსავლებზე კონტროლის დამყარების შედეგია. თუმცა, როგორც ამასწინდელ არჩევნებში მიღებულმა გამოცდილებამ აჩვენა, ალიევის რეჟიმს საკმაოდ უჭირს ლეგიტიმურობის დამკვიდრება – და ერთადერთ გამოსავალს საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ნდობის აღსადგენად ყარაბაღის პრობლემის მიმართ ძალისმიერი პოლიტიკის განხორციელებაში ხედავს. შედეგად, სამოქალაქო საზოგადოება ჩარევის უფლებას კარგავს.

სომხეთში კი ყარაბაღის ომში გამარჯვებამ და "ყარაბაღის ფაქტორის" გადამწყვეტმა როლმა პოსტსაბჭოთა პრეზიდენტების აღმასვლა-დაღმასვლაში, თავის მხრივ ომის შედეგებისა თუ მასში ჩადებული ეროვნული იდეის მიმართ გაანელა ინტერესი. ნებისმიერ ვითარებაში, სამოქალაქო საზოგადოება პრიორიტეტებად სხვა საკითხებს აყენებს, გვახსენებს რა, რომ სამოქალაქო საზოგადოებებს სულაც არ სჭირდებათ ინტერესთა ჯგუფების ჩამოყალიბება კონფლიქტის მოსაგვარებლად, როგორც ამას გარეშეები ფიქრობენ. თავად ყარაბაღში არსებითი და სანდო მხარდაჭერის მიღება სომხეთიდან და დიასპორიდან ნიშნავს იმას, რომ დე ფაქტო ხელისუფლებას დიდი შესაძლებლობა აქვს ადგილობრივ ოპოზიციასთან გასამკლავებლად, რისი შესაძლებლობაც აფხაზეთს ნაკლებად თუ აქვს.

ყარაბაღში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას ხელი შეუშალა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან იზოლაციის წინდაუხედავმა პოლიტიკამ.

მოკლედ, სამოქალაქო საზოგადოებები აზერბაიჯანში, სომხეთსა და ყარაბაღში საგრძნობლად ნაკლებ გავლენას ახდენენ კონფლიქტის დარეგულირების დღის წესრიგის განსაზღვრასა და ხელის შეწყობაში, ვიდრე ეს ხდება საქართველოსა და აფხაზეთში. ეს განსხვავება ყარაბაღის კონფლიქტის სამშვიდობო პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გაცილებით უფრო დაბალი ხარისხის განმსაზღვრელია – სიტუაცია, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცვალოს ნებისმიერი სამშვიდობო შეთანხმების შესასრულებლად.

### სამშვიდობო პროცესის სტრუქტურა

აზერბაიჯანისგან განსხვავებით, საქართველო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებებს სამშვიდობო პროცესის მეორე მხარედ აღიარებს. ეს, რა თქმა უნდა, განპირობებულია იმ ფაქტით, რომ სეპარატისტები, ძირითადად, არასოდეს იყვნენ ორიენტირებულნი მხოლოდ რომელიმე სხვა სახელმწიფოსთან შეერთებაზე (ან მოითხოვდნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დარჩენას, თუმცა ეს 1991 წლის შემდეგ შეუძლებელია).

ამის საპირისპიროდ, ყარაბაღის მოძრაობის ძირითადი ლოზუნგი *miatsum* ("გაერთიანება") ღიად იყო ორიენტირებული სომხეთთან უნიფიკაციაზე, რაც ხელს უწყობდა აზერბაიჯანის მიერ კონფლიქტის აღქმას, როგორც ორ სახელმწიფოს – მასსა და ირიდენტისტულ სომხეთს შორის. შედეგად, აზერბაიჯანი უარს აცხადებს, უშუალო კონტაქტი იქონიოს დე ფაქტო ხელისუფლებასთან სტეპანაკერტში, რომელსაც სამშვიდობო პროცესში პირდაპირი წარმომადგენლობის უფლება ჩამოერთვა. ეს აკრძალვა გახდა კიდეც იმის მიზეზი, რომ ყარაბაღელმა სომხებმა სამშვიდობო პროცესში სრული ფიასკო განიცადეს. ამავე დროს, იგი იგნორირებას უკეთებს იმ ფაქტს, რომ ერევანს არ ძალუძს, რაიმე გადაწყვეტილება მიიღოს სტეპანაკერტთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, მთიანი ყარაბაღის გამორიცხვამ მოახდინა მხარეთა ინტერესებისა და შიშების ინსტიტუციონალიზაცია კონფლიქტის მიმართ იმ ხერხებით, რომელიც ავიწროებს მონაწილეთა არეალს და "ყინავს" სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს, სამაგიეროდ, ინარჩუნებს იმ ასიმეტრიებს, რომლებიც კონფლიქტის წყაროს წარმოადგენენ. ეს ახალ მნიშვნელობას სძენს უკვე კარგად ცნობილ ფრაზას - "გაყინული კონფლიქტი" – ესაა უფრო მეტად სამშვიდობო პროცესი, ვიდრე კონფლიქტი, რომელიც გაყინულია.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ საქართველოში ბევრს სურს, სტატუსით გაუტოლდნენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. პირიქით, ბევრს სჯერა, რომ ეს კონფლიქტები უნდა განისაზღვროს, როგორც რუსეთთან კონფლიქტები, ხოლო ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები ისევ ჰარმონიულად გაგრძელდება, რომ არა რუსეთის ჩარევა.

რასაკვირველია, ეს შეხედულება გულუბრყვილოცაა და იდეოლოგიურად მცდარიც. და მაინც, მთიანი ყარაბაღისგან განსხვავებით, დე ფაქტო ხელისუფლებებისთვის კვლავაც არსებობს საერთო ფორუმები თბილისთან მოლაპარაკებების საწარმოებლად, რაც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი წინაპირობაა ნებისმიერი კონფლიქტის საბოლოო მოგვარებისთვის.

შედარებისთვის შეიძლება დასახელდეს დეიტონის შეთანხმება, რომელმაც ბოლო მოუღო კონფლიქტს ბოსნიაში. ხორვატიის, სერბეთისა და ბოსნიის ლიდერებმა შეძლეს ადგილობრივი სამხედრო მეთაურების მონაწილეობის გარეშე დაეცვათ შეთანხმება, ივარაუდეს რა, რომ გარეშეების რიცხვის სიმცირე მეტად უზრუნველყოფდა შეთანხმების შესრულებას.

საკამათო საკითხია, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება უმალ ჩნდება გონებაში. ხსენებულ შემთხვევაში, საერთაშორისო საზოგადოება უფრო მეტად იყო მომზადებული, პოლიტიკური ნება და რესურსები ბოსნიის კონფლიქტის მოგვარებისკენ მიემართა. შესაძლოა, ეს ფაქტი გამოწვეული იყო, ნაწილობრივ, კონფლიქტის საწყის ეტაპზე ჩარევაზე უარით, რომელმაც დასავლური საზოგადოების ჩაურევლობის შედეგად ევროპაში ეთნიკური წმენდა და საკონცენტრაციო ბანაკები მოიტანა.

სამხრეთ კავკასიის არც ერთ კონფლიქტს არ მიუზიდავს დასავლური საზოგადოების აზრი იმავე გზით და თუ საერთაშორისო ვალდებულება ყარაბაღში კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვნად ჩანდა 2001 წლის აპრილის ქი ვესტის მოლაპარაკებების დროს, 11 სექტემბრის შემდგომ მსოფლიოში ასეთი რამ აღარ შეიმჩნევა.

აქედან გამომდინარე, რეგიონის ლიდერებს გაცილებით რთული ამოცანის შესრულება უწევთ გრძელვადიანი შეთანხმებების მისაღწევად და, რაც მთავარია, ამ შეთანხმებებს წარმატებისთვის ადგილობრივი ხელისუფლებების ლეგიტიმურობის მაღალი ხარისხია საჭირო. ეს დაინტერესებული მხარეების გაზრდასა და კრიტიკული მოთამაშეების მიმართ ყოვლისმომცველ მიდგომას ნიშნავს.

### გადაწყვეტილების მეთოდოლოგია

ახალანდელი მიმართულებები ყარაბაღის სამშვიდობო პროცესში იმაზე მიუთითებს, რომ მოლაპარაკებებში მონაწილე სომხებმა და აზერბაიჯანელებმა გადაწყვეტილების მეთოდოლოგიაზე კონსენსუსს მიაღწიეს. ყარაბაღის სამშვიდობო პროცესს დიდი ხანია ხელს უშლიდა შეუთანხმებლობა, მთლიანი "პაკეტი" განეხილათ თუ ცალკეული პუნქტებზე მიეღწიათ შეთანხმებისთვის - მთავარი პრობლემა იყო საკითხი: ემსჯელათ თუ არა ყარაბაღის სტატუსზე ახლავე, სხვა საკითხებთან ერთად, თუ მხოლოდ ყველა საკითხზე შეთანხმების შემდეგ გაერკვიათ ეს პრობლემა.

როგორც ამჟამად ჩანს, ბაქო და ერევანი ნაბიჯ-ნაბიჯ მიდგომაზე შეთანხმდნენ, რომლის მიხედვითაც მთიანი ყარაბაღის საბოლოო სტატუსი პროცესის საბოლოო ეტაპზე განისაზღვრება. ამგვარად სომხების გაყვანის საკითხს დაკავებული ტერიტორიების უმეტესი ნაწილიდან უსაფრთხოების გარანტიების სანაცვლოდ საწყისი ფაზა უნდა შეიცავდეს. ამას უნდა მოჰყვეს იძულებით გადაადგილებულ პირთა უკან დაბრუნება და მხარეთა შორის ნდობის აღდგენის ღონისძიებები, ხოლო სტატუსის განსაზღვრა 10-15 წლის შემდეგ, შესაძლოა რეფერენდუმის ფორმით განხორციელდეს.

ეს წინადადებები სომხურ და აზერბაიჯანის საზოგადოებებში საკამათო თემად რჩება. და მაინც, მნიშვნელოვანია ის, რომ მოლაპარაკების მეთაურები, როგორც ჩანს, ახლოს დგანან შეთანხმებასთან მშვიდობის მომტან თანმიმდევრულ ძირითად პრინციპებზე. ამას მოწმობს კარგი პირადი ურთიერთობა სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრებს, ვართან ოსკარიანსა და ელმარ მამადიაროვს შორის.

ეს ფაქტორები აჩვენებს, რომ სომხურ-აზერბაიჯანული მოლაპარაკებების შედეგად, ფაქტობრივად, შეიძლება შეთანხმების პირველადი სტრუქტურა შემუშავდეს.

სიტუაცია განსხვავებულია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ მოლაპარაკებებში. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი ხელისუფლებაში სოციალური მართლმსაჯულებისა და პოლიტიკური რეფორმების საფუძველზე მოვიდა და დიდი აქცენტი გააკეთა საქართველოს კონფლიქტების ადრე თუ გვიან მოგვარებაზე. ძნელი სათქმელია, დაელოდება თუ არა სააკაშვილის ადმინისტრაცია რამდენიმე წელი, რათა შემდეგ განსაზღვროს სეპარატისტული ტერიტორიების სტატუსი.

მართლაც, იმის დაპირებამ, რომ კონფლიქტების მოგვარება მისი უშუალო "მეთვალყურეობით" მოხდება, საკაშვილის რეიტინგი მკვეთრად გაზარდა და მოგვარების პროცესი დაუკავშირა მის პირად ლეგიტიმურობას და არა მოგვარების მექანიზმებსა და მათ თანმიმდევრობაზე ორიენტირებულ ინსტიტუციურ მიდგომას. ეს ზღუდავს სხვა ზომების მიღების შესაძლებლობას. ეს შესაძლებლობა თავისთავში გულისხმობს ნდობის აღდგენას, რომელიც მომავალში გაამარტივებს ქვეყნის სტატუსის აღდგენის პროცესს. იმის გათვალისწინებით, რომ სტატუსის განსაზღვრის საკითხი არსებითად მნიშვნელოვანია თბილისისა და სოხუმის, ასევე ცხინვალის ხელისუფლებების ურთიერთობის დროს, თბილისის ახლანდელი სტრატეგიები, როგორც ჩანს, უფრო მეტადაა მიმართული, პირველ რიგში, ყველაზე უფრო რთული საკითხების მოგვარებისკენ და არა ნაბიჯ-ნაბიჯ მიდგომებისკენ.

### შეთანხმება განხორციელების წინააღმდეგ

მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეთა უფრო ეფექტური მუშაობით გამოწვეული კონსენსუსი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ჩარჩო-შეთანხმება უახლოეს მომავალში გამოჩნდება. მეორეს მხრივ, ასეთი ჩარჩო-შეთანხმება ნაკლებ სავარაუდოა საქართველოს შემთხვევაში, მიუხედავად უფრო ადვილი შეღწევადობისა, მოლაპარაკების ყოვლისმომცველი სტრუქტურისა და საზოგადოების უფრო აქტიური ჩარევისა.

შეუსაბამობას თავდაპირველი შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობებსა და მათი განხორციელებისთვის საჭირო პირობების წარმოშობას შორის, მივყავართ იმ მნიშვნელოვან საკითხებამდე, რომელთაც კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა უნდა მიაქციონ ყურადღება.

მოლაპარაკებაში მონაწილე სომხებსა და აზერბაიჯანელებს მართლაც რომ მიეღწიათ შეთანხმებისთვის კონფლიქტის მოგვარების მეთოდოლოგიის საფუძველთან დაკავშირებით, მათი პრიორიტეტი ახლა უნდა იყოს შესაბამის საზოგადოებებს შორის მშვიდობის უზრუნველყოფა. ეს სამხედრო რიტორიკის გვერდით გადადებას მოითხოვს, განსაკუთრებით, აზერბაიჯანში. ასევე, საჭიროებს ნებისმიერ მიღწეულ შეთანხმებაში პოტენციური კომპრომისებისა და ყარაბაღელი სომხების სანდოობის შესახებ დისკუსიებზე ტაბუს მოხსნას.

ახლა სტრატეგიულ ინიციატივებში ინვესტირების დროა, რათა მშვიდობა დამყარდეს, გაიზარდოს სამოქალაქო საზოგადოების სამშვიდობო შესაძლებლობა, გაიზარდოს საზოგადოების შეგნება იმასთან დაკავშირებით, თუ რა დგას რისკის ქვეშ, და ზოგადად, საზოგადოება გამოვიდეს პროცესების მონაწილედ.

მოკლედ, ხალხის მხარდაჭერის გარეშე მშვიდობა არ დამყარდება, ხოლო მათი (ხალხის) მონაწილეობის გარეშე არც ხალხის მხარდაჭერა იქნება.

საქართველოში არსებულ კონფლიქტებში, პირველ რიგში, საკითხავია, როგორ შეძლებენ ლიდერები ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღებისგან თავის შეკავებასა და მეორე, მშვიდობის დამყარებისთვის საჭირო მათთვის ხელმისაწვდომი რესურსების უკეთ გამოყენებას.

თუ შევარდნაძის ადმინისტრაციას არ ახასიათებდა ქართული კონფლიქტების მოგვარების სტრატეგიული ხედვა, სააკაშვილისამ უკვე აჩვენა, რომ შეუძლია პასუხისმგებლობის პერსონიფიცირება კონფლიქტების მოგვარებისთვის და სასურველი შედეგების ხაზგასმა აუცილებელი პროცესისთვის. პროვოკაციული პოზიცია რუსეთის წინააღმდეგ ხელს უშლის იმას, რომ რუსეთმა უფრო კონსტრუქციული როლი ითამაშოს საქართველოს სამშვიდობო პროცესებში, ვიდრე ამას აქამდე აკეთებდა.

ის, რაც დამახასიათებელია სამხრეთ კავკასიის ყველა კონფლიქტითვის, არის "არაშორსმჭვრეტელობის" საფრთხე – ცდუნება, მიიღო პოლიტიკური სარგებელი მოკლევადიანი პროგნოზებიდან და კონფლიქტების მოგვარების წინასწარმეტყველებისგან.

სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირება საჭიროა განხილული იქნას, როგორც საშუალო და გრძელვადიანი პროცესები. ალბათ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პროცესი არის ფართო მხარდაჭერისა და დემოკრატიული მანდატით უზრუნველყოფილი ხელისუფლების გამოჩენა, რომელთაც შეეძლებათ პოლიტიკურად მტკივნეულ კომპრომისებზე წასვლა.

სწორედ აქ შეუძლია საერთაშორისო საზოგადოებას, უფრო მდგრადი და სარწმუნო ვალდებულების აღებით საკუთარი წვლილი შეიტანოს რეგიონში პროცესების დემოკრატიზაციის საქმეში. უდავოა, რომ სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მოგვარება გარეშე ძალთა დახმარებას საჭიროებს - ნებისმიერი მდგრადი გადაწყვეტილება უნდა ემსახურებოდეს ადგილობრივ აქტორთა და არა რეგიონის ჰეგემონიის მოსურნე გარეშე მტერთა ინტერესებს.

## გამოკითხვა

### თქვენი აზრით, საქართველოდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის პროცედურა თუ დაიწყო, რა საფრთხე შეიძლება წარმოიშვას?

**მაია ჩახვაშვილი**, ჟურნალისტი, 45 წლის: "რუსი ექსპერტებისა და რუსული მედიის მიხედვით, აქტიურად კეთდება განცხადებები იმის თაობაზე, რომ მოსალოდნელია შეიარაღებული კონფლიქტი. პროვოკაციები რომ ნამდვილად იქნება, ამაში ეჭვი არ მეპარება. შეიარაღებულ კონფლიქტამდე კი, არა მგონია, საქმე მივიდეს. ეს, ალბათ, არის უფრო ფსიქოლოგიური ომი, რასაც რუსეთი საქართველოს მიმართ აწარმოებს. საქართველოს ხელისუფლების მიდგომა არის უკომპრომისო. ისეთი ძალადობრივი პოლიტიკა, რასაც რუსეთი საქართველოს მიმართ ახორციელებს, აღარ გამოვა. ამით მხოლოდ ძლიერდება ხალხში ანტირუსული განწყობა. ჩვენმა ქვეყანამ რუსეთთან დათმობის პოლიტიკა უკვე სცადა და შედეგად რაც მივიღეთ, ნათელია. ერთ-ერთი რეალური საშიშროება, ჩემი აზრით, არის ეკონომიკური ხასიათის. ჩვენ, გვინდა არ გვინდა, მიბმული ვართ რუსეთთან. აქ, ალბათ, დავზარალდებით. არის კიდევ ერთი რეალური საფრთხე - როგორ მოექცევა რუსეთი ჩვენს მოქალაქეებს, რომლებიც რუსეთში ცხოვრობენ?"

**გალაკტიონ ჩავლეიშვილი**, საქართველოს ახალგაზრდა კონფლიქტოლოგთა ასოციაციის ხელმძღვანელი, 25 წლის: "დავიწყოთ ლოკალური საფრთხით - აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება აუცილებლად გააძლიერებს პოლიტიკურ ზეწოლას გალის მოსახლეობაზე. მეორე - ჩემი აზრით, მოხდება სოხუმელი სომხების ორგანიზაციის "კრუნკის" გაძლიერება, რომელიც დღეს გადაქცეულია არასამთავრობო ორგანიზაციად. ის ჩაერთვება პოლიტიკურ მოძრაობაში და დიდ როლს ითამაშებს, რომ იქაური პოლიტიკური ელიტა თბილისის პოლიტიკის წინააღმდეგ განაწყოს. "კრუნკი" არის ძალიან სამიში ორგანიზაცია, განსხვავებით აფხაზეთის მეორე სომხური ორგანიზაციისაგან "მაშტოცისაგან", რომელიც ყოველთვის მშვიდობიანი იყო. აუცილებლად ჩაერთვებიან პოლიტიკურ პროცესებში ჩრდილოკავკასიელები. შეიძლება ეს ერთეულ პიროვნებებს შეეხება, მაგრამ ძალიან გავლენიანებს. შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში ჩრდილოკავკასიელები აუცილებლად ჩაერთვებიან მასში. არა მგონია, რუსეთმა სერიოზული ეკონომიკური ბლოკადა მოგვიწყოს. მე სამხედრო პროვოკაციის უფრო მეშინია, მით უმეტეს, ძალიან დიდი საშიშროებაა, რომ პროვოკაციას წამოეგოს როგორც თბილისი, ასევე სოხუმი."

**ნონა მიროტაძე**, ექიმი, 41 წლის: "რუსი სამშვიდობოების ადგილას გაეროს ცისფერჩაფხუტიანები რომ ყოფილიყვნენ, არა ვარ დარწმუნებული, რომ დღეს აფხაზეთის კონფლიქტი მოგვარებული იქნებოდა. არ არსებობს არც ერთი პრეცედენტი, რომ გაეროს სადმე კონფლიქტი მოეგვარებინოს. უბრალოდ, შეიძლება ამდენი კრიმინალური ფაქტი აღარ მომხდარიყო და აღარ დაღუპულიყო ათასობით მშვიდობიანი ქართველი მოსახლე, რომლებიც აფხაზეთის, კერძოდ, გალის ტერიტორიაზე კონფლიქტის შეწყვეტის შემდეგ დაიღუპნენ. საფრთხეები, რასაკვირველია, არსებობს, მაგრამ კურდღლებივით ჩირგვებში ხომ არ დავიმალებით? თუ გვინდა ნამდვილი ქვეყანა გვქონდეს, რაღაც პრობლემებს უნდა გავუძლოთ და შევებრძოლოთ."

**ელგუჯა მიქაია**: "რუსი სამშვიდობოების გაყვანა თუ გადაწყდა, მათ აუცილებლად უნდა ჩაენაცვლონ სხვა ძალები - თუნდაც, ევროკავშირის, რადგან პროვოკაციები ნამდვილად იქნება და ვინ დადებს თავს, რომ ამ პროვოკაციებს ან ქართველები გაუძლებენ და არ წამოეგებიან, ან აფხაზები. რუსებმა ჩვენი ფიცხი ბუნება ძალიან კარგად იციან."

**მარიამ ხუნდაძე**, ისტორიკოსი, 60 წლის: "როცა ასეთ სერიოზულ გადაწყვეტილებას იღებ, ცხადია, დეტალურად უნდა შეისწავლო ყველა ის შესაძლო საფრთხე თუ შედეგი, რაც გადაწყვეტილებას მოჰყვება. მე მგონია, ჩვენს ხელისუფლებას ეს ჩემზე კარგად ესმის და გეგმა სათანადოდ ექნება დამუშავებული. ყოველ შემთხვევაში, გადაწყვეტილება მისაღებია. ან ვტოვებთ რუს სამშვიდობოებს და ვწყვეტთ ამაზე ლაპარაკს, ანდა მოვითხოვთ მათ გაყვანას და ყველა შესაძლო შედეგისათვის მზად ვიქნებით."

## მოკლედ

### დამკვირვებელთა მანდ

# ფერით მწერალი

## სახეები, სიზმრები, მოგონებები თიბისი-ში

სოფო კილასონია

"...იბადება ადამიანი და მასში მარადიულის ხსოვნა, ერთიანობა უსასრულობასთან ცინცხალია. უმეტესობა ასაკის მატებასთან ერთად შორდება მარადიულ ჭეშმარიტს, იძირება შემოგროვილ ჩენჩოში... ჩემი შემოქმედებით სწორედ ამას მინდა შევახსენებდე ადამიანს, რაღაც მივიწყებულს, ძირეულს, ძალიან ნაცნობ-ჩვეულებრივს. არ ვაძლევდე მის სულს პირველადის, ბედნიერის, კეთილის დავიწყების საშუალებას".

ესმა ონიანს ამ სიტყვების მსგავსი ჰუმანური ტექსტი ძალიან ბევრი დაუწერია. მისი ესეები, წერილები, ლექსები - ყველაფერი ადამიანის არსის წვდომასა და მისი სულიერი ფასეულობების ძიებაშია გართული. იგი იმ მხატვართა რიგს მიეკუთვნება, ვისთვისაც სიტყვა, აზრი, იდეა, ტექსტი და, რაც მთავარია, ფერით წერა ერთიმეორეს ებმის და ერთ დიდ, ნამდვილ მთლიანობას ქმნის.

სიტყვა "ნამდვილი" შემთხვევით არ მითქვამს. თავად მხატვარს ჰყვარებია ამ ეპითეტით შეფასება. და კიდევ "ჭეშმარიტი". როგორც ჩანს, ძალზე კარგად ესმოდა ამ სიტყვების აზრი ხელოვნებასთან მიმართებაში. ამიტომაც გამოირჩეოდა უცნაური თავმდაბლობით. ყველა ამბობს, რომ დამსახურებებისთვის მას არასდროს უბრძოლია და არტისტული ამბიციებიც ხმამაღლა არ განუცხადებია. ერთადერთი ტილო, რომელიც თავის დროზე "წლის საუკეთესო ნამუშევრად" აღიარეს, დავით კაკაბაძის პორტრეტი გახლდათ. მაშინ აკადემიის მიერ რეპრესირებული მხატვრის პორტრეტი მისივე სტუდენტების მკაცრი მოთხოვნით დაუფასებიათ. ეს უკანასკნელი ნამუშევარი და კიდევ სხვა მრავალი უკვე რამდენიმე დღეა თიბისი ბანკის დარბაზშია გამოფენილი.

ესმა ონიანის მხატვრობა, ალბათ, ისე როგორც თავად მისი პიროვნება, მარტივი არ ყოფილა. ინტენსიურად ნაწერ ფერწერულ ტილოებში ყოველთვის იმაზე მეტის დანახვა შეიძლება, ვიდრე უბრალოდ პორტრეტის, კომპოზიციის, ერთი ან ორი ლოკალური ფერის. მის მსუყე და თბილ ნახატებში არაფერია შემთხვევითი, უბრალო ესთეტიზმით გამოწვეული ხერხები, საგნები და ფერთა გამის კომპოზიცია. ყველაფერი, ფონი იქნება ეს, ფერი, მონასმი თუ სხვა, ავტორის აზროვნებისა და განწყობის ნაყოფია. მეწამულსა და ბრინჯაოსფერში შეპარული და უცნაურად დაცემული შუქი, ოქროსფრით განათებული ინტერიერები სიბრტყეზე, სქელ მონასმებში ჩაკარგული, და მაინც ყველაფერი ძალიან ცხადი, გასაგები, ყველასთვის მისაღები. ამ უშუალობას კი მარტივი ახსნა აქვს. ონიანის ნახატებს, მკაფიოდ გამოხატული სუბიექტივიზმის მიუხედავად, აქვთ ის, რაც ამა თუ იმ საკითხთან და ობიექტთან მიმართებაში ერთხელ მაინც უგრძვნია ყოველ ადამიანს. დედის სახე - თითქოს ხატები, თითქოს მოგონებები. ქალაქის პეიზაჟები - თითქოს სიზმრები და ძალიან ბევრი პორტრეტი – ფერადოვანი ხასიათები, თუმცა მაინც მშვიდი სახეები.

იქ, სადაც მხატვარი ფერწერის რაობაზე წერს, ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს მთლიანობაზე საუბარს უთმობს და ღიად ტოვებს კითხვას, თუ რამდენად აღიქვამს მისი ფერწერის "მკითხველი" ორკესტრირებას, რომელსაც იგი სიბრტყეებზე ახდენს. მართალია, ესმა ონიანის პირველი პერსონალური გამოფენა მისი გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე მოეწყო, მაგრამ მის თაყვანისმცემელთა რაოდენობა უკვე მეშვიდე წელს მაინც ძალიან შთამბეჭდავია. ალბათ იმიტომ, რომ მისი ნამდვილი ფერწერით შექმნილი ორკესტრი დამთვალიერებლისთვის იმაზე უფრო თვალშისაცემი და დასანახია, ვიდრე ამას თავად ავტორი ფიქრობდა.

# ახალი ვექტორი ქართულ-ებრაულ ურთიერთობებში

ლელა მარგიანი

თბილისში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ცნობილი ფრანგი მსახიობი ჟერარ დეპარდიე უახლოეს მომავალში საქართველოში ჩამოსვლას აპირებს. მის ჩამოყვანაში კი გეგმავს საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატა, კერძოდ, პალატაში შექმნილი ახალი დეპარტამენტი. სწორედ აღნიშნული დეპარტამენტის პრეზენტაცია გაიმართა გუშინ საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატაში.

პრეზენტაციაზე მისულ ჟურნალისტებს მასპინძლობა გაგვიწიეს ახალი დეპარტამენტის მთავარმა "დიასახლისმა", მომღერალმა ია ჩანტლაძემ და საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის პრეზიდენტმა, ბატონმა იციკ მოშემ.

მან ქართულად მისალმების შემდეგ პრეზენტაციაზე მისულ ჟურნალისტებს, რომელთა შორის მდედრობითი სქესის წარმომადგენლები ჭარბობდნენ, სიურპრიზი მოგვიწყო და ყველას "რევოლუციური" წითელი ვარდებით სიყვარულის დღესასწაული მოგვილოცა.

სიურპრიზები არ დაკლებია არც პრეზენტაციის მთავარ მიზეზს, მომღერალს, ამჯერად კი დეპარტამენტის ხელმძღვანელ – ია ჩანტლაძეს. მას წითელი ვარდების დიდი თაიგულის, ლამაზად მოწყობილი ოფისისა და "ჯი პი აი" ჰოლდინგის დაზღვევის პოლისის გარდა, რომელიც ბიზნესპალატის პრეზიდენტმა უსახსოვრა, მთავარი სიურპრიზი - ჭავჭავაძის პროსპექტზე სამუშაო ოფისის წინ "ელოდა". პალატის პრეზიდენტის იციკ მოშეს თქმით, იასამნისფერბაფთიანი შავი "ფოლკსვაგენი" ე.წ. "ხოჭო"," ახალგამომცხვარ" საქმიან ქალბატონს ფრანგმა მეგობრებმა აჩუქეს.

პრეზენტაციის ოფიციალურ ნაწილში ბატონმა იციკ მოშემ აღნიშნა, რომ პალატაში ახალი აქციების დეპარტამენტის შექმნით იწყება პალატის ათი წლის იუბილეს მოსამზადებელი სამუშაოები.

**"ეს არ არის მხოლოდ ზეიმი, ესაა იმავე წერტილში დაბრუნება, რომელიც იყო ათი წლის წინათ. მერე იყო დიდი ჩავარდნა და მინდა აღვნიშნო, რომ იუბილესთან დაკავშირებით მოხდება ქართულ-ებრაული ერთიერთობების სრული ვექტორით შეცვლა. ახალი დეპარტამენტის უპირველესი ფუნქცია იქნება სწორედ იუბილესთვის მზადების უზრუნველყოფა, რომელიც გაიმართება რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში ა.წ. 4 აპრილს. ასევე განხორციელდება უამრავი საინტერესო იდეა კულტურის, ტურიზმისა და ეკონომიკის სფეროებში. ყოველ კვირას ისრაელიდან ჩამოდიან ბიზნესმენები. მე ვიყავი საქართველოს პრეზიდენტთან ერთად რამდენიმე ქვეყანაში და მინდა ვთქვა, რომ ინვესტორთა 60 პროცენტი მზად არის საქართველოში ჩამოსასვლელად. ჩვენს იუბილეზეც ძალიან ბევრი ბიზნესმენი ჩამოვა. პესიმიზმის დრო ნამდვილად არ გვაქვს. ჩემი აზრით, პატარა ქვეყნებს, ისეთებს, როგორიც არის ისრაელი და საქართველო, პესიმიზმის ფუფუნების უფლება არა აქვთ. ჩვენ ძალიან ბევრი საქმე გვაქვს ერთად საკეთებელი. მომავალი წლიდან საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატა კიდევ უფრო გააფართოებს თავის საქმიანობას. მომავალ ოთხ წელიწადში საქართველოში ისრაელიდან განხორციელდება 100 მილიონის კერძო ინვესტიცია და ისრაელი დაიბრუნებს თავის ბუნებრივ ადგილს ქართულ საზოგადოებაში"**- აღნიშნა პალატის პრეზიდენტმა.

პრეზენტაციაზე საჩუქრების მიღებით აღელვებულმა "ახალი პროექტების დეპარტამენტის" ხელმძღვანელმა ია ჩანტლაძემ ისაუბრა საიუბილეოდ ჩასატარებელ კულტურულ ღონისძიებებზე. აღნიშნა, რომ **"დეპარტამენტის პირველი ღონისძიება იქნება გრანდიოზული იუბილეს აღნიშვნა, რომელზეც ძალიან ბევრი საინტერესო სტუმარი ეყოლება საქართველოს. დაიწყება ორი დიდი სამშენებლო პროექტი, გამოვა კომპაქტდისკი, რომელზეც ჩაწერილი იქნება ქართველი მომღერლების სიმღერები ებრაულ ენაზე, გამოვა ჟურნალი, რომელიც ფართოდ გავრცელდება დიპლომატიურ წრეებში, პოტენციურ ინვესტორებთან. შემდეგ ივნისში, ქალაქ აშდოთში, რომელსაც უსრულდება 50 წელი და სადაც ძალიან ბევრი ქართველი ებრაელი ცხოვრობს, დაგეგმილია უზარმაზარი 40-ათასიანი კონცერტის ჩატარება."**

პრეზენტაციის ბოლოს ია ჩანტლაძემ დაგვიდასტურა გავრცელებული ინფორმაცია, რომ უახლოეს მომავალში საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის ძალისხმევით ნამდვილად ჩამოვა ჟერარ დეპარდიე და რომ მისი ჩამოსვლა თბილისში დაკავშირებულია კონკრეტულ პროექტთან. ამ პროექტში საქართველოს, საფრანგეთისა და ისრაელის მხარეები მიიღებენ მონაწილეობას და იქნება ერთიანი ქართულ-ისრაელურ-ფრანგული ალიანსი.

# ეკა და რეფორმები



**ეკა კვესიტაძე**: დღეს "დიალოგები" თემაა უნივერსიტეტის რეფორმები. გადაცემის სტუმრები არიან სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი დავით აფრასიძე, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი დავით კერესელიძე, სამედიცინო ფაკულტეტის დეკანი ვანო ბოკერია.

**ეკა კვესეტაძე**: რა გაკეთდა იურიდიულ ფაკულტეტზე?

**დავით კერესელიძე**: ჩავატარეთ პროგრამული რეფორმა - სასწავლო პროგრამა გათავისუფლდა არარსებული საგნებისგან. მოხდა პროგრამის ოპტიმიზაცია. დარჩა მხოლოდ ის საგნები, რომლებიც პიროვნებას აყალიბებს იურისტად. სტუდენტი გახდა უფრო მობილური, იგი თავად წყვეტს რომელ საგანს რომელ სემესტრში რომელ პროფესორთან აირჩევს. ლექტორებიც კითხულობენ მხოლოდ იმ საგნებს, რომლებშიც უფრო კომპეტენტურნი არიან. აგრეთვე დამკვიდრდა სამციკლიანი სისტემა: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა.

**ეკა კვესიტაძე**: რა გაკეთდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე?

**დავით აფრასიძე**: ჩვენთან ფაკულტეტები შეერწყა ერთმანეთს. გაერთიანდა ექვსი ფაკულტეტი. სტუდენტებს მივეცით არჩევის საშუალება - მათ შეუძლიათ მიიღონ დამატებითი განათლება. ვცდილობთ ძველი პროგრამის მოდერნიზაციას.

**ეკა კვესიტაძე**: რა ხდება სამედიცინო ფაკულტეტზე და რით უწევს იგი კონკურენციას სამედიცინო უნივერსიტეტს?

**ვანო ბოკერია**: მედიცინის ფაკულტეტს შეერთების პროცესი არ შეხებია, იგი რეგულირებადი პროფესიაა. როგორც ყველა ფაკულტეტი, ჩვენც გავთავისუფლდით ზედმეტი საგნებისგან. შევამცირეთ უაზროდ გაბერილი საათები - ის 5 500 საათზე დავიდა, ანუ შეესაბამება ევროკავშირის ნორმას. ფაკულტეტთან დაფუძნდა უმაღლესი საექთნო განათლების და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა, რომელზეც ასევე დიდი მოთხოვნაა ყველა ქვეყანაში. ვქმნით ოკუპაციურ თერაპიას, რომელიც განსაზღვრულია უნარშეზღუდული ადამიანებისთვის.

**ეკა კვესიტაძე**: რეფორმების შედეგად შეიმჩნევა თუ არა სტუდენტების უფრო მეტი დაინტერესება?

**დავით აფრასიძე**: რა თქმა უნდა, სტუდენტები მობილიზებულნი არიან. მათ ესმით, რომ, მართალია, შემცირდა საგნების რაოდენობა, სამაგიეროდ გამკაცრდა მოთხოვნა სწავლაზე.

**ეკა კვესიტაძე**: როგორი სტუდენტები მიიღო უნივერსიტეტმა ეროვნული გამოცდების შემდეგ?

**დავით აფრასიძე**: თუ გავითვალისწინებთ სკოლების პროგრამას, რომლებიც გასაუმჯობესებელია, უფროსი თაობისგან განსხვავებით, ბევრად უფრო განათლებული სტუდენტები მივიღეთ.

**ეკა კვესიტაძე**: რა ეტაპი ვერ დააკმაყოფილეს იმ ლექტორებმა, რომლებიც ვერ გავიდნენ კონკურსში?

**დავით კერესელიძე**: წლების განმავლობაში უნივერსიტეტი იყო ჩაკეტილი, არ მოდიოდნენ ახალი ადამიანები. საბჭოურმა სისტემამ ვერ დააკმაყოფილა ის მოთხოვნები, რომლებიც უნივერსიტეტის ლექტორს სჭირდება. ჩვენი მისიაა ახალი თაობების აღზრდა.

**ეკა კვესეტაძე**: რა ვერ გაკეთდა უნივერსიტეტში?

**დავით აფრასიძე**: ცენტრალურ ადმინისტრაციაში უნდა გატარდეს რეფორმები. ჩვენ არ გვყავს კვალიფიციური, პროფესიონალი მენეჯერები. ჩვენი მთავარი საყრდენი ძალა სტუდენტებაა, მათ უნდა მოსთხოვონ რექტორს იყოს უფრო პრინციპული.

**ეკა კვესიტაძე**: ყველაზე აქტუალური პრობლემა: დაემსგავსება თუ არა უნივერსიტეტი კოლეჯს?

**დავით აფრასიძე**: ჩვენ უნდა ჩავატაროთ თვითმმართველობის არჩევნები, შემდეგ - დეკანისა და რექტორის. ამასთან, სახელმწიფო ამზადებს კანონს, რომლითაც უნივერსიტეტი გადაიქცევა დემოკრატიულ ინსტიტუტად და იგი გახდება ძლიერი სამეცნიერო კერა.

bp btc SCP South Caucasus Pipeline

**წინადადებების წარმოდგენის მოთხოვნა (RFP)**

**ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის მართვის გეგმასთან დაკავშირებით საქართველო**

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა (BTC) და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის პროექტებისთვის (SCP)**

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის სახელით**

გამოქვეყნების თარიღი: **2006 წლის 13 თებერვალი**
წინადადებების მიღების დასრულების ვადა: **2006 წლის 10 აპრილი, დღის 12:00 თბილისის დროით.**

BP, რომელიც მოქმედებს როგორც ოპერატორი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიისა (BTC) და სამხრეთ კავკასიური მილსადენის კომპანიის (SCP) სახელით, თხოვნით მიმართავს სათანადოდ კვალიფიცირებულ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომ მოამზადონ ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის (KTMR) მართვის გეგმა.

ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილი საქართველოს ცენტრალურ ნაწილში - ბორჯომის რაიონში - მდებარეობს. აღკვეთილი 22,000 ჰექტარ ტერიტორიას მოიცავს. ამ ტერიტორიაზე წარმოდგენილია მაღალმთიანი ჭარბტენიანი ტერიტორიები და ტბები, რომლებიც ზღვის დონიდან 1,990 - 2,080 მეტრის სიმაღლეზეა. ამჟამად მოცემული აღკვეთილის მართვის გეგმა ჯერ არ არის შემუშავებული. გარდა ამისა, არ არის განსაზღვრული აღკვეთილის მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა და აქტიურად არ ხორციელდება მართვის ღონისძიებები.

BP, რომელიც საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის სახელით და მის ინტერესებში მოქმედებს, მზადაა დააფინანსოს ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის ეფექტური მართვის გეგმის შემუშავება. ამასთან დაკავშირებით მთელ რიგ სხვა ღონისძიებებთან ერთად შემდეგის განხორციელება სავალდებულო მოთხოვნას წარმოადგენს:

- საჭირო ფონური კვლევების ჩატარება;
- კონსერვაციაზე მიმართული მართვის მიზნების განსაზღვრა;
- მართვის გეგმის შემუშავება, რომელიც ყველა საჭირო ასპექტს მოიცავს;
- მოცემულ პროცესში მონაწილე დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის შესაძლებლობების განვითარება;
- საჯარო კონსულტაციები;

მოცემული დავალების საბოლოო პროდუქტს წარმოადგენს ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის მართვის გეგმა, რომელიც მისაღები იქნება ყველა მონაწილე მხარისა და დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის და დამტკიცდება საქართველოს მთავრობის მიერ.

BP-ის მოითხოვნის შესაბამისად ორგანიზაციები, რომლებიც დამოუკიდებლად ან ორგანიზაციათა კონსორციუმის სათავეში მდგომი ორგანიზაციის ფორმით მიიღებენ მონაწილეობას მოცემულ ტენდერში, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა ჰქონდეს მსგავსი პროექტების მართვის და/ან განხორციელების გამოცდილება, რომელთა დაფინანსება პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში არანაკლებ 50,000 აშშ დოლარის ტოლი იყო.
- უნდა გააჩნდეს კონსერვაციისა და მართვის დაგეგმვის წარმატებული გამოცდილება თავად ორგანიზაციას ან წარმოდგენილ ჯგუფში შემავალ ინდივიდუალურ პირებს;
- თითოეულ წინადადებაში საქართველოს ეროვნული ექსპერტიზის მონაწილეობა, ორგანიზაციის ან ინდივიდუალური პირების სახით.

BP უპირატესობას ანიჭებს საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ მჭიდრო თანამშრომლობა ეროვნულ ექსპერტებთან და მათ გამოცდილებას ეყრდნობიან.

სატენდერო დოკუმენტების მიღება შეგიძლიათ როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაზე 13 თებერვლიდან 27 თებერვლამდე, BP-ის ოფისში, შემდეგ მისამართზე: საბურთალოს ქუჩა N38, თბილისი, საქართველო; ან ქვემოთ მოცემულ ინტერნეტ-გვერდებზე:

www.caspiandevelopmentandexport.com

**სწავლა ლონდონში**

**London school of Commerce (LSC)**

London School of Commerce (LSC) დივიზიონი, ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (STM) გიწვევთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება. UNIVERSITY OF SUNDERLAND (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად, ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება LIVERPOOL JOHN MOORES UNIVERSITY (LJMU) და UNIVERSITY OF EAST LONDON (UEL) უნივერსიტეტთან ერთად.

პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ - აპრილი/აგვისტო/ნოემბერი. მორიგი კურსის დაწყების თარიღია 2006 10 აპრილი.

**MBA**

- მარკეტინგი
- ფინანსები
- საერთაშორისო მენეჯმენტი

სრული კურსის ფასი **£4950**
ხანგრძლივობა 1 წელი

ბიზნესისა ან ბიზნესინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის BA(HONS)BS, BSc BS. მთლიანი ღირებულებაა £ 5950. ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად. იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი £ 1000 -ის გადახდის შემდეგ. იმ სტუდენტებისათვის, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:**
ნონა მესხიშვილი / ტექნოლოგიის და მენეჯმენტის
მიმღები განყოფილება
მის: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-5 სართული,
ოფისი 504. ბრიტანეთის სახლი
**ტელ: + 995 32 42 00 50**
**ტელ/ფაქს: + 995 32 42 00 40 , მობ. + 995 77 42 35 69**
**Email: info@stmlondon.co.uk**
**Email: nona-STM@mail.ru**

**გლობალ ერთი აცხადებს ვაკანსიას პროგრამისტის თანამდებობაზე**

მოთხოვნები:
ამ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი;
**ორაკლის სისტემაში მუშაობის გამოცდილება**
პროგრამირების ენა : დელფი,
წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგი საბუთები;
ავტობიოგრაფია (CV)
განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა;
რეკომენდაცია წინა სამუშაო ადგილიდან;
ანაზღაურება მაღალი - კვალიფიკაციის შესაბამისად;
საბუთების წარდგენის ბოლო ვადა - 2006 წლის 24 თებერვლის 15.00 საათი;
რუსთაველის გამზ. N31, 0 სართული; ტელ 43 91 28;
e-mail: rusiko@global-erty.net

**გამაჯანსაღებელი ცენტრი**

**ნაუტილუსი**

**გთავაზობთ:**

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge




**სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"**

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. მცხეთის გამგეობა აცხადებს ტენდერს სკოლამდელი დაწესებულებებისათვის კვების პროდუქტების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების მიწოდების აუცილებელი ვადაა 09.03.06 წ. 10 სთ-დან 13.03.06 წ. 18 სთ-მდე მისამართზე: ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ. №136, ქ. მცხეთის გამგეობა.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1. იურიდიულ პირთათვის:

ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3.2. ფიზიკური პირისათვის:

ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

3.3. ცნობა საგადასახადოდან, რომ მას არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფოს მიმართ.

4. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

5. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 200 ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ 21.02.06 წ. 10 საათიდან 06.03.06 წ. 18 საათამდე.

6. ტენდერში შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ. №136, ტელ. 25-30 ქეთინო აქიაშვილი.

სატენდერო კომისია

**კვების პროდუქტების ჩამონათვალი**

| № | დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1. | პური | ც | 18 100 |
| 2. | ბურღული | კგ | 3450 |
| 3. | პეჭენია, ორცხობილა | კგ | 595 |
| 4. | მარილი | კგ | 575 |
| 5. | ზეთი | კგ | 475 |
| 6. | კარაქი | კგ | 985 |
| 7. | ტომატი | ქილა | 860 |
| 8. | შაქრის ფხვნილი | კგ | 2260 |
| 9. | ხორცი საქონლის | კგ | 820 |
| 10. | კარტოფილი | კგ | 7120 |
| 11. | ბოსტნეული (ჭარხალი, კომბოსტო, სტაფილო, ხახვი, მწვ. ლობიო, კიტრი, მწვანილი) | კგ | 6250 |
| 12. | რძის ფხვნილი | კგ | 1195 |
| 13. | მუხლუდო | - | 70 |
| 14. | ლობიო | კგ | 120 |
| 15. | თევზი უთავო | კგ | 140 |
| 16. | ყველი | კგ | 200 |
| 17. | ფქვილი | კგ | 180 |
| 18. | საფუარი | კგ | 30 |
| 19. | შედედებული რძე | ქილა | 510 |
| 20. | არაჟანი | კგ | 10 |
| 21. | ქიშმიში | კგ | 25 |
| 22. | ხილი | კგ | 2800 |
| 23. | ტკბილეული | კგ | 100 |
| 24. | შოკოლადის ფილა | ც | 300 |
| 25. | ჩაი | კგ | 35 |
| 26. | ყავა 1/100 | ც | 290 |

# განცხადება

საქართველოს გარემოს დაცვის ინსპექციის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის მონაწილეთა ტესტირება ჩატარდება ამა წლის 19 თებერვალს უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ბიბლიოთეკის დარბაზში (მის: უნივერსიტეტის ქ. №11).

კონკურსანტთა რეგისტრაცია და ტესტირება იწარმოებს შემდეგი თანამიმდევრობით:

1. ცენტრალური აპარატის სწრაფი რეაგირების სამსახურისა და კახეთის ბიუროს სწრაფი რეაგირების განყოფილების მთავარი და უფროსი სპეციალისტების თანამდებობებზე:

რეგისტრაცია წარმოებს 08.30 სთ-09.45 სთ-მდე; ტესტირება - 10.00-12.00 სთ-მდე.

